

178
1978 / 3



საქართველო

საგარეო ურთიერთობები



თბილისი - 1978



საქართველო საქართველო

№ 4

ივლისი
აგვისტო
1978 წელი

შუიანი გამომცემი 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს,
კრიკურატიურისა და უმაღლესი სასამართლოს
მეცნიერულ-კრატტიკული ჟურნალი

შ ი ნ ა ა რ ს ი

46148

პირველი საბჭოთა კონსტიტუციის მესამეცე წლისთავი	8
განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კონსტიტუცია	
გ. ზანქლაქე — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და სოციალისტური ცხოვრების წესის შემდგომი სრულყოფა	9
ბ. ზავანელი — მართლწესრიგი როგორც თვითმართვითი სისტემა	23
ბ. ზოიქე — სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება	26
ფ. ფაფაშვილი — თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტის ცნება სისხლის სამართლის თეორიისა და სასამართლო პრაქტიკაში	33
ა. გაბიანი, მ. დიდუბულიძე — დამნაშავეობის გეოგრაფიის შესწავლის ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხი	44
კანონის კომენტარი	
მ. უგრეხელიძე — საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა	54
ოფიციალური მასალა	63
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში	84
ინფორმაცია	86
მეგობრის სსოვნას	
მოქალაქე და იურისტი	94
ცნობები ავტორთა შესახებ	96

СОДЕРЖАНИЕ

Шестидесятая годовщина первой советской Конституции 3

КОНСТИТУЦИЯ РАЗВИТОГО СОЦИАЛИСТИЧЕСКОГО ОБЩЕСТВА

Г. Бандзеладзе — Новая Конституция Союза ССР и дальнейшее совершенствование советского образа жизни 9

Б. Саванели — Правоспорядок как самоуправляемая система 23

Б. Зондзе — Понятие гражданско-правовой ответственности 26

Ш. Папиашвили — Понятие субъекта должностного преступления в теории уголовного права и в судебной практике 33

А. Габiani, М. Дидебулидзе — некоторые методологические вопросы изучения географии преступности 44

КОММЕНТАРИИ ЗАКОНА

М. Угрехелидзе — Посягательство на жизнь работника милиции или народного дружинника, охраняющего общественный порядок 54

Официальный материал 63

В президиуме Верховного Совета Грузинской ССР 84

Информация 86

ПАМЯТИ ДРУГА

Гражданин и юрист 94

Сведения об авторах 96



სარედაქციო
კოლეგია:

- ო. კაციატაძე (მთ. რედაქტორი) თ. დადიანი, ლ. თალაკვაძე,
- გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლეკვეიშვილი,
- გ. ფენაია, გ. ტყეშელიაძე, ვ. ქვაჩხია,
- ა. შუშანაშვილი, დ. შენგელია (პ/მ მდივანი) თ. წერეთელი,
- პ. ხოჭოლავა, ს. ჭორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კლდბანკის კვ. 103. ტ. 95.58.87, 95.88.49.

გადაცემა ასაწყობად 12/VI-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/IX-78 წ.,
ფორმატი 70x108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 8,4, საარტიკულო-საგამომცემლო თაბახი 8.87

შეკვ. № 1720 ტირაჟი 20.100 უფ 04115

პირველი საბჭოთა კონსტიტუციის შესაბამისი წესდებები

60 წლის წინათ, 1918 წლის 10 ივლისს, სრულიად რუსეთის საბჭოეზის მესხეთე ყრილობამ, რომელმაც გამოსატა ყველა მშრომელის ნება-სურვილი, მიიღო მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — რუსეთის სხუს რესპუბლიკის კონსტიტუცია. პირველი საბჭოთა კონსტიტუცია შემუშავებულ იქნა ჩვენი ქვეყნისათვის მეტად რთულ პერიოდში, გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა, რომელსაც ყოველმხრივ გარს ერტყა შინაური და გარეშე მტერი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე, პირველი კვალი გაჰქონდა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე. ამიტომ სრულიად კანონზომიერი იყო, რომ ვითარების შესაბამისად, კონსტიტუციამ ძირითად ამოცანად გამოაცხადა ექსპლოატატორთა დაუნდობელი დათრგუნვა, ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსაბოზა, სოციალიზმის საფუძვლების ყველა საშუალებით განმტკიცება, ისეთი საზოგადოების აშენება. სადაც „არ იქნება კლასებად დაყოფა და სახელმწიფოებრივი ხელისუფლება“.

1918 წლის კონსტიტუციის შემუშავებას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, პირადად ვ. ი. ლენინი. მასში ცალკე კარად შევიდა სრულიად რუსეთის საბჭოების მესამე ყრილობაზე მიღებული „მშრომელ და ექსპლოატირებულ ხალხთა უფლებების დეკლარაცია“, რომელიც ვ. ი. ლენინის მიერ იყო დაწერილი. თვით პარტიის ცენტრალური კომიტეტის კომისიასაც, რომელიც არჩეული იყო კონსტიტუციის პროექტის განსახილველად, ვ. ი. ლენინი ედგა სათავეში. ვ. ი. ლენინმა გაუკეთა გულმოდგინე რედაქტირება კონსტიტუციის პროექტს, შეიტანა მასში ბევრი პრინციპული დამატება და ცვლილება.

პირველმა საბჭოთა კონსტიტუციამ საკანონმდებლო წესით განამტკიცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი, აღწესა ჩვენი ქვეყანაში მომხდარი ჭეშმარიტად ეპოქალური ძვრები, ყოველმხრივ განაზოგადა საბჭოთა ხელისუფლების სულ რამდენიმე თვის გამოცდილება, განსაზღვრა საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს, კლასობრივი ბუნება.

რუსეთის სხუს რესპუბლიკის კონსტიტუციაში მთლიანად აისახა ვ. ი. ლენინის მიერ ჯერ კიდევ რევოლუციამდე გააზრებული და შემდეგ რევოლუციის მსვლელობაში დაზუსტებული და გაღრმავებული მარქსისტულ-ლენინური თეორიის უმნიშვნელოვანესი დებულებები სოციალისტური სახელმწიფოსა და დემოკრატიის, მმართველობის მასობრივი სახალხო ორგანოების და საბჭოთა ფედერაციისა და სამართლის შესახებ. 1918 წლის კონსტიტუცია კაცობრიობის ისტორიაში პირველი იყო, რომელმაც არა მარტო საჯაროდ გამოაცხადა დასახული მიზნები და დემოკრატიული პრინციპები, მშრომელთა ფართო უფლებებ-

საქართველოს საგარეო ურთიერთობების მინისტრო

ბი სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში, არამედ უზრუნველყო კიდევ მათი პრაქტიკაში განხორციელება.

1918 წლის კონსტიტუციამ, რომლის შემოქმედი მთელი ხალხი იყო, იურიდიულად გააფორმა პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, „იგი გამოგონილი არ არის რომელიმე კომისიის მიერ, შეთხზული არ არის იურისტების მიერ, გადმოწერილი არ არის სხვა კონსტიტუციებიდან.. ქვეყნად არ არის ისეთი კონსტიტუციები, როგორც ჩვენი კონსტიტუციაა. იქ ჩაწერილია ჩვენი ქვეყნის შიგნითაც და მთელს მსოფლიოში ექსპლოატატორთა წინააღმდეგ პროლეტარული მასების ბრძოლისა და ორგანიზაციის გამოცდილება“¹.

რუსეთის სფს რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც შეესაბამებოდა საბჭოთა საზოგადოების განვითარების პირველ საფეხურს, სოციალიზმის მწვებლობის საწყის სტადიას, აკანონებდა მთელ რიგ სპეციფიკურ ინსტიტუტებს, რაც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს მაშინდელი საშინაო და საგარეო მდგომარეობით უნდა აიხსნას. მაგალითად, მშრომელი კლასების ინტერესებიდან გამომდინარე 23-ე მუხლის მიხედვით ცალკეულ პირებსა და ჯგუფებს ერთმეოდა კონსტიტუციებით მინიჭებული უფლებები, რადგან მათ ეს უფედლოთ გამოუყენებნათ რევოლუციის ინტერესების საწინააღმდეგოდ. არჩევნები საბჭოებში მრავალსაფეხურიანი იყო, მაგრამ თავისი დემოკრატიული სულისკვეთებით, იდეებითა და პრინციპებით ეს კონსტიტუცია მაინც შეუდარებელია. მისი ბევრი დებულება უცვლელად გადავიდა შემგომ მიღებულ საბჭოთა კონსტიტუციებში. შემთხვევითი არ არის, რომ სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში, რომელიც 1977 წლის 7 ოქტომბერს იქნა მიღებული, პირდაპირ ჩაიწერა, რომ იგი იცავს „1918 წლის პირველი საბჭოთა კონსტიტუციის, 1924 წლის სსრ კავშირის კონსტიტუციისა და 1936 წლის სსრ კავშირის კონსტიტუციის იდეებისა და პრინციპების მემკვიდრეობითობას“². სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1977 წლის 24 მაისს მოხსენებაში — „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“ ამის თაობაზე თქვა: „პროექტზე მუშაობისას ჩვენ მტკიცედ ვადექით მემკვიდრეობითს ნიადაგს. პროექტში შენარჩუნებული და განვითარებულია სოციალისტური ტიპის კონსტიტუციის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, რომლებიც ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინმა დასახა“.

1918 წლის კონსტიტუციამ განსაზღვრა პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლესი პრინციპი — მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი, აგრეთვე ამ დიქტატურის მიზნები და ამოცანები, რაც იმას გულსხმობდა, რომ დაეთრგუნა ექსპლოატატორები, მოესპო საზოგადოების დაყოფა ურთიერთ-მოწინააღმდეგე კლასებად, სოციალისტურ საწყისებზე გარდაექმნა საზოგადოება.

რუსეთის სფს რესპუბლიკის 1918 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლური იდეა იყო ლენინური დებულება საბჭოების ხელისუფლების შესახებ, რამაც გამონატულება ჰპოვა სახელმწიფოს თვით ახალ სახელწოდებაშიც, რომელიც

¹ ვ. ი. ლენინი თხზ. ტ. გვ. 163.

² სსრ კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) თბ. 1977 წ. გვ. 6.

³ ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ, „საქართველოს კომუნისტი“, 1977 წლის № 6, გვ. 9.

კონსტიტუციამ დააწესა — რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა. კონსტიტუციის პირველი მუხლით რუსეთი გამოცხადდა „მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკად. მთელი ძალაუფლება ცენტრში და ადგილებზე ეკუთვნის ამ საბჭოებს“. საკანონმდებლო და აღმასრულებელ-განმკარგულებელი ხელისუფლება მთლიანად საბჭოებს გადაეცა, ექსპლოატატორები ჩამოცილებულ იქნენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების საქმიანობისაგან.

კონსტიტუციამ განამტკიცა ქვეყნის ეკონომიკური საფუძველი, მიუზღოვდა გებატონებულ სისტემად აღიარა სოციალისტური სისტემა, მოსპო მიწის, წილისფულის, წყლის, ტყის კერძო საკუთრება, ფაბრიკები, ქარხნები, რკინიგზა. ბანკები საყოველთაო-სახალხო, სახელმწიფო საკუთრებად აქცია. ამით კონსტიტუციამ დაადგინა საბჭოთა რუსეთის საზოგადოებრივი წყობილების ძირითადი პრინციპი — უმნიშვნელოვანეს საწარმოო საშუალებებზე სოციალისტური საკუთრების პრინციპი.

კონსტიტუციაში სათანადოდ აისახა აგრეთვე საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები, რაც დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისა და საბჭოთა ხელისუფლების პირველი დონისძიებების შედეგი იყო. მუშათა კლასი ექსპლოატირებულადან გადაიქცა გაბატონებულ კლასად, რომელიც თავის დიქტატურას ახორციელებდა. გლეხობა, რომელიც ვათავისუფლდა მემამულეთა ჩავგრისაგან, გახდა თავისუფალი მიწათმოქმედთა კლასი, პროლეტარიატის მოკავშირე. საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების ლიკვიდაციამ გამოიწვია ბურჟუაზიისა და მემამულეთა კლასის თანდათანობით მოსპობა. პრინციპულად სულ სხვა სოციალურმა სტრუქტურამ, კლასობრივი ძალების ახალმა თანაფარდობამ ხელი შეუწყო სოციალიზმის პრინციპების განმტკიცებას პოლიტიკაშიც და ეკონომიკაშიც.

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის პირველმა ძირითადმა კანონმა დააწესა რუსეთში მოსახლე ყველა ერისა და ეროვნების თანასწორუფლებიანობა. მან კანონსაწინააღმდეგოდ გამოაცხადა პირისათვის რასობრივი ან ეროვნული კუთვნილების მიხედვით რაიმე უპირატესობის მინიჭება, აგრეთვე ეროვნული უმცირესობის დაჩაგვრა ან თანასწორუფლებიანობის შეზღუდვა.

რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციის რესპუბლიკის 1918 წლის კონსტიტუციაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი პროლეტარული, სოციალისტური დემოკრატიის განმტკიცებისა და სრულყოფის საკითხებს. კონსტიტუციის ის მუხლები, რომლებიც ეძღვნება მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს, სავსებით სამართლიანად არის მიჩნეული მსოფლიო ცივილიზაციაში შეტანილ დიდ წვლილად. ამასთან უფლებების განსაზღვრისას მთელი სიმძიმე მათი განხორციელების გარანტიებზეა გადატანილი. კონსტიტუციის ხუთი მუხლი (მე-13—მე-17), ჩამოთვლის რა მოქალაქეთა უფლებებს, იქვე მიუთითებს, თუ რა საშუალებებით იქნება უზრუნველყოფილი მათი შესრულება.

კონსტიტუცია მოქალაქეთა ძირითად მოვალეობად აწესებდა შრომის მოვალეობას. იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ „ვინც არ შრომობს, არც ჭამს“, აგრეთვე საზოგადოების პარაზიტული ფენის მოსპობის მიზნით კონსტიტუცია აწესებდა საყოველთაო შრომითს ბეგარას. კონსტიტუცია მოქალაქეთა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვალეობად სოციალისტური სახელმწიფოს დაცვას მიიჩნევდა.

რუსეთის სფს რესპუბლიკის 1918 წლის კონსტიტუციამ კაცობრიობის ის-

ტორიაში პირველმა გამოაცხადა მშვიდობის პოლიტიკა. ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი პირველი დეკრეტით — მშვიდობის დეკრეტით ყველა მიომარ ხალხსა და მთავრობებს მოუწოდა — დაუყოვნებლივ დაეწყეთ მოლაპარაკება სამართლიანი და დემოკრატიული, უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის დადების შესახებ. საბჭოთა ხელისუფლების ეს ნაბიჯები მშვიდობის მისაღწევად ასახულია 1918 წლის კონსტიტუციაშიც.

1918 წლის კონსტიტუციამ განსაზღვრა საბჭოთა ფედერაციის ძირითადი პრინციპები და რუსეთის სფს რესპუბლიკა სახელიწიფოებრივი წყობილების მიხედვით გამოაცხადა ფედერაციულ სახელმწიფოდ.

ცნობილია, რომ ოქტომბრის რევოლუციამდე პარტია ეროვნულ საკითხში იცავდა ისეთ პრინციპებს, როგორც იყო: ეროვნებათა მიმართ იძულების ყველა ფორმის გადაჭრით უარყოფა; თავისი ბედის მოწყობის საქმეში ხალხთა თანაწილობისა და სუვერენობის აღიარება; მტკიცე გაერთიანების შესაძლებლობა მხოლოდ და მხოლოდ თანამშრომლობისა და ნებაყოფლობის საწყისებზე. პარტიას მიაჩნდა, რომ ასეთი გაერთიანება შესაძლებელი იყო კაპიტალის ძალაუფლების დამხობის შემდეგ. აქვე უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოს ფედერალური ფორმის თაობაზე რევოლუციის გამარჯვებამდე ყველაფერი გარკვეული არ იყო. ფედერაციის თვალსაზრისზე კომუნისტური პარტია, ვ. ი. ლენინი მტკიცედ და გარკვეულად დადგენენ მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა, განსაკუთრებით კი მისი გამარჯვების შემდეგ.

კომუნისტურმა პარტიამ, ვ. ი. ლენინმა განავითარეს მარქსისა და ენგელსის მოძღვრება ფედერაციის შესახებ, შეუფარდეს იგი ახალ კონკრეტულ ისტორიულ პირობებს, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების ამოცანებს და დაასაბუთეს, რომ საბჭოთა ფედერაცია ეროვნებათა თანამშრომლობის უმაღლესი ფორმაა. საბჭოთა ფედერაცია ახალი ტიპის, სოციალისტური ფედერაცია გახდა თავისუფალ ერთა ნებაყოფლობით გაერთიანების ფორმა. „ჩვენ ვგსურს ერების ნებაყოფლობითი კავშირი, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ისეთი კავშირი, რომელიც არ დაუშვებდა ერთი ერის არავითარ ძალადობას მეორე ერისადმი, — ისეთი კავშირი, რომელიც დამყარებული იქნებოდა სრულ ნდობაზე, ძმურ ერთიანობის ნათელ შეგნებაზე, სავსებით ნებაყოფლობით თანხმობაზე“⁴.

რუსეთის ფერედაციის შექმნასა და განმტკიცებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის დიდ რუს ხალხს, რომელიც ეროვნებათა ფაქტობრივი თანაწილობის დაცვის მაგალითს უჩვენებდა რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ წინათ ჩაგრულ ერებსა და ხალხებს.

რუსეთის სფს რესპუბლიკის 1918 წლის კონსტიტუციას დიდი საერთაშორისო, ინტერნაციონალური მნიშვნელობა ჰქონდა. ცნობილია, რომ როდესაც 1919 წელს შეიქმნა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა, მის კონსტიტუციაში პირდაპირ იქნა გადატანილი რუსეთის სფს რესპუბლიკის 1918 წლის კონსტიტუციის ბევრი დებულება, იგი საფუძვლად დაედო აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პირველ კონსტიტუციებსაც, რომლებიც ადგენდნენ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის კანონზომიერებებს.

რუსეთის სფს რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის უკვდავი დებულებები შემდგომ არის გამდიდრებული და გაღრმავებული სსრ კავშირის ახალ

⁴ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 348.

კონსტიტუციებში, რომლებსაც მთელმა მსოფლიომ სამართლიანად უწოდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მანიფესტი, სოციალიზმისა და ჰუმანიზმის ჰიმნი.

საბჭოთა ადამიანებისათვის დაუფიქსარი და ძვირფასია 1977 წლის 7 ოქტომბერი, ახალი კონსტიტუციის მიღების დღე. ახალმა კონსტიტუციამ კიდევ უფრო გააფართოვა მშრომელთა უფლებები და თავისუფლებები, სრულყო სოციალისტური დემოკრატია. შრომის, სწავლის, დასვენების, კულტურის მონაპოვართა დაუფლების, სოციალური უზრუნველყოფის, უფასო მეურნელობის, ბინის, სახელმწიფოს მართვაში აქტიური მონაწილეობის და სხვა უფლებები ყოველმხრივ გარანტირებული აქვს ადამიანთა ახალ ისტორიულ ერთობას — საბჭოთა ხალხს. მის საფუძველზეა აგებული და დაკონკრეტებული მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციებიც, რომლებიც მიმდინარე წელს იქნა მიღებული ამ სუვერენული ეროვნული ერთეულების ხელი-სუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ.

სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ დააკანონა უმაღლესი ტიპის დემოკრატიის, სოციალისტური დემოკრატიის მიღწევები, რასაც საფუძვლად დაედო საბჭოთა სახელმწიფოს განვითარება და სრულყოფა. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა „მილიონობით მოქალაქე სულ უფრო აქტიურად მონაწილეობს ხელისუფლების, სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობაში, წარმოებისა და განაწილების მართვაში, სოციალურ და კულტურულ პოლიტიკაში, მართლმსაჯულების აღსრულებაში. ერთი სიტყვით, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებასთან ერთად ხდება ჩვენი სახელმწიფოებრიობის თანდათანობით გადაზრდა კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველად“.⁵

სსრ კავშირი განუხრელად ასორციელებს მშვიდობის ლენინურ პოლიტიკას, იღწვის ხალხთა უშიშროების განმტკიცებისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის.

დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მეოთხე თავის მუხლებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის საკითხებს აწესრიგებენ. აქ მოცემული დებულებები წარმოადგევენ რუსეთის სფს რესპუბლიკის 1918 წლის კონსტიტუციაში განვითარებული ნშვიდობისა და მსოფლიოს ხალხთა თანამშრომლობის იდეების ლოგიკურ გაგრძელებას. „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის მიზანია. — ნათქვამია კონსტიტუციის 28-ე მუხლში — უზრუნველყოს, რომ ხელშემწყობი პირობები შეექმნას საბჭოთა კავშირში კომუნისმის აშენებას, მსოფლიო სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებას, მხარი დაუჭიროს ხალხთა ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის, აღიკვეთოს აგრესიული ომები და თანამიმდევრულად ხორციელდებოდეს სხვადასხვა სოციალური წყობის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები“.⁶

⁵ ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1977 წ. გვ. 25.

⁶ სსრ კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) თბ., 1977 წ. გვ. 16.

პირველი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების დღიდან განვლილმა სამოცმა წელმა ნათლად გვიჩვენა, რომ სწორი და ურყევეია მასში მოცემული ლენინური იდეები, რომლებმაც გაუძლო დროის მყარ გამოცდას და კიდევ ერთხელ დაამტკიცა სოციალიზმის უძლეველობა, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების უკვდავება. კაცობრიობის მომავალი კომუნიზმს ეკუთვნის და მის წინსვლას ამ გზაზე ვერაფერი შეაჩერებს.

კომუნისტურ პარტიას, ვ. ი. ლენინს კონსტიტუცია ყოველთვის მიაჩნდათ არა მარტო იურიდიულ აქტად, არამედ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ დოკუმენტად, რომელიც ამკვიდრებდა რევოლუციის მონაპოვარს, აცხადებდა სოციალისტურ მშენებლობის ძირითად ამოცანებსა და მიზნებს.

„ასეთი აყო ჩვენი პირველი 1918 წლის რუსეთის სფს რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელმაც დაამკვიდრა ოქტომბრის მონაპოვარნი და განსაზღვრა საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს, კლასობრივი არსი“⁷.

⁷ ვ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ, „საქართველოს კომუნისტი“, 1977 წლის № 6, გვ. 9.



საქართველოს სოციალისტური საზოგადოებრივი კონსტიტუცია

სსრ კავშირის ხალი კონსტიტუცია და სოციალისტური სწორების წესის შემდგომი სრულყოფა

პროფ. ბ. ბანძილაძე

1. საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პრეამბულაში მოცემულია განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ძირითადი ნიშნების თანამიმდევრული სისტემური დახასიათება და ხაზგასმულია სოციალისტური ცხოვრების წესის უპირატესობათა გამოვლენის ფართო შესაძლებლობანი ჩვენი საზოგადოების განვითარების ამ ახალ ეტაპზე.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ყურადღებას ამახვილებენ სოციალისტური ცხოვრების წესის ისეთ განმსაზღვრელ ნიშნებზე, როგორც არის: საზოგადოების საკეთილდღეო თავისუფალი შრომა, ცხოვრების კოლექტივისტური ბუნება, საზოგადოების ზრუნვა ადამიანთა კეთილდღეობისათვის და პიროვნებათა პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, მშრომელთა პოლიტიკური აქტიურობა და მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, ძმობა და მეგობრული თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის ყველა ერსა და ეროვნებას შორის, ინტერნაციონალიზმი, სოციალისტური კანონიერების დაცვა და შემდგომი განმტკიცება.

ყველა ეს ნიშანი და თავისებურება სოციალისტური ცხოვრების წესისა შეიძლება დავაჯფუფოთ თქთმბრის რეგოლუციის გამარჯვებისა და საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ისტორიული შედეგების ისეთი უმნიშვნელოვანესი ორიენტირების მიხედვით, როგორც არის ეკონომიკა, პოლიტიკა და იდეოლოგია.

სოციალისტური ცხოვრების წესში იგულისხმება ის ობიექტურ-ისტორიული ფენომენი, რომელიც კონცენტრირებულად გამოხატავს სოციალისტური ეკონომიკის, საბჭოთარი პოლიტიკისა და კომუნისტური იდეოლოგიის ხორცშესხმულ შენადნობს, მათს ცოცხალ ერთიანობას ადამიანთა ყოფაცხოვრებაში, მოღვაწეობაში და კულტურაში.

სოციალისტური, საბჭოთარი ცხოვრების წესი დიდმნიშვნელოვან ობიექტურ ფაქტორად იქცა. საბჭოთარი ცხოვრების წესი ობიექტური ფენომენია იმ აზრით, რომ იგი სოციალური განვითარების შინაგანი ლოგიკის ბუნებრივი შედეგია. მისი შექმნა და განვითარება ემორჩილება ობიექტურ კანონზომიერებას, ობიექტურ ფაქტორებს, რომელთა შეცვლა ან აღკვეთა აღემატება ადამიანის სუბიექტური ნებისა და ცხოვრების ძალეს.

საბჭოთარი ცხოვრების წესი ისტორიული ფენომენია იმ აზრით, რომ მისი შექმნა და განვითარება ემორჩილება საზოგადოების ისტორიული განვითარების კანონზომიერებას, სოციალური ცხოვრების დიალექტიკას, დროში და სივრცეში წარმავლობის აუცილებლობას. ისტორიულია იგი იმ მთავარი აზრით და მნიშვნელობით, რომ მისი წარმოშობა, არსებობა და განვითარება დაკავშირებულია ისტორიის შემოქმედი მშრომელი ხალხის მოღვაწეობასთან, მის შეგნებულ, მიზანდასახულ და კანონზომიერ აქტიურობასთან.

საბჭოური ცხოვრების წესი ობიექტურისა და სუბიექტურის დიალექტიკური ერთიანობის ცოცხალი განსახიერებაა. იგი ისეთი რეალური სოციალური სინამდვილეა, რომელიც მიიღება გარკვეული იდეალების, მიზნებისა და ნორმების ხორცშესხმა-რეალიზაციით. საბჭოური ცხოვრების წესი ფაქტად ქცეული ჯერარსობა, ობიექტურ რეალობად ქცეული ღირებულებაა.


მიზნისა და იდეალის ასეთი ობიექტივიზაცია ეფუძნება ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ წყაროებს. 1. საბჭოური ცხოვრების წესის ეკონომიკური საფუძველია წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება, მძლავრი სოციალისტური ეკონომიკა, რომელმაც არ იცის კრიზისები, კატაკლიზმები, ანარქია და ემორჩილება გეგმაზომიერი, პროპორციული, პროგრესული განვითარების კანონზომიერებას.

საბჭოური ცხოვრების წესის ეკონომიკური საფუძველი გულისხმობს აგრეთვე საკუთრების ისეთ ფორმებს, როგორც არის საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრება, პროფკავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრება და ცალკეულ პიროვნებათა პირადი საკუთრება. ახალი საბჭოთა კონსტიტუცია ასახავს და აკანონებს რა საკუთრების ასეთი ფორმების არსებობას, მოითხოვს, რომ საკუთრების კოოპერაციული, პროფკავშირული და პირადი ფორმები ხელს არ უშლიდნენ საერთო-სახალხო, საზოგადოებრივ საკუთრებას, როგორც მთავარსა და მადომინირებელს.

საბჭოური ცხოვრების ეკონომიკური პოლიტიკა ამკარაა: ხელი უნდა შეეწყოს შრომის ნაყოფიერების მაქსიმალურ ზრდას, საზოგადოების ეკონომიკური პოტენციალის ამოღებას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება მშრომელთა მუდმივად მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება. საკუთრების ფორმები და მათი სუბორდინაცია-კოორდინაცია გაიგება როგორც საწარმოო ურთიერთობათა უმნიშვნელოვანესი ელემენტი, რომლის დანიშნულებაა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საწარმოო ძალების განვითარებას. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, შემოქმედებას ახდენს წარმოებით ურთიერთობებზე საერთოდ და საკუთრების ფორმებზე კერძოდ.

კავშირისა და უკუკავშირის ამ პერმანენტულ პროცესში ბატონობა მატერიალისტური დიალექტიკა ისევე, როგორც ბატონობდა იგი წინა ეკონომიკურ ფორმაციებში. ოღონდ, მთვან განსხვავებით, სოციალისტურ ეკონომიკაში დიალექტიკის მოქმედებას არა აქვს ანტაგონისტური დაპირისპირებისა და კლასობრივი აფეთქებების ხასიათი. აქ საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა კავშირსა და უკუკავშირს აქვს დინამიკური, რიტმული, გეგმაზომიერი და მიზანშეწონილი ერთიანობა-პარამონიის ხასიათი. ეს არის სოციალისტური წარმოების წესის არსებაც და სპეციფიკაც, რაც საბჭოური ცხოვრების წესის ეკონომიკურ საფუძველს შეადგენს.

2. როგორ ახერხებს სოციალისტური ეკონომიკა დინამიკურ და რიტმულ განვითარებას ანტაგონიზმისა და კრიზისული კატაკლიზმების გარეშე, როგორ ბატონობს დიალექტიკა სოციალისტურ საზოგადოებაში დაპირისპირებულთა ბრძოლისა, აფეთქებისა და რევოლუციების გარეშე? ამაზე პასუხს იძლევა საბჭოური ცხოვრების წესის პოლიტიკური საფუძველი — საბჭოთა ხელისუფლება, საბჭოთა წყობილება, რომლის პოლიტიკური დედააზრი კონცენტრირებულია ახალ საბჭოთა კონსტიტუციაში. სწორედ კონსტიტუცია არის საბჭოური ცხოვრების წესი, ძირითადი კანონი, მისი პოლიტიკური ხერ-



ხემალი, პროგრამა და იდეალი. კონსტიტუცია ერთსა და იმავე დროს იმან კონსტატაციაც არის, რაც უკვე მიღწეულია, და იმის პროგრამაც, რაც უნდა განვახორციელოთ. იგი იდეალისა და რეალობის ისეთივე ერთიანობაა, როგორცაა: საერთოდ საბჭოური ცხოვრების წესი.

საბჭოთა ხელისუფლება, მისი სოციალური პოლიტიკა და დემოკრატიული სტრუქტურა, უზრუნველყოფს წარმოების ისეთი წესის ბატონობას, რომლის დაპირისპირებული მხარეები — საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობები ანტაგონიზმის ნაცვლად ჰარმონიაში არიან ერთმანეთთან, ასწრდობენ და ავითარებენ ერთმანეთს. დაპირისპირებულთა ერთიანობას აქ ეძლევა არა ბრძოლის, არამედ დინამიკური, რიტმული, გეგმაზომიერი და მიზანშეწონილი განვითარების ხასიათი.

სოციალისტურ საზოგადოებაში, მის წარმოების წესში არც დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონია მოხსნილი, არც რაოდენობრიობის თვისებრიობაში და პირუკუ გადასვლის კანონი და არც უარყოფის უარყოფის კანონი. საბჭოური ცხოვრების წესი ეყრდნობა ისეთ პოლიტიკას, რომელიც ფეხდაფეხ მიჰყვება სოციალისტურ ეკონომიკას. უფრო მეტი, თვითონ წარმართავს მას და რაოდენობრივი ცვლილებების ყოველ კრიზისულ დაგროვებას უქმნის მომწიფებული ნახტომის მშვიდობიანი, გეგმაზომიერი რეალიზაციის საკონტინუუალური საბიჯის. საბჭოთა კანონმდებლობისა და სოციალური პოლიტიკის ყოველი ცვლილება დროთა განმავლობაში მზადდება გარკვეული რაოდენობრივი ცვლილების თანდათანობითი დაგროვებით და ზომის კატეგორიის მოთხოვნათა შესაბამისად, ნახტომსა და რეგულაციურ, თვისებრივ ცვლილებას წარმოადგენს, ოღონდ ამ ნახტომსა და რეგულაციის მშვიდობიანი და გეგმაზომიერი ხასიათი აქვს.

ასეთ ნახტომებს და მშვიდობიან რეგულაციებს არა ერთსა და ორს იცნობს საბჭოთა საზოგადოების 60-წლიანი ისტორია. უკანასკნელ პერიოდში ასეთ ნახტომებად და რეგულაციური მნიშვნელობის მოვლენებად მიიჩნევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და 1965 წლის მარტის პლენუმები, პარტიის XXV ყრილობა, ახალი კონსტიტუციის მიღება და სხვა.

რეგულაციის მნიშვნელობა აქვს და დიალექტიკური ნახტომია ყოველი ის სოციალური, პოლიტიკური აქტი, რომელიც აჩქარებს და თვისებრივად აუმჯობესებს ჩვენი საზოგადოების წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში, ხანის ობიექტურ და სუბიექტურ დაბრკოლებებს სოციალური პროგრესის გზაზე, ქმნის კანონიერებისა და დემოკრატიის შემდგომი განმტკიცებისა და გაღრმავების ხელსაყრელ პირობებს, ყველა რანგის ხელმძღვანელ კადრებს შორის ნდობის, პატივისცემის, მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის ატმოსფეროს. ამაზე მეტი რეგულაცია და თვისებრივი ნახტომი ჩვენს პირობებში ძნელი წარმოსადგენია.

სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენი საზოგადოების ყველაზე მოწინავე და ფხიზელი პოლიტიკური ალღოს მქონე ნაწილი საბჭოთა საზოგადოებისა და პარტიის გამოჩენილ მოღვაწეებს პროფესიონალ რეგულაციონერებად მიიჩნევს მაშინაც კი, როცა ისინი რეგულაციის შემდგომ თაობებს მიეკუთვნებიან. ასეთი პროფესიონალი რეგულაციონერების მოღვაწეობა ერთგვარი მემკვიდრეობითი მონაცვლეობის ტრადიციას ქმნის, რომლის თანამიმდევრულ ჯაჭვში უარიყოფა ყოველი ძველი და დრომიჯებული, ვითარდება ახალი და პროგრე-

სული. ეს ახალი, როგორც ცნობილია, ხელალებით კი არ უარყოფს ძველს, არამედ, მასი დადებითი მხარეების შენარჩუნებით, შემონახვით, აღდგენით და განვითარებით. დადებითისა და პროგრესულის ასეთი შემონახვა-აღორძინება იძლევა აღმავალი განვითარების სპირალს, როგორც საერთოდ, ყოველი განვითარების უზოგადეს დიალექტიკურ მოდელს და უარყოფის უარყოფის განწმენის მიერ.

საბჭოური ცხოვრების წესის პოლიტიკური საფუძველი, საბჭოთა ხელი-სუფლების სტრუქტურა და მისი ორგანოების ფუნქციონირება ემორჩილება ჩვენი პარტიულ-პოლიტიკური წყობის ორგანიზაციულ პრინციპს — **დემოკრატიულ ცენტრალიზმს**. ესეც სოციალური დიალექტიკის ცოცხალი განსახიერებაა. აქ არის სწორედ დაპირისპირებულთა ერთიანობა და ჰარმონია, ურთიერთგამიჯვნა და თანამშრომლობა.

ჩვენი საზოგადოება დემოკრატიულია. ეს ნიშნავს, რომ ხალხი, მშრომელები არიან ყველაფრის ბატონ-პატრონი. ხალხი განაგებს თავის ცხოვრებას, შრომას, განათლებას, დასვენებასა და კულტურულ განვითარებას. ხალხის ძალაუფლების რეალიზაციის სახელმწიფოებრივი ფორმაა საბჭოები, რომლის აღმოჩენა და დამკვიდრება დაკავშირებულია დიდი **ლენინის** სახელთან. ხალხის რჩეული დებუტატები ბჭობენ, სწავლობენ, ეძიებენ და ამკვადრებენ ისეთ წესებს, კანონებს და პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანურ ღირსეულ ცხოვრებას, კულტურისა და ცივილიზაციის პროგრესს. სოციალური ორგანიზმის ამაზე მეტი დემოკრატიულობა ამჟამად და რეალურად შეუძლებელია.

მაგრამ ხალხის ნება-სურვილის რეალიზაცია გარკვეულ წესრიგს მოითხოვს, რაც წარმოუდგენელია ნათელი ორგანიზაციული სტრუქტურისა და გონივრული დისციპლინის გარეშე. ასეთი სტრუქტურისა და დისციპლინის დერძია **ცენტრალიზმის პრინციპი**. **დემოკრატია არ განხორციელდება უცენტრალიზმოდ**, ისევე, როგორც არმია ვერ მოიგებს ომს სამხედრო დისციპლინის გარეშე. ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს დამაარსებელმა უკვდავმა **ლენინმა** ამომწურავი სიცხადით განმარტა დემოკრატიული ცენტრალიზმის შინაარსი: განხილვისა და კრიტიკის აბსოლუტური თავისუფლება და მოქმედების ერთიანობა ანუ მიღებული დადგენილების აბსოლუტური აუცილებლობა. ეს არის თავისუფლებისა და აუცილებლობის რეალური დიალექტიკა სოციალურ სინამდვილეში.

გაივლის საუკუნეები, პარტია და სახელმწიფო შეასრულებენ თავიანთ ისტორიულ როლს და ისტორიასვე ჩაბარდებიან, ჩვენი პლანეტის მომავალ ერთიან, კომუნისტურ საზოგადოებაში ეკონომიკური და კულტურული პროგრესისა და უსასრულო სრულქმნის ორგანიზაციული პრინციპი კი ყოველთვის იქნება **თავისუფლებისა და აუცილებლობის დიალექტიკური ერთიანობა**, რომელსაც დღეს, ჩვენს პირობებში დემოკრატიული ცენტრალიზმის სახე აქვს. ადამიანის გონებისათვის ჯერჯერობით მიუღწეველია საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და სტრუქტურული ფუნქციონირების უფრო ოპტიმალური ფორმა, ვიდრე დემოკრატიული ცენტრალიზმია.

ყოველ საქმეს სპეციალისტები მოიფიქრებენ, მეცნიერულად შეაფასებენ ამ საქმის დადებით და უარყოფით მხარეებს, თავისუფალი კრიტიკული განხილვისა და აწონ-დაწონვის შედეგად მიიღებენ გარკვეულ გადაწყვეტილებას, რომლის შესრულება სავალდებულო იქნება ყველასათვის. ეს სავალდებულო-

ობა, რა ოქმა უნდა, არ გამოიციხავს მიღებული გადაწყვეტილებების შემდგომი და მუდმივი კრიტიკული შეფასების თავისუფლებას, ასეთი კრიტიკის ხელისშეწყობასა და წახალისებას, პერმანენტული კრიტიკული აზროვნების უფლება-მოვალეობას. ეს არის მეცნიერული, ლოგიკური, დიალექტიკური აზროვნებისა და მოქმედების მოთხოვნა და აუცილებლობა.

ერთხელ დაკანონებული და მიღებულ გადაწყვეტილების კრიტიკა და ხელახალი შემოწმება რომ არ შეიძლებოდეს, სოციალური პროგრესი შეუძლებელი იქნებოდა. ცხოვრება წინ მიდის და იგი უფრო დინამიკური და რევოლუციურია, ვიდრე ადამიანის აზრი ან სოციალური კანონი. ჩვენი საზოგადოება ამიტომ აღიარებს კრიტიკის თავისუფლებას და იმდენად დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს მას, რომ ახალ კონსტიტუციაში სპეციალურად იქნა შეტანილი მუხლი კრიტიკისათვის დევნის შეუწყნარებლობისა და ამის გამო პასუხისმგებლობის შესახებ.

3. საბჭოური ცხოვრების წესი არ ამოიწურება მისი ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლების დახასიათებით. ასეთივე ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს მისი იდეოლოგიური და კულტურული წყაროების დახასიათებას. საბჭოური ცხოვრების წესი — ეს არის წესი სოციალისტური და კომუნისტური იდეოლოგიისა და კულტურის სულისკვთებით ცხოვრებისა, მოღვაწეობისა, არსებობისა.

სოციალისტური და კომუნისტური იდეოლოგია გულისხმობს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეური და თეორიული საგანძურის დაცვა-განვითარებას, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის პრინციპებით ხელმძღვანელობას ცხოვრებასა და შემოქმედებაში, კომუნისტური მორალის პრინციპებისა და მოთხოვნების ხორცშესხმას ყოველი ჩვენგანის პრაქტიკულ საქმიანობაში. სწორედ კომუნისმის მშენებლის მორალური კოდექსია იდეური და კულტურული ცხოვრების ის პროგრამა, რომელიც საფუძვლად ედება საბჭოური ცხოვრების წესს.

საბჭოური ცხოვრების წესის ეს იდეურ-კულტურული მხარე ყველაზე თვალმისაცემი და ხელშესახებია, როცა ლაპარაკია საბჭოთა საზოგადოებისა და მისი მოქალაქის ღირსებათა სპეციფიკაზე. უპირველეს ყოვლისა, საბჭოურა ცხოვრების წესში ის იგულისხმება, რომ ჩვენში შრომა, საქმიანობა, კეთება და შემოქმედება უმაღლესი ღირებულების რანგშია აყვანილი. სხვაგვარად შეუძლებელიცაა. ჩვენი საზოგადოება მშრომელთა საზოგადოებაა, ჩვენი სახელმწიფო მშრომელთა საერთო-სახალხო სახელმწიფოა და თავისთავად ცხადია, რომ ჩვენში რევოლუციის პირველი დღიდანვე შრომისა და შემოქმედების ნამდვილი კულტია გამეფებული.

ახალი საბჭოთა კონსტიტუცია აკანონებს საბჭოთა მოქალაქეთა შრომის უფლება-მოვალეობებს, პროფესიის გამოცვლის თავისუფლებას; ეს პუნქტი მემკვიდრეობით არის მიღებული წინა კონსტიტუციებიდან. შრომა ყოველი ადამიანის უპირველესი უფლება და საზოგადოებრივი მოვალეობაა. თუ ყოველი პროგრესული და სახალხო კონსტიტუცია იურიდიულად აკანონებს შრომის უფლება-მოვალეობას, ეს იმით კი არ არის გამოწვეული, თითქოს სახელმწიფოს მხრივ შემოქმედებით იქცევა შრომა უმაღლეს ღირებულებად, არამედ, პირიქით: შრომის აუცილებლობა სახელმწიფოებრივ პრინციპად იქცევა იმიტომ, რომ იგი ფაქტიურად უკვე არის მშრომელებში მიჩნეული უმაღლეს ღირებულებად.

აქედან კი გამომდინარეობს ორგვარი პასუხისმგებლობა: ერთი მხრივ, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოქალაქეთა შრომითი მოწყობის მოვალეობისა და პროფესიათა გამოცვლის შესაძლებლობის უზრუნველყოფის საქმეში და, მეორე მხრივ, თვითონ მოქალაქეთა პასუხისმგებლობა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მოვალეობის წინაშე. ასეთი შრომითი მოვალეობის გარეშე არ არსებობს შრომის უფლება და პროფესიის არჩევისა და გამოცვლის თავისუფლება. აქაც დიალექტიკური ერთიანობაა უფლებისა და მოვალეობისა, პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესებისა, ერთეულისა და ზოგადისა.

საბჭოური ცხოვრების წესი გულისხმობს, როგორც მშრომელთა საწარმოო აქტიურობას, შემოქმედებითს ინიციატივას, ნოვატორობისა და რაციონალიზაციისადმი შეუწყობელ მისწრაფებას, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის მუდმივ ბრძოლას, ასევე სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრივ მუდმივ ზრუნვას მოქალაქეთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, მძიმე ფიზიკური შრომის შემსუბუქებისათვის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვისათვის, ფიზიკური და გონებრივი შრომის დაახლოვებისათვის, სამუშაო დროის შემცირებისა და თავისუფალი დროის კულტურული შინაარსით შევსებისათვის.

შრომის უფლების კონსტიტუციური პრინციპი მოითხოვს, რომ არც ერთი მოქალაქე, არც ქალაქად და არც სოფლად, არ უნდა დარჩეს თავისი უნარისა და შესაძლებლობების შესატყვისი შრომითი მოწყობის გარეშე. საქმე ისე უნდა აეწყოს, რომ უშრომელი ცხოვრება შეუძლებელი გახდეს, უსაქმურებსა და პარაზიტებს დაეხმოს არსებობის ყველა წყარო და საშუალება. უნდა აღიკვეთოს კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მონმხვეჭელობის ყველა მასაზრდოებელი არხი. ამ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა ისევე ორგანულად ახასიათებს საბჭოური ცხოვრების წესს, როგორც შრომითი წარმატებისა და აქტიურობის წახალისება და სტიმულირება.

საბჭოური ცხოვრების წესში ტრადიციად დამკვიდრდა საწარმოო აქტიურობის ზრდა ყოველ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით. ყოველ დღესასწაულს და თვალსაჩინო მოვლენას მშრომელები ხვდებიან ახალი გადიდებული შრომითი ვალდებულებით, ახალი შემხვედრი გეგმებით და კონკრეტული ინიციატივებით. ეს საესებით ჯანსაღი და პროგრესული ტრადიციია, რომლის გონივრული წარმართვა და რეგულირება შეიძლება სოციალისტური შეჯიბრების ფორმებისა და მეთოდების შემდგომი დაზვეწით, მატერიალური და მორალური წახალისების რაციონალური შეხამებით, შეჯიბრების მსვლელობისა და შედეგების მეტი საჯაროობისა და პოპულარიზაციის უზრუნველყოფით. მთავარია ამ საქმეში სტიმულების სწორი და თერატიული რეგულირება. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ჩვენი ბელადის მითითება იმის შესახებ, რომ სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობა შეიძლება არა მხოლოდ რევოლუციურ ენთუზიაზმზე დაყრდნობით, არამედ ამ ენთუზიაზმის დანმაჩებით. მასების რევოლუციურ ენთუზიაზმს კი ქმნის არა ყოველი ახალი კრება და მიტინგი, არამედ ჩვენი ეკონომიკისა და პოლიტიკის პრაქტიკული მიღწევები, ჩვენი იდეოლოგიისა და კულტურის თვალსაჩინო წარმატებები.

საბჭოთა ქვეყნის მძლავრი ეკონომიკა და მისი მართვის ბრძნული სახელმწიფო პოლიტიკა ის ობიექტური ბაზაა, რომელსაც ეფუძნება ხალხის

მატერიალური კეთილდღეობის მუდმივი ამაღლების ტენდენცია და მათივე შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის ერთგვარი პულსსართული აღგზნების ჯანსაღი ტრადიცია. საბჭოთა ხალხის შრომითი ერთუზიანების ეს პულსარი მით უფრო მეტ პოლიტიკურ და მორალურ ენერჯიას გამოასხივებს პლანეტის ყველა კუთხეში, რაც უფრო მეტი იქნება ცოცხალი პრაქტიკული საქმე და ნაკლები იქნება ლაპარაკი ამ საქმის შესახებ. ჩვეულებრივ სჯერათ არა სიტყვების, არამედ საქმეების. ეს ძველთაძველი სიბრძნე საბჭოური ცხოვრების წესის ერთ-ერთ სადღესო პრინციპად იგულისხმება.

შრომისა და შემოქმედების კულტი საბჭოური ცხოვრების წესის იმ ფუნდამენტური ნიშანია, რომელსაც ეფუძნება ჩვენი ზნეობრივი ცხოვრების ყველა სხვა პრინციპი და ნორმა. ვისაც შრომა უყვარს და შრომის ფასი იცის, მან არ შეიძლება არ იცოდეს მშრომელის დაფასება და პატივისცემა. მშრომელ კაცს, როგორც წესი, ახასიათებს ამხანაგებისა და მეზობლებისათვის ზრუნვა და თანამშრომლობა. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა კოლექტივიზმის მორალური პრინციპის მოთხოვნა და მისი ხორცშესხმა. ეს პრინციპი ისევე ობიექტურად გამომდინარეობს შრომისმოყვარეობის რეალური ფენომენიდან, როგორც თვით შრომის სიყვარულის ნორმა და მოთხოვნა. ის, რაც უნდა იყოს (ჯერარსი) — გამოგვყავს იქიდან, რაც არის (არსი). ცოცხალი სოციალური სინამდვილე — პრაქტიკა არის მორალური ღირებულების ობიექტური საფუძველი.

საბჭოთა საზოგადოების მორალი გამოირჩევა სწორედ კოლექტიურობით, თანაგრძნობით და თანამშრომლობით. არაფერი ისე არ ამიღიდრებს და არ ამშვენებს ადამიანის ცხოვრებას, როგორც სხვა ადამიანებთან თანამშრომლობა და სოლიდარობა, ამხანაგობა და მეგობრობა. ადამიანი თავისი შინაგანი ბუნებით სოციალური არსებაა. სხვა ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე არა მარტო შრომის პროცესია შეუძლებელი და საერთოდ წარმოება — ფიზიკური არსებობის მთავარი პირობა, არამედ შეუძლებელია ადამიანური ცნობიერი არსებობა და მოღვაწეობა. სხვა ადამიანი ისევე ესაჭიროება ადამიანს — სოციალურ არსებას, როგორც ჰაერი და წყალი ესაჭიროება ყოველ ცოცხალ არსებას. ადამიანური ბუნების ამ ფუნდამენტურ გარკვეულობას გამოთქვამდა ჯერ კიდევ არისტოტელე, როცა ადამიანს განსაზღვრავდა როგორც პოლიტიკურ ცხოველს („ძიონ პოლიტიკონ“).

იგივე აზრი გამოთქვა კ. მარქსმა, როცა ადამიანის არსებაში დაინახა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა. ადამიანი ადამიანისათვის სარკეაო, — ამბობდა მარქსი. იგი სხვა ადამიანში გარედან ხედავს საკუთარ თავს, საკუთარ მიზნებსა და მისწრაფებებს. ასეთი სტერეოალქმა საკუთარი ბუნებისა ეხმარება ადამიანს საკუთარი არსების, ცხოვრების აზრისა და დანიშნულების ინტუიციურ თუ ლოგიკურ გათვითცნობიერებაში. ადამიანური ბუნების ასეთი გაშუალებული მოცულობითი განცდა თვით ამ ბუნების უნიშვნელოვანესი ობიექტური ნიშანია, რასაც სოციალურობას ვუწოდებთ.

ადამიანის სოციალურობა ისეთი გვაროვნული ნიშანია, ობიექტური, გენეტიკური ფენომენაა, რომელიც ვლინდება თანამშრომლობასა და სოლიდარობაში. ადამიანის მიერ ამ საკუთარი სოციალური ბუნების გაცნობიერება წარმოშობს მისი დაცვისა და განმტკიცების აუცილებლობის შეგნებას, ანუ თანამშრომლობასა და კოლექტიურობის ნორმატიულ მოთხოვნას, მორალურ

პრინციპს. ეს უკანასკნელი იმდენად არსებითი პრინციპია მშრომელი ხალხის მორალისა, რომ იგი ფაქტიურად მთელი ზნეობის არსებას გამოხატავს.

კოლექტივიზმი — ეს ჩვენი ზნეობაა, რაც საფუძვლად ედება მშრომელთა ინტერესების, მიზნებისა და იდეალების ერთიანობას. ასეთი ერთიანობის გარეშე, ნებაყოფლობითი, შეგნებული და უანგარო ურთიერთზრუნვის გარეშე ადამიანთა ერთობას არა აქვს ნამდვილი კოლექტივის სახე. იქ, სადაც ხალხს აერთიანებს იძულებითი შრომა ან ანგარება, საქმე გვაქვს, როგორც მარქსი იტყობდა, „კოლექტივიზმის სუროგატთან“.

საბჭოური ცხოვრების წესი გამორიცხავს ასეთ იძულებას და ანგარებას. ჩვენთან იძულების ადგილს იჭერს შეგნებულობა, ხოლო ანგარების ადგილს — მიზანშეწონილება, ჯანსაღი პრაქტიკული აზრი, გერგილიანობა და მუყაითობა. ასეთია რეალური ვითარება, საბჭოური ცხოვრების წესის დღევანდელი მორალური ფიზიონომია. განვითარების ტენდენცია კი ისეთია, რომ შეგნებულობა პიროვნებათა სრული სოციალიზაციის გზით მადლდება პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესების ჰარმონიამდე, ესე იგი, თავისუფლებამდე. ხოლო მიზანშეწონილება და ჯანსაღი პრაქტიკული აზრი უმადლეს ღირებულებათა მატერიალიზაციისა და კულტურული პროგრესის გზით მადლდება უანგარობისა და მორალური კეთილშობილების სრულ ბატონობამდე. იქ, სადაც არ იგრძნობა ეს ძვრები და არ ხარობს მომავალი კომუნისტური ურთიერთობის მორალური ყლორტები — არცა გვაქვს საქმე ნამდვილ საბჭოურ ცხოვრებასთან. სამწუხაროდ, ასეთი ლოკალური, ჩამორჩენილი უბნები თუ მთელი რეგიონები ჯერ კიდევ იშვიათი არ არის, რაც მოითხოვს ჩვენი საზოგადოების ყველა რგოლის მუშაობას შემდგომ გააქტიურებას.

ასეთ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მარტო პარტიულ-ორგანიზაციულ ზემოქმედებას, არამედ ასევე კულტურულ-იდეოლოგიურ მოღვაწეობასაც, კერძოდ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებას. ჩვენ ჯერ კიდევ ვალში ვართ საბჭოთა სინამდვილის წინაშე: ჩვენი რესპუბლიკის ინტელექტუალური პოტენციალის ყველა რეზერვი არ არის გამოყენებული იდეოლოგიურ ბრძოლაში. სათანადო ლიტერატურაში და იდეოლოგიური ზემოქმედების არხებში ჯერ კიდევ იშვიათია დამაჯერებელი ინფორმაცია კერძომესაკუთრული ტენდენციების, მომხვეჭელობის, ეგოიზმის, ინდივიდუალიზმისა და მომხმარებლურ-ობივაციტელური ფსიქოლოგიის მანკიერებისა და ბოროტების შესახებ. როგორც სპეციალურ, ისე პოპულარულ პროპაგანდისტულ ლიტერატურაში ჯეროვანი სისრულით არ არის ნაჩვენები საბჭოური, კოლექტივისტური ცხოვრების ყველა უპირატესობა და უმადლეს ადამიანურ ღირებულებათა სოციალური დეტერმინაციის როლი და ადგილი.

საბჭოური ცხოვრების წესის კოლექტივისტური ბუნება შინაგანი აუცილებლობით მოითხოვს საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობებისა და იდეალების გაღვივებას და განვითარებას. საბჭოთა პატრიოტიზმს ასაზრდოებს იმის შეგნება, რომ სწორედ ჩვენმა ხალხმა მოახდინა პირველად კაცობრიობის ისტორიაში სოციალისტური რევოლუცია, დაამარცხა შინაგანი კონტრარევოლუცია და გარედან ინტერვენციები, ააშენა პირველი სოციალისტური საზოგადოება, იხსნა მსოფლიო ფაშისმის გაბატონებისაგან, გზა გაუკაფა კაცობრიობას კოსმოსისაკენ და ძლევათაგან ნაბიჯებით მიდის წინ კომუნისმის მშენებლობის გზით.

ყოველივე ეს და კიდევ მრავალი სხვა გმირობა და წარმატება საბჭოთა ხალხისა არ შეიძლება არ იწვევდეს კანონიერი სიამაყის გრძობას, ისტორიულ და ლეგენდარულ საკაცობრიო ეპოქაში აქტიური პიროვნული მონაწილეობის აღმაფრთოვანებელ განცდას. ვისაც ამის შეგნება და განცდა არა აქვს, ის ან მტერია ჩვენი, ან პოლიტიკურად უწიგნური. როგორც ერთი, ისე მეორე საჭიროებს დახმარებას გზასაცდენილი ნებისყოფისა და რამორჩენილი შეგნების გამოფხიზლებაში. ახალი საბჭოთა კონსტიტუცია იძლევა ასეთი ჰუმანურობისა და სულგრძელი კეთილშობილების გამოვლენის შესაძლებლობას.

გზასაცდენილთა მკურნალობის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა მთმინებითი და შეუპოვარი, დამაჯერებელი იდეოლოგიური პროფილაქტიკა. ვერაფრთარი სასჯელი და იძულებითი მკურნალობა ვერ გააკეთებს იმდენ სასარგებლო საქმეს ამ სფეროში, როგორც მართალი სიტყვა, გულწრფელი გრძობა, ნათელი აზრი და სუფთა სინდისი. ამ ფაქტორების ამოქმედება და გამოყენება იდეოლოგიის გადაუდებელი ამოცანაა.

საბჭოთა პატრიოტიზმის ამიღლებულ გრძობას საბჭოური ცხოვრების წესში ორგანულად ერწყმის **ეროვნული სიამაყის** კეთილშობილური გრძობები, ეროვნული პატრიოტიზმის ჯანსაღი და კანონიერი მისწრაფებები. საბჭოთა სახელმწიფო მრავალეროვანი ორგანიზმია და პატრიოტი ვერ იქნები, თუ არ ეცადე შენი ერისა და ხალხის წარმატებასა და აყვავებას.

საბჭოთა პატრიოტიზმისა და ეროვნული სიამაყის გრძობებსა და იდეალებს შინაგანი ორგანული კავშირი აქვს **პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის** იდეალებთან და გრძობებთან. ძნელი არ არის ამ კავშირის დანახვა და შეფასება. ყველა უნდა ცდილობდეს უმრავლეს სამშობლოს მეგობრები და მოკეთებები. სხვა ხალხებს პატივი უნდა სცე, დააფასო და დაეხმარო, თუ გსურს, რომ შენი ხალხიც ასევე დააფასონ, პატივი სცენ და დაეხმარონ.

მრავალეროვან ცივილიზაციაში მორალური ურთიერთობის სწორედ ეს „ოქროს წესი“ გამოდის წინა პლანზე. თუ ამ წესში ეთიკური თვალსაზრისით რაიმე ანგარება და პირობითი იმპერატივი იგულისხმება, რასაც ი. კანტმა პრინციპულად დაუპირისპირა თავისი კატეგორიული იმპერატივი (სხვას უნდა დაეხმარო არა იმიტომ, რომ იგი შენ დაგეხმარება, არამედ იმიტომ, რომ თვითონ დახმარება სიკეთე და მოვალეობა), სამაგიეროდ პრაქტიკულ ცხოვრებაში ამ პირობითი იმპერატივს საღი პოლიტიკური აზრი და გონივრული მიზანშეწონილება ეწოდება. ამით სრულებითაც არ იჩრდილება ობიექტური სამართლიანობისა და ღირსების უპირატესი პატივისცემის იდეალები და მისწრაფებები. სხვა ერებსა და ხალხებს ჩვენ მაშინაც დავაფასებდით, ჩვენი ერისა და ხალხისათვის არაფრის სასარგებლოს გაკეთება რომ არ შეეძლოთ; მაგრამ დავაფასებდით სწორედ იმიტომ, რომ მათაც ჩვენსავით **ინტერნაციონალური კეთილშობილებით** მივიჩნევდით. ერისა და ხალხის კეთილშობილება ის აუცილებელი ნიშანია, რომელსაც ეფუძნება მის მიმართ ყოველი სიმპათიის, თანაგრძობისა და სოლიდარობის გამოვლენა და შესაძლებლობა. ასეთი კეთილი ნების გარეშე, ანუ ნაციონალისტი და შოვინისტი ძნელად თუ შეიძლება ვინმეს უყვარდეს.

ერებისა და ხალხების ურთიერთობა ჩვენს ეპოქაში რთული სოციალ-პოლიტიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური პრობლემაა. ჩვენი მსოფლმხედ-

2. საბჭოთა სამართალი № 4

ქ. მარქლის ხელ. სიჭ. სხჩ.
საგანმანათლებლო საბჭო

ველობა — მარქსიზმ-ლენინიზმი და ჩვენი სახელმწიფო — განვითარებული სოციალიზმის ქვეყანა იძლევიან ამ რთულ ისტორიული პრობლემის სწორ, სამართლიან თეორიულ და პრაქტიკულ გადაწყვეტას.

მარქსიზმ-ლენინიზმი პრინციპულად ილაშქრებს ხალხებისა და ერების ყოველგვარი უთანასწორობისა და პრივილეგიების წინააღმდეგ მიუხედავად მათი რიცხობრივი სიმრავლისა, დასახლების გეოგრაფიისა, ეთნიკური კუთვნილებისა, მატერიალური და სულიერი სიმდიდრისა, ისტორიული დამსახურებისა და განვითარების პოტენციისა. ყოველ ამ პარამეტრს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ერის, ქვეყნისა თუ მთელი კაცობრიობის შემდგომი ბედისათვის, მაგრამ არც ერთი უპირატესობა ამ მონაცემებში არ აძლევს რომელიმე ერს სხვა ერებთან შედარებით რაიმე მორალურ და პოლიტიკური უპირატესობას. რადიკალიზმი და თვისებრივი მონაცემების სხვაობა ვერ გადალბობს ღირსებათა სხვაობაში. ეროვნული ღირსება, ისევე როგორც ადამიანური ღირსება საერთოდ, თავისთავადი, შეუვალა და აუწონავი ღირებულებითი ფენომენია. ეს არის ერთა და ხალხთა საყოველთაო თანასწორობის მორალური და პოლიტიკური საფუძველი.

აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ ყოველი ერისა და ხალხის ენას, კულტურას, ჯანსაღ ტრადიციებს ერთნაირი უფლება აქვთ არსებობისა და განვითარებისა. ერთი რომელიმე ერის მიერ სხვა ერების შთანთქმისა და ასიმილაციის პოლიტიკა მარქსიზმ-ლენინიზმისათვის პრინციპულად გამორიცხულია, როგორც რეაქციული.

ეროვნული პოლიტიკისადმი ასეთ ლენინურ მიდგომას ეყრდნობოდა ჩვენი ქვეყნის ყველა კონსტიტუცია და კიდევ უფრო ნათლად დამკაფიოდ არის იგი წარმოჩენილი ახალ საბჭოთა კონსტიტუციაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა **ლ. ი. ბრეჟნევმა** უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესიაზე ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვის შედეგების შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში საკადრისი პასუხი გასცა ყველას, ვინც ამახინჯებს ლენინური ეროვნული პოლიტიკის კურსს და მოითხოვს საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ერისა და ეროვნების ერთ საბჭოთა ერთად გამოცხადებას.

ასეთი წინადადებების ფსევდომემარცხნული შეცდომა ის არის, რომ ისინი, ერთი მხრივ, ანგარიშს არ უწევენ ერების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას საბჭოთა კავშირისა და ერთიანი საბჭოთა ხალხის არსებობის პირობებში, ხოლო, მეორე მხრივ, ვერ ხედავენ ან განგებ ხუჭავენ თვალს მარქსიზმ-ლენინიზმის იმ ფუნდამენტური პრინციპის წინაშე, რომელიც მოითხოვს ყველა ერის თავისუფალი და შეუხლდღავი განვითარების უფლება-მოვალეობას. ამხანაგმა **ლ. ი. ბრეჟნევმა** თავის გამოსვლაში საბჭოთა კავშირის შექმნის 50-ე წლისთავის შესახებ 1972 წელს და სკკპ XXV ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში ნათლად და გარკვევით ჩამოაყალიბა ჩვენი პარტიის პოლიტიკა ერების დაახლოების საკითხში.

ლაპარაკობდა რა საბჭოთა კავშირში შემავალი ერებისა და ეროვნებების დაახლოებაზე, მან აღნიშნა, რომ ეს ობიექტური პროცესია და არ არის არავითარი საჭიროება ხელოვნურად დავაჩქაროთ იგი. მაგრამ პარტია ვერ შეგუდება ვერავითარ ცდას ხელი შეუშალოს ერების დაახლოების ამ ბუნებრივ პროცესს.

შეიძლება ვინმემ იკითხოს, თუ რატომ არ უნდა დავაჩქაროთ შეგნებულად ის სოციალური პროცესი, რომელიც ობიექტურად თავისთავად მიმდინარეობს და მის პროგრესულობაში ეჭვი არ გვეპარება? თუ ერების დაახლოება სიკეთეა, მაშინ ამ დაახლოების დაჩქარებაც სიკეთე უნდა იყოს.

საქმე ის არის, რომ სწორედ **თანდათანობაა** ეროვნული ფენომენის დიალექტიკური განვითარების ის ზომა, რომელიც საშუალებას იძლევა უმტკიანეულოდ მიმდინარეობდეს ერების დაახლოების კანონზომიერ პროცესი. ამ სპეციფიკის გაუთვალისწინებლობა ხშირად იწვევს გაუგებრობასა და წინააღმდეგობებს. ამ რთული საკითხის განმარტებაში გარკვეული წვლილი შეიტანა პარტიის ინტერნაციონალური პოლიტიკის შესახებ 1976 წელს თბილისში გამართულმა საკავშირო კონფერენციამ და საკავშირო ჟურნალ „კომუნისტში“ დაბეჭდილმა ამხ. ე. შევარდნაძის წერილმა „მასების ინტერნაციონალისტური აღზრდა“. ამ წერილში ნათქვამია, რომ კომუნისტური პარტიის მიზანია ერების არა გათქვეფა და ასიმილაცია, არამედ აყვავება და განვითარება, მათი დაახლოება და თანამშრომლობა, დაახლოება აყვავების გზით და აყვავება დაახლოების გზით — ასეთია პარტიის ეროვნული პოლიტიკის დიალექტიკური ფორმულა.


მართალია „აყვავების“ ერთადერთი გზა დაახლოება არ არის, საკუთარ საფუძველზეც შეიძლება ეროვნული კულტურის აყვავება, მაგრამ დაახლოება ბევრად აჩქარებს და ამდიდრებს აყვავების პროცესს. ვინც ამას არ ითვალისწინებს და ან მხოლოდ დაახლოება მიაჩნია მთავარ მიზნად, ან მხოლოდ აყვავება — ის უშვებს შოვინისტურ და ნაციონალისტურ შეცდომებს.

საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ერი ერთსა და იმავე დროს თავის მშობლიურ ენასა და კულტურას ანვითარებს და რუსული ენის — ამ მეორე მშობლიური ენისა და საერთო საბჭოთა კულტურის დაუფლებისათვის **სულ უფრო მეტ პრაქტიკულ ნაბიჯებს** დგამს. სხვაგვარად შეუძლებელიცაა, თუ გვსურს არ შევლახოთ ერების თანამშრომლობისა და თანასწორობის პრინციპები. **ორენოვანი** განვითარების გარეშე ჩვენს პირობებში შეუძლებელია როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური, ისე კულტურული და საერთოდ სოციალური პროგრესი.

ჩვენ უკვე შევეჩვიეთ იმ აზრს და ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — **საბჭოთა ხალხი**. არავის არ ეპარება ეჭვი, რომ „ერთიანი საბჭოთა ხალხის“ ცნება არ გამორიცხავს სხვადასხვა ერებისა და ეროვნებების არსებობას. ასევე არავის არ უნდა შეეპაროს ეჭვი, რომ საბჭოთა ხალხის ერთიანი საერთო ენის დამკვიდრების პროცესი და მისი რეალური არსებობის ფაქტი რუსული ენის სახით — არ გამორიცხავს ყოველი ერის **მშობლიური ენის სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას** და მისი შემდგომი განვითარებისათვის ზრუნვის აუცილებლობას.

საბჭოური ცხოვრების წესის ერთ-ერთი სპეციფიკა სწორედ ასეთი ორენოვანი განვითარებაა. აქ არ ვლაპარაკობთ საერთოდ ერების მომავალი განვითარების შორეულ ბედზე, რასაც სპეციალურად იკვლევს მეცნიერული კომუნისმის თეორია

ყოველგვარი სირთულისა და წინააღმდეგობის გასაღები ისევ და ისევ დიალექტიკაა. ხალხთა მეგობრობას და ინტერნაციონალურ სოლიდარობას მაშინ აქვს აზრი და გამართლება, როცა საქმე გვაქვს სწორედ **სხვადასხვა ხალ-**



ხებთან, ერებთან, მათი სპეციფიკური კულტურით, ენით, ტრადიციებით და სხვა ნიშნებით. ყოველი ერთიანობა და კავშირი განსხვავებულთა ერთიანობას გულისხმობს, წინააღმდეგ შემთხვევაში გასაერთიანებელი და შესაკავშირებელი არაფერი იქნებოდა.

უნდა გაემიჯნო, რომ შეუერთდე — გვასწავლიდა დიდი ლენინი. ისტორიამ გამიჩნა ხალხები გეოგრაფიული რეგიონებით, ენით, კულტურით, რელიგიითა და ფსიქიკით. იგივე ისტორია ჩვენს ეპოქაში ანგრევს გამმიჯნავ ბარიერებს და აახლოვებს ხალხებს. მაგრამ აახლოვებს ისე, რომ არ სპობს ყოველი მათგანის თავისთავადობისა და კულტურის ნიშნებს. არ სპობს ყოველივე იმ პროგრესულსა და ღირებულს, რომელიც მსოფლიო კულტურისა და ღირებულებების საგანძურში შევა. კულტურათა ასეთ გადარჩევას და საუკეთესოს შემონახვას ყოველი კულტურიდან — ესაჭიროება შეგნებული და მიზანდასახული ზრუნვა ყოველი ერისა და ქვეყნის ხელმძღვანელი ძალების მხრივ. სტიქიურობასა და თვითღინებას ამ სფეროში სასურველი შედეგი ვერ მოჰყვება.

საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალური სულისკვეთება სწორედ იმას ემსახურება, რომ დავაფასოთ ყოველი ერისა და ხალხის თავისთავადობა, სუვერენიტეტი, მათი ენა, კულტურა და ჯანსაღი ტრადიციები. ინტერნაციონალიზმის სულისკვეთება ყველგან და ყველგან — საბჭოური ცხოვრების წესის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

აქედან ძნელი არ არის გადასვლა კომუნისტური ზნეობის ახალ პრინციპზე და საბჭოური ცხოვრების წესის ახალ ნიშანზე, რომელსაც ჰუმანიზმი ეწოდება. ჯერ კიდევ მარქსი ამბობდა, რომ კომუნიზმი ეს არის რეალური ჰუმანიზმი. ჩვენ ვაშენებთ სწორედ ასეთ საზოგადოებას და ამ შენობის საფუძვლების ის ნაწილიც კი, რომელიც უკვე აშენებულია, თვალნათლივ უჩვენებს მთელ მსოფლიოს, თუ ჰუმანიზმის რა ენერგია და პოტენციაა ჩაქსოვილი სოციალიზმსა და კომუნიზმში.

ჰუმანიზმია მოქმედებაში ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლები, ის ფაქტი, რომ მოსპობილია ექსპლოატაციის ყველა ფორმა; წარმოების საშუალებებს ფლობს მთელი ხალხი; ყველა თანასწორია კანონისა და მორალის წინაშე და მოქმედებს პრინციპი: თითოეულისაგან შესაძლებლობის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“. ეს არის ჩვენს პიტობებში ერთადერთი შესაძლებელი სამართლიანი პრინციპი, ხოლო სამართლიანობა არ შეიძლება ჰუმანურობა არ იყოს.

განსხვავებით ბურჟუაზიული და რელიგიური ჰუმანიზმისაგან, ჩვენს ჰუმანიზმი არ გვესმის მხოლოდ როგორც შებრალება გაჭირვებულისა და ქველმოქმედება დაზარალებულთა სასარგებლოდ. ეს ყოველთვის საჭიროა, მაგრამ სრულებითაც არ არის საკმარისი. ჩვენი ჰუმანიზმის მთავარი აზრი ის არის, რომ საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკა და პოლიტიკა გამორიცხავენ პარტუნების გაჭირვებულობას, უბატონობას და დაზარალებულთა უჭირისუფლობას. თუ აქა-იქ ჩვენი საზოგადოების ეს პრინციპი ირღვევა და მოქალაქე მოკლებულია სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრივ ზრუნვასა და დახმარებას, — იქ ცუდად მუშაობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და, მაშასადამე, ირღვევა საბჭოური ცხოვრების წესი.

ახალი საბჭოთა კონსტიტუცია, ყველა მისი პუნქტი და მოთხოვნა თვალნათლივ დალადებს საბჭოური ცხოვრების წესის უადრესი ჰუმანურობის შესა-

ნებ: პიროვნების ხელშეუხებლობა; მისი ღირსების დაცვის სახელმწიფოებრივი გარანტიები; მისი უფლებები შრომისა, განათლებისა, პროფესიის გამოცვლისა, ჯანმრთელობის დაცვისა, კულტურული დასვენებისა, თავისუფალი აზროვნების და შემოქმედებისა, ხელმძღვანელობის კრიტიკისა, ბეჭდვისა და დემონსტრაციისა, თავისუფალი დემოკრატიული არჩევნებისა — ყოველივე ეს რეალური ჰუმანიზმია მოქმედებაში.

საბჭოური ცხოვრების წესის ჰუმანური სულისკვეთება ვლინდება ქალთა და მამაკაცთა სრულ თანასწორუფლებიანობაში, ოჯახის სიმტკიცისათვის ზრუნვაში, ბავშვების სიყვარულში და მათი კეთილდღეობისადმი ყველაფრის დაქვემდებარებულობაში. სავსებით სწორად შეაფასა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თავის ერთ-ერთ უკნასკნელ გამოსვლაში ბავშვების სიყვარული, როგორც ერთადერთი და სავსებით კანონზომიერი კულტი ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი ხალხის კულტურასა და ფსიქოლოგიაში.

ბავშვები განსაკუთრებული არსებები არიან. უცნაურია, მაგრამ მათში კონცენტრირებულია ყოველივე ჰუმანიტად ადამიანური და კეთილშობილური. მომავალი მოქალაქეები რაღაც სოციალური თუ გენეტიკური „სასწაული“ უკვე არიან იდეალური ადამიანები, ისეთები, როგორც კაცობრიობა უნდა გახდეს ჰომოვალ კომუნისტურ საზოგადოებაში. მხედველობაშია ბავშვების უზადო გულწრფელობა, უშუალოება, ბუნებრივობა, ცნობისმოყვარეობა, იუმორისადმი მგრძობიარობა, გულშემატკივრობა, მაღლიერება, სიფაქიზე, აქტიურობა, შეუპოვრობა და სხვა თვისებები. ბავშვის ხასიათი და ფსიქიკა კაცობრიობის ფსიქიკის ისტორიის ცოცხალი სურათიცაა და მისი მომავლის რეალური პროტოტიპიც. ეს არის სწორედ სასწაული და არ შეიძლება ასეთი სასწაული საყოველთაო სიყვარულისა და ზრუნვის საგანი არ იყოს. ამ სამყაროში არაფერია ადამიანისათვის უფრო ძვირფასი და საყვარელი, ვიდრე — ბავშვი.

რაოდენ საწყენია და დასანანი, რომ მშობლების, აღმზრდელების და ხელმძღვანელების უყურადღებობითა და უპასუხისმგებლობით ეს „სასწაული“ — ბავშვები ზოგჯერ ისე იზრდებიან, რომ თანდათან კარგავენ ყოველგვარ „სასწაულებრივ“ სათნოებებს და ჩვეულებრივ უფერულ, სტერეოტიპურ ობივატელად, ან უარეს შემთხვევაში, ვულგრილ და ბოროტ ინდივიდებად ყალიბდებიან. ასეთი ფაქტების აღმოფხვრისა და ბავშვთა აღზრდის საქმის ძირეული გაუმჯობესებისათვის ბრძოლა ყოველი ჩვენთაგანის უპირველესი მოვალეობაა.

ამას მოითხოვს საბჭოური ცხოვრების წესი, რომელიც ხასიათდება ბავშვთა აღზრდის საქმისადმი დიდი გულმოდგინებითა და ყურადღებით, რაც მისი ჰუმანურობის უტყუარი დამადასტურებელია.

იგივე შეიძლება ითქვას მოხუცებისა და ინვალიდების პატივისცემაზე. მათი უმფოთველი და მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფაზე. მოხუცების კეთილდღეობაზე სახელმწიფო ზრუნავს არა მარტო იმით, რომ დღითიდღე აუმჯობესებს სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობას და საპენსიო კანონმდებლობას, არამედ იმითაც, რომ მოითხოვს ახალგაზრდობისაგან მშობლებისათვის ზრუნვას და მათს პატივისცემას. ნიშანდობლივია, რომ ახალ კონსტიტუციაში შეტანილია მოთხოვნა შვილების მხრივ მშობლების პატივისცემისა და ზრუნვისა. ცხადია, ეს მოთხოვნა ეხებათ მხოლოდ იმათ,

რომელთა მორალური შეგნება ვერ დგას საჭირო სიმაღლეზე და მიძინებული აქვთ სინდისი. კონსტიტუცია მოითხოვს ამაგის დაფასებისა და მადლიერების ძველთაძველი ჯანსაღი ხალხური გრძნობების დაცვასა და განვითარებას.

არაფერი ისე არ ამოდლებს და არ აწვევინებს ადამიანს, როგორც მადლიერების გრძნობა, კეთილშობილება და სულგრძელობა სხვისი ამაგისა და დამსახურების დაფასება-აღნიშვნა-პატივისცემაში. უმადურობა ერთ-ერთი ყველაზე მდაბიო გრძნობა და ამაზრზენი მანკიერებაა ადამიანთა როგორც პირად ყოფა-ცხოვრებასა და მორალში, ისე პოლიტიკასა და ისტორიაში. ცივილიზაციის ისტორია იცნობს კლასიკური უმადურობის არაერთ მაგალითს, მაგრამ იგივე ისტორია უსწორებს ანგარიშს ყველა უმადურს ძველთაძველი პრინციპით: „რომელთა აღიღონ მახვილი, მახვილითა წაწყმდენ“.

საამაყო იმის შეგნება, რომ საბჭოური ცხოვრების წესში ჩვენს თვალწინ და ჩვენივე აქტიურობით ხელახლა მკვიდრდება და ახალ თვისებრივ სიცოცხლეს იწყებს წინაპართა პატივისცემისა და დაფასების ჯანსაღი ტრადიცია. ამის კარგი დადასტურებაა ამხ ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებები — „მცირე მიწა“, რომელშიც იგი ღირსეულად მიუხლავს პატივსა და დიდებას ყოფილ თანამებრძოლებსა და ხელმძღვანელებს. საბჭოური ცხოვრების წესით თანდათან ყოველივე იმ პროგრესულისა და მოწინავეს ცოცხალი განსახიერება და გაღრმავება-განვითარება ხდება, რაც კი დაგროვილა კაცობრიობის სოციალური და კულტურული განვითარების ისტორიაში.

მათლწესრიგი როგორც თვითმართვითი სისტემა*

ბ. სავანელი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

მართლწესრიგი, სამართლისაგან შეფარდებით დამოუკიდებელი, საზოგადოებრივი ყოფის სტრუქტურული ერთეულია¹. ამდენად, იგი შეიძლება დახასიათდეს როგორც თვითმართვითი სოციალური სისტემა.

თვითმართვა არის ფიზიკური და სოციალური სისტემების თვისება, რომლის ახსნისათვის დამაჯერებლად ილწვის თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური აზრი. თვითმართვის პრინციპების აღმოჩენა მხოლოდ უკანასკნელ ხანს — კიბერნეტიკისა და მოლეკულური ბიოლოგიის მიღწევების გამო გახდა შესაძლებელი. თვითმართვის პროცესების შესწავლას უდიდესი პრაქტიკული ღირებულება აქვს, რადგან ის იძლევა ფიზიკური და სოციალური პროცესების მართვის არნახულ შესაძლებლობებს².

ბუნებაში და საზოგადოებაში არსებულ მაღალორგანიზებულ სისტემებზე დაკვირვების შედეგად მეცნიერება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ სისტემებს აქვთ შეცვლილ გარემოსთან შეგუებისა და თვითაღწარმოების უნარი. ამ თვისებებზე დეტალური ექსპერიმენტული და თეორიული დაკვირვების შედეგად აღმოჩენილ იქნა ამ სისტემების ფუნქციონირების უნივერსალური უნარი — გარემოს ზემოქმედების გამო არ დაკარგონ შინაგანი წესრიგი, მათში არსებული შინაგანი და გარე ენერჯის მობილიზაციის ხარჯზე.

ასეთ სისტემას წარმოადგენს მართლწესრიგიც.

მართლწესრიგი, როგორც თვითმართვითი სისტემა, განეკუთვნება ღია სისტემების კლასს. მართლწესრიგი სამართლიდან ჭარბად იღებს ენერჯიას, რომელიც საჭიროა ენთროპიის ზრდის საკომპენსაციოდ. სამართლის ენერჯიის გამოყენება მართლწესრიგს აძლევს საშუალებას იყოს ანტიენთროპიული. ამიტომ მართლწესრიგში ენთროპიის პარამეტრები შედარებით სტაბილურია.

მაგრამ მართლწესრიგი, როგორც ყველა თვითმართვითი სისტემა, ბოლოს და ბოლოს „ცვეთას“ განიცდის, ენთროპიის ზრდის ტენდენცია საბოლოო ჯამში სჯაბნის ანტიენთროპიულ ტენდენციებს. ასეთ სიტუაციაში წარმოიშვება სამართლის სტრუქტურის და მისი გავლენით მართლწესრიგის სტრუქტურის კორექტირების აუცილებლობა. ასეთი კორექტირების შედეგად მართლწესრიგში ისევ ხდება ენთროპიის შემცირება, რაც იმით გამოიხატება, რომ მართლწესრიგის სტრუქტურული ელემენტები ნაკლებად სავარაუდო მდგომარეობაში

* იბეჭდება განხილვის წესით.

¹ იხ. ჩვენი წერილი — ბ. სავანელი, მართლწესრიგის პრობლემა. „საბჭოთა სამართალი“ 1978 წ., № 2, გვ. 40-44.

² Винер Н. — Кибернетика и общество. М., 1958. Сент-Дьердьи — Введение в симболекулярную биологию. М., 1964, Эшби Р. У. Введение в кибернетику. М., 1959. Анохин П. К. Биология и нейрофизиология условного рефлекса. М., 1968 и др.

მარეობიდან გადადიან შედარებით რეალურ მდგომარეობაში. მაგრამ შემდგომში სისტემაში ისევ იზრდება ენთროპია.

თუ კი მართლწესრიგს განვიხილავთ როგორც თვითმართვით სისტემას, მაშინ ენთროპიის ტენდენციები უნდა სჭარბობდეს ანტიენთროპიულ ტენდენციებს და ეს ასეცაა, რადგან მართლწესრიგი ძირითადად „იკვებება“ ფაქტიური სოციალური ურთიერთობებით, ხოლო სამართალი უძღურია იწინასწარმეტყველოს სოციალური ფაქტების მრავალრიცხოვანი კომბინაციები, რის გამოც მართლწესრიგში მრავლად ვხვდებით ნაკლებად სავარაუდო სიტუაციებს.

მართლწესრიგში ატიპიური სიტუაციები სჭარბობს ტიპიურ სიტუაციებს იმის გამო, რომ მართლწესრიგის დინამიკა უპირატესად განსაზღვრულია საზოგადოების ყოფიერების კანონებით და შედარებით ნაკლებად სამართლებრივი ნორმებით. უფრო მეტიც, გამონაკლის შემთხვევაში, ის რაც ენთროპიულია სამართლის თვალსაზრისით, ანტიენთროპიული შეიძლება გახდეს საზოგადოების ყოფიერების ობიექტური კანონების საფუძველზე.

ამრიგად, მართლწესრიგის ფუნქციონირების ერთ-ერთ გადამწყვეტ პრინციპს წარმოადგენს აქტიური თვითმოძრაობის პრინციპი ნაკლებად სავარაუდო სიტუაციების რეგულარული აღწარმოების საფუძველზე, რაც სოციალური გარემოდან მიღებული ენერჯის ხარჯზე მიმდინარეობს³.

მართლწესრიგის სტრუქტურაში ერთმანეთს ერწყმის, ერთი მხრივ, იურიდიული ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირების მოქნილობა, იურიდიული ფაქტების კომბინაციების განუწყვეტელი ცვალებადობა და, მეორე მხრივ, მასში მიმდინარე პროცესების ერთი სამართლებრივი კანონზომიერებისადმი დაქვემდებარება.

ამდენად, მართლწესრიგის სტრუქტურაში სიმყარის შენარჩუნების საშუალებაა არა მარტო სამართლის ნორმები, არამედ უპირატესად მართლწესრიგის სუბიექტების უნარი სამართლის ნორმა შეუგუონ საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილებებს დამის დინამიკურ ხასიათს. შეგუება მდგომარეობს მართლწესრიგის შინაგანი პროცესების ისეთ გარდაქმნაში, რომ მისი ელემენტების შეცვლამ არ გამოიწვიოს მთლიანობის რღვევა. თვით მართლწესრიგს აქვს ისეთი შინაგანი მექანიზმები, რომლებიც ხელს უშლის შემგუებლობის უსაზღვრო ზრდას. მეორე მხრივ, შეგუების გარეშე მართლწესრიგის არსებობა შეუძლებელია. კიდევ მეტი, ეს შეგუება არ უნდა იქნეს გაგებული როგორც პასიური პროცესი. სამართლის ნორმების წყალობით მართლწესრიგის ელემენტებს უნარი აქვთ აქტიურად შეეგუონ გარემოს, რაც ნიშნავს, რომ ისინი არა მარტო გარდაქმნიან თავიანთ პროცესებს შეცვლილი გარემო პირობების შესაბამისად, არამედ გარდაქმნიან თვით ამ გარემო პირობებსაც — თავიანთი ფუნქციური ინვარანტების შესაბამისად.

ამ აზრით, მართლწესრიგის ფუნქციონირების პროცესში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ე. წ. დინამიკური წონასწორობის პრინციპი. დინამიკური წონასწორობის წყალობით ხდება სისტემის პრინციპული თვისებების და დამახასიათებლების შენარჩუნება ნაწილების ცვლილების პირობებში⁴.

³ დაწვრილებით იხ. «Основы применения кибернетики в правоведении», сборник научных трудов. М., 1977 г. см. 3—8, 18—19, 23—24, 28—44, 86—88.

⁴ Эшби Росс У. — Введение в кибернетику. М., 1959, с. 109—110.

ამრიგად, იმისათვის რომ მართლწესრიგმა ნორმალურად იფუნქციონეროს, მართლწესრიგის სუბიექტებმა ორიენტაცია უპირატესად გარე პირობებზე უნდა აიღონ, განუწყვეტლივ უნდა მოახდინონ სამართლის განხორციელების პროცესის კორექტირება და შეთანაწყობა გარე პირობების ცვლილებების შესაბამისად.

იმისათვის, რომ მართლწესრიგის ფუნქციონირების პროცესში არა ავტომატურად, არამედ აქტიურად იქნეს ასახული საზოგადოებრივი პირობების დინამიკა და სამართლებრივი იმპერატივები — საზოგადოებაში სპონტანურად ყალიბდება სოციალური ორგანოები, რომლებიც კლასობრივ საზოგადოებაში ორგანოებად და ორგანიზაციებად იწოდება. ეს ორგანოები და ორგანიზაციები ქმნიან მართლწესრიგის ჩონჩხს მათი იერარქიული დაქვემდებარების სახით. მათი იერარქია სხვა დადებით ფაქტორებთან ერთად იმ ღირებულებასაც ატარებს, რომ უზრუნველყოფს მართლწესრიგის იმ ელემენტების კოორდინაციას, რომლებიც გაშუალებულად ან სუსტად არიან ერთმანეთთან ინფორმაციულად დაკავშირებული⁵. გარდა ამისა, იერარქია უზრუნველყოფს თვითმართვასა და ელემენტების ინფორმაციული კავშირების ენერჯის დაზოგვას მართლწესრიგის ფუნქციური ინვარიანტების შესაბამისად. საბოლოო ჯამში, მართლწესრიგი გვევლინება როგორც მისი ქვესისტემებისა და ელემენტების სუბორდინაციული სისტემა.

მართლწესრიგის ქვესისტემებისა და ელემენტების სუბორდინაცია აბსოლუტურად აუცილებელია თვითმართვის პროცესისათვის. მაგრამ თვით სუბორდინაცია შეფარდებითია, რადგან თვითმართვის ქვემდგომი და აღმსრულებელი ელემენტები ახდენენ არსებით გავლენას თვითმართვის ზემდგომ ელემენტებზე და მთლიანად თვითმართვის პროცესზე⁶.

რა სარგებლობა შეუძლია მოგვიტანოს მართლწესრიგის შესწავლამ თვითმართვის თეორიის პოზიციებიდან?

ასეთი შესწავლა საბოლოო ჯამში საშუალებას მოგვცემს:

1. მოვახდინოთ მართლწესრიგის ფუნქციონირების რეჟიმის ოპტიმაცია და ამის შედეგად მივიღოთ ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტი;
2. მოვახდინოთ მართლწესრიგის სტრუქტურული ერთეულების დინამიკური თვისებების გააღვირება;
3. გავზარდოთ მართლწესრიგის სტრუქტურის მარგი ქმედების კოეფიციენტი; მოვახდინოთ სამართლებრივი რეგულირების უნიფიკაცია, რის შედეგადაც გამოიწვევება მართვითი სისტემის ისეთი ქვეგანაყოფები, რომელნიც საშუალებას მოგვცემს არ გავზარდოთ მართვითი სისტემის ეს ქვეგანაყოფები თვითმართვითი სისტემის ობიექტების რაოდენობის ზრდის შემთხვევაში.

⁵ Шенон К. Работы по теории информации и кибернетики. М., 1963, с. 243—244, 405.

⁶ «Физический энциклопедический словарь», т. 2, М., 1962, с. 360—361.

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის მნება

პ. ზონიძე

სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა — ეს არის სამოქალაქო სამართლებრივი ნორმის სანქციის რეალიზაცია¹. სამართლებრივი ნორმის სანქცია ყოველთვის არსებობს, პასუხისმგებლობა კი მხოლოდ ნორმის რეალური დარღვევისას დგება. სამართლის ნორმის შინაარსი სანქციის შინაარსის იგივეობრივი არ არის. მათ შორის ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორც მთელსა და ნაწილს შორის. სანქცია ნორმის (მთელის) შემადგენელი ნაწილია და მისი არსიც ნორმისადმი სამსახურში მდგომარეობს. ნორმის დარღვევამდე სანქცია ფსიქიკურა იძულებით ასრულებს ამ ფუნქციას (იგი ხომ სახელმწიფოებრივი „იძულების“ მუქარაა), ნორმის დარღვევის შემდეგ კი (თუ ზიანის ნებაყოფლობითი ანაზღაურება არ მოხდება) — სახელმწიფოებრივი ფიზიკური იძულებით — პასუხისმგებლობით. სანქცია ნორმის ის ნაწილია, რომელიც ნორმის შესაძლებელი დარღვევის გამო არსებობს. სამართალდარღვევამდე იგი „მიძინებულია“. და მხოლოდ ფსიქიკური იძულებით შემოქმედებს ვალდებულებებს კონტრაგენტებზე. ფსიქიკური იძულება — ეს არის ფიზიკური იძულების გამოყენების მუქარა. იგი არ იწვევს პასუხისმგებლობას.

სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრული ვალდებულება პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: სანქციით უზრუნველყოფილი ვალდებულება და სანქციით განსაზღვრული ვალდებულება, თუმცა ისინი ერთი და იგივე ვალდებულების გამოვლენის ორ მომენტს წარმოადგენენ. პირველი ვალდებულება მართლზომიერ ურთიერთობას ემყარება, მეორე კი — ნორმის დარღვევაზე რეაგირებას. პირველი ვალდებულების შინაარსს შეადგენს იმ დადებითი მოქმედების განხორციელება, რა მიზნითაც სამართლის ნორმა შექმნილია, მეორისა კი უშუალოდ სანქციის შინაარსია. ეს უკანასკნელი სამართალდარღვევამდე შესაძლებლობის სახით არის მოცემული. სამართალდარღვევა თავდაპირველი ვალდებულების დარღვევაა. სწორედ ამ ფაქტთან წარმოიშობა სანქციით გათვალისწინებული ვალდებულება, რომელსაც შეიძლება ტრანსფორმირებული თავდაპირველი ვალდებულება ეწოდოს. მისი ძირითადი მიზანია დარღვეული ვალდებულების აღდგენა. სანქციით გათვალისწინებული ვალდებულება, თავის მხრივ, ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ.

¹ О. Э. Лейст, Санкции в советском праве, государственное изд-во юридической литературы, М., 1962, с. 47, 85; С. Н. Братусь, Юридическая ответственность и законность, Изд-во «Юридическая литература», М., 1976, с. 69, 95, 98, 130; С. С. Алексеев, Общая теория социалистического права, вып. 2, Свердловск, 1964, с. 183; В. Хоменко, Ответственность в хозяйственном праве, Изд-во «высшая школа», Киев, 1975, с. 52; Л. А. Сиратовская, Материальная ответственность рабочих и служащих по советскому трудовому праву один из видов юридической ответственности, — «Ученые труды ВЮЗИ», т. 5, М., 1966, с. 244.

პირველი, რომელიც ფაქტიურად არ განსხვავდება თავდაპირველი ვალდებულებებისაგან — არასახელმწიფოებრივ პასუხისმგებლობა, და მეორე, რომელიც დამატებით მოვალეობასთან არის დაკავშირებული — სახელმწიფოებრივ პასუხისმგებლობა.

ქონებრივი პასუხისმგებლობის უმნიშვნელოვანესი ნიშანია სახელმწიფოებრივი იძულება. ჩვენი აზრით, ძნელია დავეთანხმოთ იმ მეცნიერებს, რომლებიც საკუთრივ სახელმწიფოებრივ იძულებასთან ერთად მისი გამოყენების შესაძლებლობასაც პასუხისმგებლობის ნიშნად თვლიან². სახელმწიფოებრივი იძულების შესაძლებლობა არსებობს როგორც ნორმალურ სამართლებრივ ურთიერთობაში, ისე მისი დარღვევის შემდეგაც. სახელმწიფოებრივი იძულება კი რეალურა ფაქტია. ქონებრივი პასუხისმგებლობისათვის საჭიროა სწორედ ეს ფაქტი. სახელმწიფოებრივი იძულების შესაძლებლობა რომ პასუხისმგებლობად ჩაგვეთვალა, მაშინ იგი ყოველთვის ზიანთან არ ექნებოდა დაკავშირებული. ზიანის გარეშე კი არავითარი პასუხისმგებლობა არ არსებობს. ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევის შედეგია. იძულებს შესაძლებლობა ზიანის მიყენებამდეც არსებობს, უფრო მეტიც — წინამდეც, სანამ სამართალსწრებრივობის განხორციელება დაიწყებოდეს. შესაძლებლობისა და სინამდვილის აღრევას იქამდე მივყავართ, რომ იურიდიული პასუხისმგებლობა აღრეულ ექნეს აქტიურ პასუხისმგებლობასთან, მაშინ როდესაც იურიდიული პასუხისმგებლობა თავისი არსით რეტროსპექტიულია. იძულების შესაძლებლობა აქტიური პასუხისმგებლობის ნიშანია, უშუალოდ სახელმწიფოებრივი იძულება კი რეტროსპექტიული პასუხისმგებლობისათვის არის დამახასიათებელი.

სახელმწიფოებრივი იძულება ხელისუფლებრივ ფუნქციებთან არის დაკავშირებული, სახელმწიფოს მონობოლიაა. ზიანის ანაზღაურების ხარისხი არ ცვლის მის შინაარსს. იგი ის ძალაა, რომელიც ახალ თვისებრიობას ანიჭებს ზიანის ანაზღაურების ფორმას, პასუხისმგებლობად აქცევს მას. იურიდიული შედეგები, რომლებაც არ არის დაკავშირებული სახელმწიფოებრივ იძულებასთან, არ შეიძლება ჩავთვალოთ ქონებრივ პასუხისმგებლობად. ასეთია ოპერატიული ხასიათის ღონისძიებანი, რომელთა გამოყენება ხდება უშუალოდ კრედიტორის მიერ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებისათვის მიუმართავად. მაგალითად, მიმწოდებლის ანგარიშსწორების საკრედიტივო ფორმანგ გადაყვანა, უხარისხო და ვადაგადაცილებული შესრულების მიღებაზე უარის თქმა და სხვა. ამასთან უნდა ითქვას, რომ ყოველგვარი სახელმწიფოებრივი იძულება როდია ქონებრივი პასუხისმგებლობა. მაგალითად, რეკვიზიცია სახელმწიფოებრივი იძულებაა, მაგრამ იგი არ არის პასუხისმგებლობა.

ზოგჯერ სახელმწიფოებრივ იძულებასთან ერთად პასუხისმგებლობის ნიშნად მიიჩნევენ საზოგადოებრივ იძულებასაც³. ჩვენი აზრით, ქონებრივი

² О. С. Иоффе, Ответственность по Советскому гражданскому праву, Изд. ЛГУ, 1955, с. 9, 17; И. Н. Петров, Характерные черты гражданско-правовой ответственности, — «Ученые записки ВНИИСЗ», вып. 3, М., 1970, с. 62—63; С. С. Алексеев, Указ соч., с. 182; Н. С. Малейн, Понятие и основание имущественной ответственности — «Советское государство и право», 1970, № 12, с. 36; В. Ф. Яковлев, Отраслевой метод регулирования и особенности гражданско-правовой ответственности, — «Проблемы гражданско-правовой ответственности и защиты гражданских прав», Свердловск, вып. 27, 1973, с. 17—18.

³ Н. С. Брагусь, Юридическая ответственность и законность, Изд-во «Юридическая литература», М., 1976, с. 85.

პასუხისმგებლობა მხოლოდ სახელმწიფოებრივ იძულებასთან არის დაკავშირებული. საზოგადოებრივი იძულების გამოყენება ხდება უშუალოდ საზოგადოების მიერ. იგი ემყარება ავტორიტეტს, საზოგადოებრივ აზრს. ამიტომ სრულიად დასაშვებია მისი არსებობა უკლასო კომუნისტურ საზოგადოებაში, სადაც აღარ იქნება სახელმწიფოებრივი იძულება. ამრიგად, ქონებრივი პასუხისმგებლობა სახელმწიფოებრივ იძულებაზეა დამყარებული.

ქონებრივი პასუხისმგებლობის შემდეგი ნიშანია მართლსაწინააღმდეგო მოქმედების სახელმწიფოებრივი დაგმობა⁴. უამისოდ არ არსებობს სახელმწიფოებრივი იძულება. ზოგჯერ პასუხისმგებლობის ნიშნად ქმედობის საზოგადოებრივ დაგმობას მიიჩნევენ⁵. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი არ შეიძლება ჩავთვალოთ ქონებრივი პასუხისმგებლობის ნიშნად. იგი მოვლენის უფრო ნორალური შეფასებაა, ვიდრე სამართლებრივი. საზოგადოებრივი დაგმობა ზოგჯერ შეიძლება უსაფუძვლო აღმოჩნდეს მოვლენათა მცდარი შეფასების გამო. მოვლენის საზოგადოებრივი შეფასება მაინც ინდივიდების მიერ წარმოებული შეფასებაა. ცალკეული ინდივიდები კი მოვლენას სხვადასხვანაირად აღიქვამენ. ამიტომ, გამოირიცხული არ არის, რომ საზოგადოებრივი აზრი ამართლებდეს სანართლებრავად დასაგმობ მოქმედებას და, პირიქით, ამტყუენდეს; კიცხავდეს მისაღებ მოქმედებას. თუმცა ასეთი შემთხვევები იშვიათია. რაც შეეხება ქმედობის სახელმწიფოებრივ დაგმობას, იგი მოვლენის სამართლებრივ შეფასებას ნიშნავს. იურიდიული პასუხისმგებლობაც სამართლებრივ შეფასებაზე დამყარებული კატეგორიაა. სამართალდარღვევის სახელმწიფოებრივი დაგმობა მოითხოვს დაზარალებულის ან სხვა უფლებამოსილი პირების მიმართვას სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოებისადმი ამ გაკიცხვის თაობაზე. საზოგადოებრივი გაკიცხვისათვის კი საკმარისია სამართალდარღვევის ფაქტი. ჩვენ საზოგადოებრივი გაკიცხვის ობიექტურ ფაქტს არ უარვყოფთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ იგი ქონებრივი პასუხისმგებლობის გარეთ არსებული მოვლენაა და არ განსაზღვრავს მის შინაარსს. სწორად შენიშნავს მ. ს. სახიპოვი, რომ მორალური გაკიცხვა დამახასიათებელია არა მარტო სამართლებრივი, არამედ საბჭოთა საზოგადოების ნებისმიერი სოციალური ნორმის დარღვევით გამოწვეული შედეგებისათვის. მისი აზრით, სამართალდარღვევის მხოლოდ სახელმწიფოს სახელით დაგმობა შეიძლება ჩაითვალოს იურიდიული პასუხისმგებლობის არსებით და აუცილებელ ნიშნად⁷.

ქონებრივი პასუხისმგებლობის შემდეგი ნიშანია არასასურველი სამართლებრივი შედეგების დადგომა სამართალდარღვევის ქონებრივ სფეროში, ამასთან ეს შედეგები უნდა იყოს საბოლოო და არა დროებითი. შედეგების არასასურველობა შეიძლება გამოიხატოს სამართალდარღვევზე როგორც დამა-

⁴ М. С. Сахинов, Проблема ответственности в колхозном праве, Изд-во, «Наука», Алма-Ата, 1972, с. 18, 23; А. И. Петелин, Некоторые вопросы общего понятия юридической ответственности — «Проблемы применения советского права» — сборник ученых трудов, вып. 22, Свердловск, 1973, с. 142.

⁵ О. С. Иоффе, М. Д. Шаргородский, Вопросы теории права, М., Госюриздат, 1961, с. 318; И. Г. Брага, Материальная ответственность членов колхоза, Изд-во «Наука», М., 1976, с. 12; В. С. Кичатова, Соотношение гражданско-правовой ответственности и государственного принуждения, — Вестник ЛГУ, № 17, 1976, с. 107; В. Н. Хоменко, დასახელებული ნაშრომი, გვ. 51.

⁶ М. С. Сахинов, დასახელებული ნაშრომი, გვ. 19.

ტეზითი მოვალეობის დაკისრებით (სახელმწიკრულეზო პასუხისმგებლობა), ისე იგივე მოვალეობის შესრულებით, რომელიც ვალდებულების შინაარსს შეადგენდა (დელიქტური პასუხისმგებლობა). სამართალდამრღვევის ქონებრივი სფეროს შემცირება მასზე ერთგვარი ზიანის მიყენებაც არის, თუმცა ი. ს. ჟიცინსკის აზრით, ამ შემთხვევაში არამართლზომიერი ზიანის გამოსწორება ხდება სამართალდამრღვევზე მართლზომიერი ზიანის მიყენებით⁸. ქონებრივი შედეგების არასასურველობაზე სრულიადაც არ ახდენს გავლენას ის, თუ რამდენად მტკივნეულად განიცდის ამას სამართალდამრღვევი.

სამართალდამრღვევზე ზიანის ანაზღაურების დაკისრება ერთგვარი მისაგებელია მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისთვის, დაზარალებულის მხრივ სამართლიანი „შურისგება“ სახელმწიფოს მეშვეობით. ბართალია, ხშირად (სისხლის სამართალში) ამ „შურისგებით“ შეუძლებელია დამდგარი ზიანის „ნატურალური“ ანაზღაურება, რაც სამართალდარღვევას ნოჰყვება ხოლმე, მაგრამ სამართალდამრღვევის დასჯის თვით ფაქტი უდიდეს შემოქმედებას ახდენს დაზარალებულის მორალურ მდგომარეობაზე. ამით ვაჰოწვეული თვითკმაყოფილება ერთგვარად აშუშებს იმ ტკივილებსაც, რომლებიც მან განიცადა. არის შემთხვევები, როდესაც სისხლის სამართლებრივ სასჯელთან ერთად სამართალდამრღვევს ქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც დაეკისრება ხოლმე, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ მაქსიმალურად იქნეს მიღწეული პასუხისმგებლობის მთავარი მიზანი, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა გულსხმობდეს არა პერსპექტიულ ასპექტს, მომავალში სამართლის ნორმის დარღვევისაგან დაზღვევას, არამედ კონკრეტული სამართალდარღვევით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციას, კონკრეტული დაზარალებულის ინტერესების დაცვას. ამით თავისთავად პრევენციული მიზანიც იქნება მიღწეული. სწორედ ამიტომ პასუხისმგებლობის ზოგად თეორიული ცნების განსაზღვრისას მითითებული უნდა იქნეს, რომ პასუხისმგებლობა იწვევს დაზარალებულის მორალური ან ქონებრივი მდგომარეობის აღდგენას. სამოქალაქო სამართალში ეს საკითხი მეტნაკლებად გადაჭრილია. ქონებრივი პასუხისმგებლობის ცნების ზოგიერთ განსაზღვრაში, როგორც წესი, პირდაპირ მითითებულია, რომ იგი იწვევს დაზარალებულის ქონებრივი მდგომარეობის აღდგენას⁹.

ამრიგად, ჩვენ მივადექით ქონებრივი პასუხისმგებლობის ისეთ ნიშანს, როგორიც არის დაზარალებულის ქონებრივი მდგომარეობის აღდგენა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ძირითადი მიზანი. აქ გლინდება მისი აღდგენითი (კომპენსაციური) ბუნება. ზოგჯერ გამოთქვამენ აზრს, რომ ის თანხები, რომლებიც ზარალს აღემატება, არ უნდა ჩაითვალოს კომპენსაციად. ამიტომ უმჯობესია იქნებოდა მისი სახელმწიფოს ბიუჯეტში და არა დაზარალებულის ანგარიშზე ჩარიცხვა. მაგალითად, ი. ნ. პეტროვი წერს, რომ კრედიტორის ანგარიშზე ისეთი თანხების ჩარიცხვა, როგორიც არის საჯარიმო, ნაწილობრივ ჩათვლითი, ზოგჯერ კი გან-

⁸ Ю. С. Жидинский, Санкция нормы советского гражданского права, Киев, 1966, с. 38.

⁹ ასე მაგალითად, სამოქალაქო სამართლის სახელმძღვანელოში პასუხისმგებლობის ცნების განსაზღვრებისას მითითებულია, რომ იგი უზრუნველყოფს დაზარალებულის უფლებების აღდგენას. (იხ. Советское гражданское право, Изд-во Ленинградского университета, т. I, 1971, с. 408).



საკუთრებული პირგასამტეხლო, იწვევს მის უსაფუძვლო გამდიდრებას,¹⁰ ამის საფუძველზე იგი მოითხოვს სამეურნეო ორგანოებს შორის ქონებრივი პასუხისმგებლობა დაიყოს ორ ნაწილად: კომპენსაციური და დასჯითი ხასიათის პასუხისმგებლობად¹¹. ავტორის აზრით, პირველი ნაწილი უნდა გადაეცეს კრედიტორს, მეორე კი სახელმწიფოს, რომელიც ამით ვიღებს აუცილებელ სამუშაოებს მეურნეობის ვიწრო უბნების (შეიძლება თვით მოვალის) დასახმარებლად¹². ჩვენი აზრით, ი. ნ. პეტროვის შეხედულება დამაჯერებლობას მოკლებულია, რადგან ამ შემთხვევებში კრედიტორი არ მდიდრდება, მით უმეტეს უსაფუძვლოდ. პირგასამტეხლო, რომელსაც კრედიტორი ღებულობს მოვალისაგან მასტიმულირებული ბუნებისაა. ამასთან კომპენსაციურ ფუნქციასაც ასრულებს. მისი გადახდევინებით კრედიტორი კი არ მდიდრდება, არამედ ამით აღდგება დარღვეული წონასწორობა. კრედიტორმა იგი სამართლიანად დაიმსახურა. რაც შეეხება სხვა საწარმოებისადმი დახმარებას, ამისათვის სათანადო ფონდებიც არსებობს, რომლის შექმნაში კრედიტორსაც მიუძღვის წვლილი.

ასევე, პირგასამტეხლოს სახელმწიფოს ბიუჯეტში ჩარიცხვა შეასუსტებს, საწარმოთა ინტერესს მისი გადახდევინებისადმი, დასცემს მოვალის პასუხისმგებლობის გრძნობას. ამან კი სახალხო მეურნეობას შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს.

არბიტრაჟის ორგანოებს უფლება აქვთ სახელმწიფოს ბიუჯეტში ჩარიცხონ გადახდევინებული პირგასამტეხლო ნაწილობრივ ან მთლიანად, თუკი საქმის განხილვის პროცესში დადგინდება, რომ მოსარჩილე თვათონ არღვევს ვალდებულებას. მაგალითად, უსაფუძვლოდ უარს აცხადებს არბიტრაჟში უკვე წარდგენილ სარჩელზე და ცდილობს მასალების უკან გამოთხოვას. კრედიტორის მოქმედება ამ შემთხვევაში კვალიფიცირდება როგორც უკანონო ამნისტორირებაზე შეუამდგომლობა.

სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის უმნიშვნელოვანესი სპეციფიკური ნიშანია მისი ქონებრივი ხასიათი. სწორედ ამიტომ ვუწოდებთ მას ქონებრივ პასუხისმგებლობას. ეს გამომდინარეობს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა ქონებრივი ხასიათიდან. მართლსაწინააღმდეგო მოქმედება არღვევს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა ქონებრივ უფლებებს. ამიტომ, დამდგარი ზიანიც ქონებრივი ხასიათისაა. მისი რეალური ანაზღაურება უნდა მოხდეს. ასევე, პასუხისმგებლობის ზომები სამართალდამრღვევზე მოქმედებს არა უშუალოდ, არამედ მის ქონებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენით, სისხლის სამართალში კი უშუალოდ სამართალდამრღვევზე ზემოქმედებით.

ო. ა. კრასავჩიკოვი სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სპეციფიკურ ნიშნად გამოყოფს მის ნორმატიულ დასაბუთებულობას¹³. ჩვენი აზრით, ეს არათუ სამოქალაქო-სამართლებრივი, არამედ საერთოდ იურიდიული პასუხისმგებლობის სპეციფიკურ ნიშნადაც არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც ნორმატიულობა დამახასიათებელია ნებისმიერი სახეობის სოციალური პასუხისმგებლობისათვის.

¹⁰ И. Н. Петров, *დასახელებული ნაშრომი*, გვ. 59;

¹¹ იქვე, გვ. 59.

¹² იქვე, გვ. 59.

¹³ О. А. Красавчиков, *Ответственность меры защиты и санкции в советском гражданском праве — «Проблемы гражданско-правовой ответственности и защиты гражданских прав»*, Свердловск, вып. 27. 1973. с. 19.

ზოგჯერ სამართალდარღვევას აცხადებენ იურიდიული პასუხისმგებლობის ნიშნად. მ. ს. სახიბოვის აზრით, სამართალდარღვევა განსაზღვრავს იურიდიული პასუხისმგებლობის არსს¹⁴. უნდა ითქვას, რომ სამართალდარღვევა პასუხისმგებლობის საფუძველია და არა მისი ბუნების განმსაზღვრელი, სამართალდარღვევა მაზეზია, პასუხისმგებლობა კი შედეგი. მართალია შედეგი უმიზეზოდ არ არის, მაგრამ არც მასზე დაიყვანება.

ვ. ა. ტარხოვი ცდილობს ქონებრივი პასუხისმგებლობა სახელმწიფოებრივი იძულების გარეთ გაიტანოს, მაგრამ ვერ ახერხებს ამას. მისი აზრით, პასუხისმგებლობის იურიდიული ბუნება განისაზღვრება არა სახელმწიფოებრივი იძულებით, არამედ მისი სამართლებრივი რეგულირებით¹⁵. ჩვენი აზრით, ამ შეხედულების მიზეზია სამართლისა და სახელმწიფოებრივი იძულების დიალექტიკური კავშირის გაუთვალისწინებლობა. ცნობილია, რომ სამართალი საზოგადოებრივ ურთიერთობათა უდიდეს უმრავლესობას აწესრიგებს. მის დაურღვევლად სახელმწიფოებრივი იძულება მხოლოდ მის დარღვევას ახლავს. სამართლის არსიც სახელმწიფოებრივ იძულებაშია. იგი სახელმწიფოთან არის დაკავშირებული; სახელმწიფო კი იძულების ორგანოცაა. ამიტომ სამართლებრივ რეგულირებაში იძულების ელემენტის გამორიცხვა არ შეიძლება. ქონებრივი პასუხისმგებლობა სახელმწიფოებრივი იძულებით რეგულირებული ურთიერთობაა.

პასუხისმგებლობა, როგორც ცნობილია, თავისთავად არ დგება. საჭიროა მართლსაწინააღმდეგო მოქმედება სახელმწიფოებრივი შეფასების სფეროში მოქმედებს. ეს კი დამოკიდებულია უფლებამოსილი პირების ინიციატივაზე. მიმართონ სახელმწიფო კომპეტენტურ ორგანოებს სახელმწიფოებრივი იძულების გამოყენების თაობაზე. თუ სახელმწიფოებრივი ურთიერთობა მხოლოდ მოქალაქეებს შორის არის, მაშინ ამგვარი ინიციატივა დაზარალებულის უფლებაა, ხოლო რაც შეეხება სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის საგემო-სახელმწიფოებრივი ურთიერთობას, აქ სანქციის გამოყენება კრედიტორის არა მარტო უფლებაა, არამედ მოვალეობაც არის¹⁶. ცნობილია, რომ სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულებები უმეტესად გეგმის საფუძველზე იდება. საგემო აქტი იმპერატიული ბუნებისაა, რაც განპირობებს ხელშეკრულების დადების აუცილებლობას. თუკი მხარეები უარს იტყვიან ამაზე, მაშინ არბიტრაჟი დაავალდებულებს ხელშეკრულების დადებას. სანქციის წარდგენის სავალდებულო ხასიათიც აქედან გამომდინარეობს.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე გასარკვევია, რამდენად დასაშვებია ერთი და იგივე საგანი (სანქცია), ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე პირთან მიმართებაში უფლების ობიექტიც იყოს და მოვალეობისაც? ვფიქრობთ, ეს დასაშვებია, ოღონდ საჭიროა უფლების შინაარსის დაზუსტება. ჩვენი აზრით, უფლება შეიძლება გავიგოთ ორგვარად: მოვალეობის შიგნით მყოფი უფლება და უფლება ვიწრო — მოვალეობის გარეთმყოფი. ნამდვილი უფლებაც ეს უკა-

¹⁴ М. С. С. ... დასახელებული ნაშრომი, გვ. 18.

¹⁵ В. А. Тархов, Ответственность по советскому гражданскому праву, Изд-во Саратовского университета, 1973, с. 21.

¹⁶ В. В. Лаптев, Хозяйственное право и проблемы его кодификации — из книги «Теоретические проблемы хозяйственного права», Изд-во «Наука», М., 1975, с. 11.

ნასკნელია, რომელიც არჩევის თავისუფლებას ნიშნავს. სახელმწიფო ორგანოს უფლება სანქციის გამოყენებაზე მოვალეობის შიგნით მყოფი უფლებაა არჩევის მომენტს მოვალეობაც მოიცავს, მაგრამ აქ არჩევა მოვალეობის კარნახით ხდება. მოვალეობის გარეთ მყოფი უფლება გამოირიცხავს მოვალეობას. მოვალეობის შიგნით მყოფი უფლების შინაარსი დეტერმინირებულია მოვალეობით. სამეურნეო ორგანოს უფლება რომ მოვალეობის გარეთ მყოფი უფლება იყოს, მაშინ სანქციის გამოყენება მხოლოდ უფლება იქნებოდა და არა მოვალეობა. კრედიტორის მოვალეობა მოვალის მოვალეობისაგან იმით განსხვავდება, რომ პირველი უფლებასაც მოიცავს ფართო გაგებით, მეორე კი არა.

განვიხილოთ რა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელი ნიშნები, შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა:

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა სახელმწიფოებრივ იძულებაზე დამყარებული სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმის სანქციის რეალიზაციაა, რომელიც უზრუნველყოფს დაზარალებულის ქონებრივი მდგომარეობის აღდგენას და იწვევს ზიანის მიმყენებლის ქონებრივ სფეროში უარყოფით სამართლებრივ შედეგებს.



თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტის ხნაბა სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში

დოც. ვ. ზაზიკაშვილი

თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტის საკითხი საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში, შეიძლება ითქვას, სადღესოდ ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი პრობლემაა. მის მართებულად გადაწყვეტას არა მარტო წმინდა თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. იმაზე, თუ რამდენად კეთილსინდისიერად ასრულებენ თანამდებობის პარები მათთვის დაკისრებულ მოვალეობას, ბევრად არის დამოკიდებული სახელმწიფო პოლიტიკისა და სკკპ XXV ყრილობაზე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელება.

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში, კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის თაობაზე აზრთა სხვაობაა. მაგალითად, ავტორთა ერთი ჯგუფი ხელისუფლების ან საწინააღმდეგობრივი უფლებამოსილების გადამეტების შესაძლო სუბიექტად მიიჩნევს არა ყველა თანამდებობის პირს, არამედ მხოლოდ იმას, ვინც მეტ-ნაკლები მნიშვნელოვანი უფლებამოსილებით არის აღჭურვილი ანდა ვინც ამა თუ იმ საწარმოს ან დაწესებულებას ხელმძღვანელობს¹. ამასთან ისინი ავითარებენ აზრს, რომლითაც თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტის ცნება თანამდებობის პირის ცნებაზე უფრო ფართოა². ზოგიერთი ავტორის აზრით კი პირიქით, თანამდებობის პირის ცნება თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის ცნებაზე უფრო ფართოა³.

ლ. ბერეკაშვილის, ვ. შერბინინის, დ. მარაუპოლსკის და მ. იაკუბოვიჩის აზრით, ქრთამის ამლები სუბიექტის ცნება სხვა თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტთა წრეზე უფრო ფართოა⁴. ამიტომ ლ. ბერეკაშვილი გვთავაზობს სისხლის სამართლის კოდექსის მექრთამეობის ამსახველ მუხლებში შეიცვალოს თანამდებობის პირის ცნება, ჯერ კიდევ 1918 წელს ვ. ი. ლენინის

¹ См. А. А. Жижиленко. Должностные преступления. М., 1927, стр. 52; А. Трайнин. Должностные и хозяйственные преступления. М., 1938, стр. 17—18; М. И. Блум. Ответственность за преступную халатность по советскому уголовному праву. Канд. дисс., М., 1951, стр. 234—235, и др.

² См. также, В. С. Утевский. Общее учение о должностных преступлениях. М., 1943, стр. 373; В. Г. Анпилогова. Ответственность по советскому уголовному праву за преступную халатность. Канд. дисс., Ростов-на-Дону 1954, стр. 147, 160—165;

³ Н. Г. Филановский. Борьба с преступлениями по должности по советскому уголовному праву. Автореферат канд. дисс., Л., 1953, стр. 9.

⁴ Л. Берекашвили. О субъекте взяточничества. — «Вопросы государства и права». Свердлов. юрид. институт, 1963, стр. 88—89; Л. Мариупольский, М. Якубович. Квалификация взяточничества. «Соц. законность», 1963, № 5, стр. 39; В. Шербанин. Некоторые вопросы квалификации взяточничества. «Соц. законность», 1964, № 9, стр. 58—59, и др.

მიერ შემუშავებული ფორმულირებით და ქრთამის აღების სუბიექტად ცნობილ იქნეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომუშავე ყველა მოსამსახურე პირი. ზოგიერთი კიდევ უფრო შორს მიდის და მოითხოვს საკანონმდებლო წესით იქნეს რეგლამენტირებული, რომ მექრთამეობისათვის შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს სახელმწიფო აპარატის ნებისმიერი მოსამსახურე მიუხედავად იმისა, თუ რა სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს იგი⁵.

ასეთივე აზრია გატარებული საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 23 სექტემბრის დადგენილებაში „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, რომლითაც ქრთამის აღების შესახებ სუბიექტად მიჩნეულია სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების თითქმის ყველა მუშაკი, ვისაც კი თავისი სამსახურებრივი მდგომარეობითა და მოვალეობის შესრულებით შეუძლია ქრთამით დაინტერესებულმა მიიღოს ღონისძიება, რომ სხვა თანამდებობის პირმა შეასრულოს ქრთამის მიმცემისათვის სასურველი მოქმედება⁶. პლენუმის დადგენილება, ჩვენი აზრით, მცდარია და ეწინააღმდეგება თვით რაფსრ სსკ 170-ე მუხლის შენიშვნაში და საქართველოს სსრ სსკ 185-ე მუხლში (აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებში) მოცემულ თანამდებობის პირის ცნებას.

ყველა ამ მოსაზრებას, ჩვენი აზრით, აქვს თავისი ნაკლი. მართებული არ არის თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის ცნებისა და თანამდებობის პირის ცნების დაპირისპირება. არც ის არის სწორი, რომ თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტთა წრე იმაზე მეტად გავაფართოოთ, რის შესაძლებლობასაც იძლევა კანონი.

სრულიად მართებულად შენიშნავს ნ. კუჩერავი, რომ მექრთამეობის სუბიექტი არაფრით არ განსხვავდება სხვა თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტისაგან⁷.

თანამდებობის პირის ცნების საკითხის შესწავლას გარკვეულ ყურადღებას აქცევენ სამართლის სხვა დარგის სპეციალისტებიც, მაგრამ მათ შორისაც აზრთა სხვაობაა.

საბჭოთა სამართლის ცალკეულ დარგებში თანამდებობის პირის ესოდენ სტრუქტურული გავრცელება გაუგებრობას იწვევს განსაკუთრებით სასამართლო პრაქტიკაში. საბჭოთა იურისტების დიდი ნაწილი სამართლიანად მოითხოვს, რომ საბჭოთა სამართლის ყველა დარგისათვის შემუშავდეს თანამდებობის პირის ერთიანი ცნება. თუმცა ზოგიერთ იურისტს შეუძლებლად მიაჩნია ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალში თანამდებობის პირისათვის დამახასიათებელი ერთიანი ნიშნების მოძებნა და ყველა სამართლებრივი მეცნიერებისათვის თანამდებობის პირის ერთიანი ცნების შექმნის შესაძლებლობა⁸. ზოგიერთი ავტორი გვთავაზობდა უარი გვეთქვა სისხლის სამართალში თანამდებობის ცნების განმარტებაზე, რადგან მათ შეუძლებლად მიაჩნდათ ყოველ-

⁵ Б. С. Гришин. Ответственность за взяточничество. «Советское государство и право», 1959, № 12, стр. 61—62.

⁶ Бюллетень Верховного Суда СССР, 1977, № 6, стр. 1.

⁷ Н. П. Кучерявий. Ответственность за взяточничество. М., 1957, стр. 105.

⁸ М. М. Вясинынский. Уголовная ответственность за злоупотребление служебным положением по советскому праву. Канд. дисс., М., 1951, стр. 255; В. М.

გვარი თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტისათვის ერთიანი კრიტერიუმის დადგენა⁹.

ასეთი მოსაზრება, ცხადია, მცდარია და იგი არ შეიძლება გავიზიაროთ. თანამდებობის პირის ცნების ერთიანი საკანონმდებლო განმარტება არა თუ შესაძლო და საჭიროა, არამედ აუცილებელიც არის. საჭიროა საბჭოთა სამართლის მთელი სისტემისათვის თანამდებობის პირის ცნების საერთო ნიშნების განსაზღვრა.

ამა თუ იმ პირის თანამდებობის პირად აღიარების საკითხი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ერთნაირად არ არის გადაწყვეტილი სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში. თუმცა იგი ყოველთვის თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა იყო.

აღსანიშნავია, რომ თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტის საკითხის სწორად გადაწყვეტას საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე სათანადო ყურადღება ექცეოდა. მაგალითად, რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ გამოცემულ იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1917 წლის 19 დეკემბრის ინსტრუქციაში ნათქვამი იყო, რომ თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტი შეიძლება იყოს პირი, რომელიც სარგებლობდა თავისი საზოგადოებრივი ან ადმინისტრაციული მდგომარეობით და ბოროტად იყენებს რევოლუციური ხალხის მიერ მინიჭებულ ხელისუფლებას.

რსფსრ 1922 წლის პირველ საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, თანამდებობის პირად ითვლებოდა პირი, რომელსაც მუდმივად ან დროებით ეკავა თანამდებობა სახელმწიფოს ან თუ იმ (საბჭოთა) დაწესებულებაში ან საწარმოში, აგრეთვე იმ ორგანიზაციაში ან გაერთიანებაში, რომელსაც კანონით მინიჭებული ჰქონდა გარკვეული უფლება-მოვალეობა და უფლებამოსილება სამეურნეო, საადმინისტრაციო, საგანმანათლებლო და სხვა საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანების განხორციელებაში.

თანამდებობის პირის ზუსტად ასეთივე განმარტება იყო მოცემული საქართველოს სსრ 1922 წლის რედაქციით გამოცემულ სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის შენიშვნაში. ასეთივე განმარტება, მცირეოდენი ცვლილებით, გადატანილ იქნა რსფსრ 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველ შენიშვნაში, აგრეთვე საქართველოს სსრ 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლის შენიშვნაში.

ამრიგად, წინათ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსებით თანამდებობის პირად ითვლებოდა სახელმწიფო საწარმო-დაწესებულებაში ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ამხანაგობასა და კოოპერაციულ ორგანიზაციებში მომუშავე ყველა მოსაშახურე, რომელსაც მუდმივად ან დროებით ეკავა თანამდებობა და რომლის საქმიანობაც დაკავშირებული იყო სახელმწიფოებრივი მიზნის განხორციელებასთან, ე. ი. თანამდებობრივი დანაშაული გაიგივებული იყო სამსახურებრივ დანაშაულთან. სწორედ ამიტომ იყო, რომ სისხლის სამართლის კოდექსების განსაკუთრებულ ნაწილში მოთავსებულ თანამდებობრივ დანაშაულთა თავს ეწოდებოდა „თანამდებობრივი (სამსახურებრივი) დანაშა-

Манохин. Советская государственная служба. М., 1966, стр. 124.

⁹ В. С. Тадевосян. К разработке проекта УК СССР. «Советское государство и право», 1954, № 4, стр. 72; აღსანიშნავია, რომ უფრო ადრე ასეთივე მოსაზრებას ანვითარებდა ვ. ნ. შირიაგი თავის შრომაში.

«Взяточничество и лихоимство в связи с общим учением о должностных преступлениях», 1916, стр. 228—230.

ული“ და მასში შეტანილი იყო ზოგიერთი არათანამდებობრივი დანაშაულის ამსახველი მუხლებიც.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე სისხლის სამართლის თეორიასა და სამართლო პრაქტიკაში წინათ თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტებად აღიარებული იყო ყველა მოსამსახურე, ვისაც მუდმივად ან დროებით ეკავა თანამდებობა სახელმწიფო საწარმო-დაწესებულებაში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და გაერთიანებებში, რაოდენ მცირედიც უნდა ყოფილიყო მისი სამსახურებრივი მოვალეობა, მისი ფუნქციები, თვით ისიც კი, ვინც ასრულებდა წმინდა ტექნიკურ სამუშაოს, მაგალითად, ქაღალდების გადამქორი, მანქანაზე მბეჭდავი, კურიერი, დარაჯი და სხვ¹⁰. უფრო მეტიც, ზოგიერთი ავტორი შემდგომშიც ავითარებდა აზრს იმის შესახებ, რომ შეიძლება დაისვას თანამდებობრივი დანაშაულისათვის კურცერის სისხლის სამართლის პაუზიანგებაში მიცემის საკითხი, თუ კი იგი დატარების დროს გზაში დაკარგავს ფასიან ქაღალდს¹¹. ასევე, შ. ბლუმის აზრით, კურიერის, დამლაგებლის, მემანქანისა და აღმრიცხველის როლი დიდია არა იმიტომ, რომ ისინი უშუალოდ ახორციელებენ აღმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქციებს, აღრიცხვასა და კონტროლს და სხვ., არამედ მათი როლი დიდია იმიტომ, რომ იმ რგოლში, რომლის ჭანჭიკები ისინი არიან, ასრულებენ ამ აღმინისტრაციულ-სამეურნეო და საგანმკარგულებო ფუნქციებს¹². ამით იგი ერთგვარად აიგივებს თანამდებობის პირისა და რიგითი არათანამდებობის პირის — ტექნიკური მუშაკის სამსახურებრივ ფუნქციებს. მაგრამ იგი იქვე ახდენს ასეთ თანამდებობის პირთა კლასიფიკაციას და აღნიშნავს, რომ ყველა ტექნიკური მოსამსახურე არ შეიძლება იყოს ნებისმიერი თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტი. მაგალითად, მისი აზრით, ისეთი დანაშაულის სუბიექტი, როგორც არის ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, არ შეიძლება იყოს ყველა თანამდებობის პირი.

წინათ მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ამჟამად მოქმედი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მეშვიდე თავში (და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის თავებში) თანამდებობრივ დანაშაულთა სახეობანი ერთ მთლიან სისტემაშია მოყვანილი და იგი უფრო დახვეწილად არის წარმოდგენილი.

საქართველოს სსრ სსკ განსაკუთრებული ნაწილის მეშვიდე თავში, რომელსაც ეწოდება „თანამდებობრივი დანაშაული“, შეტანილია მარტოოდენ წმინდა, ისეთი ზოგადი თანამდებობრივი დანაშაულის ამსახველი მუხლები, რომელთა ჩადენა შეუძლია მხოლოდ სახელმწიფო და საზოგადოებრივი მართვის სისტემაში მომუშავე გარკვეული უფლება-მოვალეობით აღჭურვილ ნებისმიერ თანამდებობის პირს, ე. ი. თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული გარკვეული უფლება-მოვალეობით აღჭურვილი თანამდებობის პირი და არა ყველა მოსამსახურე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის ისეთი შემთხვევები, როცა თანამდებობრივი დანა-

¹⁰ А. Эстрин. Уголовное право РСФСР, 1922, стр. 47—48; К. Вяткин. К понятию должностного лица. «Рабочий Суд», 1925, № 23—24, стр. 987; А. Гюнтер. Должностные преступления. Харьков, 1928, вып. 5, стр. 4—12, и др.

¹¹ В. В. Здравомыслов. Должностные преступления. М., 1956, стр. 29.

¹² იხ. შ. ბლუმი, დასახ. სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 21, 233, 235, 244.

შაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ მზარეულებს, მებუფეტეებს, დარაჯებს, მწყემსებს. რიგით კოლმეურნეებს, მაღაზიის გამყიდველებს, მეკუჭნავეებს, ფერშლებს, ზოოტექნიკოსებს, მეფუტკრეებს, ეგერებს, ზეინკლებს, ოსტატებს, რიგით მუშებს და ზოგჯერ გაურკვეველი კატეგორიის პირებსა და დროებით უმუშევრებსაც კი.

მაგალითად, გ.-ემ, თ.-ემ და მ.-ემ, მუშაობდნენ რა თბილისის ცენტრალურ საკოლმეურნეო ბაზარში მეკუჭნავეებად, 1975 წლის 9 ივლისს გლეხებისაგან ურეალიზაციოდ დარჩენილი პროდუქტების შესანახად მიღებისას არ გამოწერეს ზედნადებები და ერთ-ერთ მათგანს გამოართვეს 16 მანეთი და 70 კაპ; მეორეს — 23 მან. და 50 კაპ., მესამეს — 17 მანეთი. 26 კონსირის რაიონის სახალხო სასამართლომ ამ პირებს მსჯავრი დასდო სსკ 186-ე მუხლის II ნაწილით, როგორც თანამდებობის პირებს. ასევე თბილისის ერთ-ერთი მაღაზიის გამყიდველს ს.-ეს, რომელსაც შემოწმებით 1400 მანეთი დანაკლისი აღმოაჩნდა, ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ მსჯავრი დასდო სსკ 188-ე მუხლის I ნაწილით. აღსანიშნავია, რომ ეს განაჩენი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ უცვლელად დატოვა ძალაში.

ჯ.-ემ, რომელიც პავლიონში მებუფეტედ მუშაობდა, მომხმარებელს ნი-სიად მისცა 973 მანეთის პროდუქტები. თეთრი წყაროს რაიონის სახალხო სასამართლომ ჯ.-ეს მსჯავრი დასდო სსკ 156-ე მუხლის I ნაწილით, როგორც თანამდებობის პირს.

უფრო მეტიც, სასამართლოში ზოგჯერ თანამდებობრივი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ ფარდულში მოვაჭრეებსა და მეკოსკეებსაც. მაგალითად, კ.-ამ, მუშაობდა რა სოიუზპეჩატის მეკოსკედ; ისე, რომ სათანადო საბუთები არ ჰქონია, კიოსკში შეიტანა 130 ცალი „მზიური“ და 74 ცალი „ლუქსა“. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ 1977 წლის 5 აპრილის განაჩენით მას მსჯავრი დასდო სსკ 93-ე მუხლის I ნაწილით, სსკ 17 და 165-ე მუხლის I ნაწილით, სსკ 186-ე მუხლის II ნაწილ თა და სსკ 229-ე მუხლის I ნაწილით.

აქ ითი პრაქტიკა მცდარია. მაღაზიის რიგითი გამყიდველი, მებუფეტე, მზარეული და მეკუჭნავე აღჭურვილი არ არიან თანამდებობის პირისათვის დამახასიათებელი უფლება-მოვალეობებით და მათი სამსახურებრივი საქმიანობა დაკავშირებული არ არის ადმინისტრაციულ საგანმკარგულებო ან სამეურნეო ხასიათის ფუნქციების შესრულებასთან, ამიტომ არ შეიძლება ისინი მივიჩნიოთ თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტებად. ხოლო, რაც შეეხება ისეთ პირებს, რომლებსაც სავაჭრო დაწესებულებაში ხელმძღვანელი თანამდებობა უკავიათ (მაღაზიის დირექტორი, მისი მოადგილე, გამგე, სექციონერა და სხვ.), ისინი თანამდებობის პირები არიან, რადგან მათ ადმინისტრაციულ-საგანმკარგულებო ხასიათის ფუნქციების განხორციელება ევალებათ.

სასამართლო პრაქტიკაში არის ხოლმე ისეთი შემთხვევებიც, როცა თანამდებობრივი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს: საწყობის გამგეს, მოლარეს, დარაჯსა და სხვ. მაგალითად, ერთ-ერთი არასაუწყებო დაცვის განყოფილების დარაჯს გ.-ეს, ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ 1977 წლის 24 მარტის განაჩენით მსჯავრი დასდო ქრთამის აღებისათვის (სსკ 189-ე მუხლის I ნაწილით), როგორც თანამდებობის პირს. ასევე, მოლარე გ.-ეს, რომელმაც

შინ წაიღო ხელფასის დასარიგებლად გამოტანილი 27.222 მანეთი და 56 კაპიკი და რომელსაც ღამით თავს დაესხნენ გამოძიებით დაუდგენელი პირები და ფული მთლიანად გაიტაცეს, თელავის სახალხო სასამართლოს 1976 წლის 13 ივნისის განაჩენით მსჯავრი დაედო სსკ 188-ე მუხლის II ნაწილით. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ზემოაღნიშნული განაჩენი უტველვად დატოვა ძალში.

ზოგჯერ თანამდებობრივი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში აძლევენ მანქანის მძღოლებსაც. მაგალითად, ავტომანქანის მძღოლმა გ.-ემ მანქანით წამოიღო რაიკოობერატივის სარეალიზაციოდ განკუთვნილი 3 ტონა ცემენტი და ნაცვლად იმისა, რომ ცემენტი გადაეტვირთა იმ მომხარებლებისათვის, რომლებიც განაწილებით სააში იყვნენ შეტანილი, მან იგი გადაუტვირთა სხვა მომხმარებლებს. თიანეთის სახალხო სასამართლომ 1976 წლის 26 დეკემბრის განაჩენით გ.-ეს მსჯავრი დასდო სსკ 186-ე მუხლის I ნაწილით.

სასამართლო პრაქტიკაში თანამდებობის პირად არის აგრეთვე მიჩნეული მწონავი. მაგალითად, თ.-ემ, რომელიც ამიერკავკასიის ოკიანიგზის თელავის სადგურში მწონავად მუშაობდა შაქრის მიღების დროს შეადგინა ყალბი კომერციული აქტი და ამით მეურნეობას 988 მანეთი და 80 კაპიკი ზარალი მიყენა. ქ. თელავის რაიონის სახალხო სასამართლომ თ.-ეს მსჯავრი დასდო სსკ 188-ე მუხლის I ნაწილითა და სსკ 191-ე მუხლით.

სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როცა თანამდებობრივი დანაშაულის შესაბამისი მუხლებით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში აძლევენ ფერშალს, ზოტეკნიკოსს, ოსტატს, ზეინკალს და სხვ. მაგალითად, ბ.-ემ რომელიც ახალსოფლის კოლმეურნეობის ზოტეკნიკოსად მუშაობდა, 1973 წლის მაისში პირუტყვის პროდუქტების ზარჯზე ბუღალტერიას წარუდგინა 964 მანეთის უწყისები გაზრდილი რაოდენობით, რაც ბუღალტერიამ ჩამოწერა ისე, რომ სათანადოდ არ შეუმოწმებია. თიანეთის სახალხო სასამართლომ ბ.-ეს მსჯავრი დასდო სსკ 186-ე მუხლის I ნაწილით.

ვ.-ე, რომელიც ვანის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო საამშენებლო საბჭოში მშენებელ ოსტატად მუშაობდა, სასამართლოს მიერ მსჯავრდებული იქნა სსკ 186-ე მუხლის II ნაწილით, სსკ 94-ე მუხ. II ნაწილითა და სსკ 191-ე მუხლით. ასევე, მ.-ე, რომელიც ზუგდიდის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ხისდამმუშავებელ საამქროში ოსტატად მუშაობდა, იმის გამო, რომ საამქროდან მუშებს ნება დართო და დაეხმარა მათ დაეხერხათ თიანეთის პირადი კუთვნილი 21 კუბ. მეტრი ხის მორები, სასამართლოს მიერ მსჯავრდებული იქნა საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის I ნაწილით, როგორც თანამდებობის პირი.

სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ თანამდებობრივი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში აძლევენ ეგერებს, მწყემსებსა და მეფუტკრეებს. მაგალითად, ა.-ს, რომელიც სოფელ დარბაზის კოლმეურნეობაში უფროს მწყემსად მუშაობდა და კოლმეურნეობას 1720 მანეთის ზარალი მიყენა, ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლომ მსჯავრი დასდო სსკ 188-ე მუხლის I ნაწილით. სასამართლოს მიერ თანამდებობის პირად იქნა მიჩნეული მეფუტკრე გ.-ე, რომელსაც 840 მანეთის ღირებულების 18 ოჯახი ფუტკრის დანაკლისი აღმოაჩნდა, მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლოს 1976 წლის

6 დეკემბრის განაჩენით მსჯავრდებული იქნა სსკ 188-ე მუხლის I ნაწილით, როგორც თანამდებობის პირი.

საინტერესოა შემდეგი მაგალითი: მ.-ემ, რომელიც ეგერად მუშაობდა, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა ბოროტად გამოიყენა, რაც იმით გამოიხატა, რომ 1975 წლის 8 მარტს თავის ამხანაგებთან ერთად ლაშარის ტყეში მოკლა ორი შველი, თიანეთის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ იგი მსჯავრდებული იქნა სსკ 186-ე მუხლის II ნაწილითა და სსკ 177-ე მუხლის II ნაწილით.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგჯერ სასამართლო პრაქტიკაში ხდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მუშასა და დროებით უმუშევარ პირებსაც სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ თანამდებობრივი დანაშაულისათვის. მაგალითად. ს.-ე, რომელიც არსად არ მუშაობდა და აკრძალულ რეწვას ეწეოდა (მან კუსტარული გზით დაამზადა 10 ცალი ბეჭედი და დაეხმარა გ.-ებს ერთი ცალი ბეჭდვის რეალიზაციაში), თბილისის პირველი მაისის სახალხო სასამართლოს 1977 წლის 6 მაისის განაჩენით მსჯავრდებული იქნა სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილით, სსკ 172-ე მუხ. II ნაწილითა და სსკ 165-ე მუხლის II ნაწილით.

სასამართლო პრაქტიკიდან ამგვარი მაგალითების მოყვანა უხვად შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია.

მაღაზიის გამყიდველების, მზარეულების, მეზუფეტეების, მეკუჭნავეების, მოლარეების, მწონავეების, მეფუტკრეების, ფერშლების, ზოოტექნიკოსების, მძღოლების, ოსტატების, ზეინკლების, მექანიკოსების და სხვა ამგვარ პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა თანამდებობრივი დანაშაულისათვის სწორი არ არის, რადგან თავიანთი სამსახურებრივი უფლებამოვალეობებით არც ერთი მათგანი არ აკმაყოფილებს საქართველოს სსრ სსკ 185-ე მუხლში მოცემულ თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებს და, ამდენად, ისინი არ შეიძლება თანამდებობის პირებად იყვნენ მიჩნეული.

ასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ ადრე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის № 9 დადგენილების „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, — მე-6 პუნქტში ნათქვამი იყო: თუ არათანამდებობის პირი მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით მიიღებს რაიმე სახის ანაზღაურებას, სარგებლობას და ამით ზიანს მიაყენებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას და თუ მისი ქმედობა არ შეიცავს გატაცების ნიშნებს უნდა დაკვალიფიცირდეს რსფსრ სსკ 94-ე მუხლით და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით როგორც ქონებრივი სარგებლობის მიღება მოტყუების ან ნდობის ბოროტად გამოყენებით. ასეთივე სწორი აზრია გატარებული საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 23 სექტემბრის დადგენილებაში „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“. ამიტომ, ცხადია, არათანამდებობის პირების დანაშაულებრივი ქმედობა, თუ იგი გატაცების ნიშნებს არ შეიცავს, უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ 98-ე მუხლით და არა თანამდებობრივი დანაშაულის მუხლებით.

საქართველოს სსრ სასამართლოების ასეთი უმართებულო პრაქტიკის შედეგია ის, რომ მარტო 1977 წელს საქართველოს სსრ სასამართლოს მიერ თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდებულთა რიცხვი ყოველგვარ

საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკის ზემოაღნიშნული მონაცემები, ჩვენი აზრით დამაფიქრებელია. იგი მოითხოვს სერიოზული დასკვნების გამოტანას, სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესებას, თანამდებობრივ დანაშაულთა ამსახველი კანონმდებლობის შემდგომ სრულყოფას.

სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტის ზემოაღნიშნულ მცდარ გაგებას, მის ირგვლივ არსებულ აზრთა მრავალფეროვნებას და სასამართლო პრაქტიკის არასტაბილობას, ჩვენი აზრით, ხელს უწყობს ის გარემოება, რომ საქართველოს სსრ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების განსაკუთრებული ნაწილის თანამდებობრივ დანაშაულთა შესაბამის მუხლებში სწორად არ არის ფორმულირებული თანამდებობის პირის ცნება. დასახვეწია აგრეთვე ამ თავში გათვალისწინებული ზოგიერთი მუხლის რედაქცია. ამას ისიც ემატება, რომ თანამდებობის პირის ცნება დღემდე, ერთნაირად არ არის ასახული მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

მაგალითად, ყაზახეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის თანახმად, თანამდებობის პირებად ითვლებიან ისინი, ვისაც სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში მუდმივად ან დროებით უკავიათ სამსახურებრივი თანამდებობა ან ასრულებენ ორგანიზაციულ-განმკარგულებელ ან ადმინისტრაციულ-სამეურნეო მოვალეობებს (ხაზგასმა ჩემია შ. ფ.).

კანონის ასეთი რედაქცია, ჩვენი აზრით, სწორი არ არის, რადგან იგი აფაროებს თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტების წრეს და თანამდებობის პირად მიიჩნევს ყველა მოსამსახურეს. ყაზახეთის სსრ სასამართლოები, ხელმძღვანელობენ რა თანამდებობის პირის ასეთი განმარტებით, თანამდებობრივი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ მძევლავ მემანქანეებს, ცეცხლფარეშებს, მწყემსებს, მზარეულებს, ზეინკლებს, მევაზეებს და სხვა რიგითს მუშებს¹⁶.

ასევე ესტონეთის სსრ სსკ 160-ე მუხლით თანამდებობის პირებად მიჩნეული არიან ისეთი პირები, რომლებიც განაგებენ მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობას, ე. ი. ამ მუხლის თანახმად, თანამდებობის პირებად აღიარებულია ყველა მატერიალურ ფასეულობათა პასუხისმგებელი პირი — საწყობის გამგე, მოლარე, დარაჯი და სხვ.

რუსსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებისაგან მცირეოდენი განსხვავებით საქართველოს სსრ სსკ 185 მუხლით თანამდებობის პირებად ითვლებიან ის პირები, რომლებიც მუდმივად ან დროებით, სასყიდლით ან უსასყიდლოდ, დანიშნით ან არჩევით, აგრეთვე ცალკეული დავალებების ძალით სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებაში, საწარმოში ან ორგანიზაციაში ასრულებენ მოვალეობებს, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფო ხელისუფლების აქტებს, ან განმკარგულებელი, ორგანიზაციულ-სამეურნეო, ადმინისტრაციული ან სხვა ამგვარი ფუნქციების განხორციელებას.

თანამდებობის პირის ამ განმარტებაში მოცემულია თანამდებობრივი დანაშაულს სუბიექტისათვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნები. მაგრამ უნდა

¹⁶ А. Нусупалиев. Уголовная ответственность за злоупотребление властью или служебным положением. Канд. диссертация. М., 1973, стр. 80—81.

შეენიშნათ, რომ ამ ჭეშმარიტად სწორი აზრის პრაქტიკაში გატარებას ხელს უშლის საქართველოს სსრ სსკ 186-ე და 191-ე მუხლების არასწორი ფორმულირება, მათი ორაზროვანი გაგება.

თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტის შესახებ იურიდიულ ლიტერატურაში გამართული დავისა და სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების აღმოფხვრისა და საერთოდ თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის გაუმჯობესების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად მიგვაჩნია თვით თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა. უპირველეს ყოვლისა კი თანამდებობის პირის ცნების შემდგომი დახვეწა და თანამდებობრივ დანაშაულთა თავში გათვალისწინებულ მუხლებში ცვლილებების შეტანა იმ თვალსაზრისით, რომ იქიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სამსახურებრივი“ და მის შესაბამისად შეიცვალოს ამ მუხლების დისპოზიციური ნაწილი.

იურიდიულ ლიტერატურაში არის თანამდებობის პირის ცნების განმარტების მრავალი ვარიანტი. მაგრამ, ჩვენი აზრით, თითქმის ყველა მათგანს აკლია სისრულე, ლაკონიურობა და სიზუსტე.

მაგალითად, ზოგიერთი ავტორი გვთავაზობს — თანამდებობის პირის ცნებაში მითითებული იყოს, რომ ის არის ხელისუფლების, საზოგადოებრიობის წარმომადგენელი და სრულწლოვანი პირი¹⁷, აგრეთვე მითითება იმის შესახებ, რომ განაგებენ მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობას¹⁸, ან უფლებამოსილი არიან შესარულონ ისეთი იურიდიული მოქმედება, რომელიც ქმნის მოქალაქეთა ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმოების და დაწესებულებების უფლებებს ან მოვალეობებს¹⁹ და სხვ.

თანამდებობას პირის ცნებაში ამ მოთხოვნათა შეტანა, ჩვენი აზრით, სწორი არ არის, რადგან, ჯერ ერთი, იგი ცნებას უკარგავს ლაკონიურობას, ართულებს მას. თანაც, როგორც ცნობილია, ცნების განმარტებაში მითითებული უნდა იყოს არა საგნის ყველა დამახასიათებელი, არამედ მხოლოდ მისი არსებითი ნიშნები. მეორეც, მასში საზოგადოებრიობის წარმომადგენლების შეტანის მოთხოვნა შეიძლება სამართლიანი იყოს რსფსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებისათვის, რომლებიც თანამდებობის პირის ცნებაში საერთოდ არ მიუთითებენ ისეთ პირებზე, რომლებიც თავიანთ მოვალეობას ასრულებენ „სასყიდლით ან უსასყიდლოდ“. საქართველოს სსრ სსკ 185-ე მუხლში მოცემული თანამდებობის პირის ცნებისათვის კი იგი დამახასიათებელია.

საქართველოს სსრ სსკ 185-ე მუხლში მოცემული თანამდებობის პირის ცნებაში, ჩვენი აზრით, საჭიროა ცვლილებათა შეტანა იმ თვალსაზრისით, რომ იქიდან ამოღებულ იქნეს სახელმწიფო-საზოგადოებრივი დაწესებულებების, საწარმო-ორგანიზაციების ჩამოთვლა და ორგანიზაციულ-სამეურნეო და სხვა მსგავს ფუნქციებზე მითითება, რადგან ამით მეტად ფართოვდება თანამდებობის პირთა წრე და, ცხადია, თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტთა

17 ს. ი. სვეტლოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. გვ. 24, 38-39, ი. ვ. ზოლოტუხინი, დასახ. საკანდ. დისერტაციის ავტორეფერატი, გვ. 27, და სხვ.
18 ვ. მელნიკოვა, დასახ. სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 87, და სხვ.
19 ა. ნუსტალიევი, დასახ. საკანდ. დისერტაცია, გვ. 84 და სხვ.

წრეც. ამასთან ზედმეტია აგრეთვე «სახელმწიფო ხელისუფლების აქტებზე» მითითება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია თანამდებობის პირის ცნება სსკ 185-ე მუხლში. ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: თანამდებობის პირებად ითვლებიან პირები, რომლებიც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მართვის სისტემაში მუდმივად ან დროებით, სასყიდლით ან უსასყიდლოდ, დანიშნით ან არჩევით ან ცალკეული დავალებების ძალით ასრულებენ ადმინისტრაციულ — საგანმკარგულებო ან საორგანიზაციო — საკონტროლო მოვალეობებს.

ამავე დროს, თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის პრობლემის გადაწყვეტისა და თანამდებობრივ დანაშაულთაგან სხვა არათანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი ანალოგიური დანაშაულის მკვეთრად გამოიყვანის მიზნით კარგი იქნება, თუ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსით შემოღებული იქნება აგრეთვე სპეციალური მუხლი ასეთ არათანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შესახებ. კერძოდ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მმართველობის წესის წინააღმდეგ დანაშაულთა თავს დაემატოს 210¹-ე მუხლი შემდეგი რედაქციით:

სახელმწიფო დაწესებულებაში, საწარმოში ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაში მომუშავე არათანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ანგარების ან სხვა რაიმე პირადი ქვენაგრძნობით, რამაც არსებითი ზიანი მიიყენა (ან შეეძლო მიეყენებინა) სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

იმავე მუხლის მეორე ნაწილში კი მითითებულ იქნეს ისეთი დამამძიმებელი ვარემოებები, როგორც არის განმეორებითობა, სისტემატურობა და ადრინდელი ნასამართლობა. კერძოდ, იგი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

იმავე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით ან სისტემატურად ან ასეთი დანაშაულისათვის ადრე სამართალში ნამყოფი პირის მიერ.

თანამდებობრივ დანაშაულთა ამსახველი კანონმდებლობისა და თანამდებობის პირის ცნების სრულყოფა და არათანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შესახებ ასეთი სპეციალური მუხლის შემოღება, ფეიქრობთ, ხელს შეუწყობს სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესებას და სასამართლო პრაქტიკიდან არათანამდებობის პირთა თანამდებობრივი დანაშაულის ამსახველი მუხლებით უმართებულო დასჯის შემთხვევების აღმოფხვრას და, საერთოდ, თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტის პრობლემის გადაწყვეტას.



დამნაშავეობის გეოგრაფიის შესწავლის ზოგიაკთი მათეოლოგიური საკითხი*

ა. გაზიანი,

ბროფ. თსუ დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი
მ. დიღუბლიძე,

თსუ დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერი მუშაკი

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებენ დამნაშავეობის თავიდან აცილების ღრმად გააზრებულ პოლიტიკას.

დამნაშავეობასთან ბრძოლაში უკანასკნელ ხანს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვას დამნაშავეობის მიზეზებისა და მისი ხელშემწყობი პირობების აღმოსაფხვრელად. ეს მოითხოვს, რომ საბჭოთა კრიმინოლოგებმა, სოციოლოგებმა, სოციალ-ფსიქოლოგებმა ღრმად გამოიკვლიონ დამნაშავეობის პრობლემა.

კრიმინოლოგიური გამოკვლევები სსრ კავშირში სტრუქტურულად სხვადასხვა ასპექტში კონკრეტული ამოცანის შესაბამისად, რომელთა შორის მნიშვნელოვანია დამნაშავეობის მიზეზების ანალიზი ტერიტორიული მეთოდით.

დამნაშავეობის ტერიტორიულ ასპექტში შესწავლა უკანასკნელ დროს ღრმა კრიმინოლოგიური კვლევის საგნად იქცა. გამოკვლევებმა დაადასტურა მეცნიერული ვარაუდი, რომ სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქსა და რაიონში დამნაშავეობის დონესა და ხასიათში არის მნიშვნელოვანი განსხვავებები. ამ განსხვავებათა რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი თუმცა მეტად რთული, მაგრამ თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და პერსპექტიული საქმეა. ამ ამოცანის გადაწყვეტის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს კერძოდ ის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის ივლისის ცნობილ დადგენილებაში პირდაპირ არის მითითებული: აუცილებელია დამნაშავეობის სისტემატური და ღრმა ანალიზი ყოველ რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში, ქალაქსა და რაიონში¹.

იმის გამო, რომ დამნაშავეობას ჩვენ განვიხილავთ როგორც სოციალურ მოვლენას, ტერიტორიის ამა თუ იმ მონაკვეთზე დამნაშავეობის და სხვა ნეგატიური მოვლენების არსებობის მიზეზებსა და პირობებს სწორად განესაზღვრავთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ღრმად შევისწავლით ყველა იმ კანონზომიერებას, რომელიც ახასიათებს სოციალ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, კულტურული, ისტორიული პროცესების განვითარებას ტერიტორიის მოცემულ მონაკვეთზე.

სწორი არ იქნება საქმის ისე წარმოდგენა, თითქოს დამნაშავეობის რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები უშუალო და პირდაპირ მიზეზ-შედეგობრივ კავშირში იყოს ამ პროცესებთან. „ეს კავშირი განპირობებულია მთელი რიგი შუალობათი დემოგრაფიული, სოციალ-ეკონომიკური, სოციალ-ფსიქოლოგიური, ზნეობრივ-კულტურული, ორგანიზაციული ხასიათის მოვლენებით“². ამ რთული კავშირთა დასაბუთების ხასიათის განსაზღვ-

* საქართველოს სსრ მასალების მიხედვით.

¹ იხ. გაზეთი «Правда», 1966 წ; 27 ივლისი.

² იხ. «Криминология», М., 1968, გვ. 233.

რისათვის აუცილებელია დამნაშავეობის რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების შეპირისპირება ზემოაღნიშნული პოზიტიური პროცესების ხასიათსა და ინტენსივობასთან. ეს აუცილებელია იმის გამო, რომ სოციალ-ეკონომიკური მოვლენების მთელი მასიდან გამოვყოთ სწორედ ის მოვლენები და პროცესები, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს დამნაშავეობის მდგომარეობასა და დინამიკაზე და ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

დამნაშავეობის რაოდენობრივ მახასიათებლად გვევლინება დამნაშავეობის მდგომარეობა და დამნაშავეობის კოეფიციენტი. დამნაშავეობის მდგომარეობა ჩვეულებრივ გამოიხატება აბსოლუტურ ციფრებში, რომლებიც ასახვენ ჩადენილი დანაშაულის და დამნაშავე პირთა რაოდენობას დროის განსაზღვრულ მონაკვეთში. დამნაშავეობის კოეფიციენტის გამომარეობა ხდება დანაშაულთა და მის ჩამდენ პირთა რაოდენობის გადაანგარიშების გზით 1000, 10.000 ან 100.000 მკვარებზე. დამნაშავეობის კოეფიციენტი საშუალებას იძლევა მივიღოთ შედარებით სწორი სურათი დროის სხვადასხვა მონაკვეთში ან სხვადასხვა რეგიონში დამნაშავეობის მდგომარეობის შესახებ. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, დამნაშავეობის კოეფიციენტის გამოყენების გზით შესაძლებელი ხდება დავადგინოთ ის რაოდენობრივი განსხვავებები, რომლებიც ახასიათებს დამნაშავეობას მის დინამიკაში ტერიტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე. ცნობილია, რომ დამნაშავეობის კანონზომიერებათა რაოდენობრივი მახასიათებელია სისხლის სამართლის სტატისტიკის მასალები. სწორედ იგი აძლევს საშუალებას ტერიტორიული ასპექტით ღრმად გავერკვეთ დამნაშავეობაში, მის მიზეზებსა და ცვალებადობის კანონზომიერებებში.

დამნაშავეობის ხელშემწყობი პირობების შესწავლა შესაძლებელია რომელიმე ცალკე აღებული მოკავშირე რესპუბლიკის მასშტაბით, რაც კონკრეტულ-კრიმინოლოგიური კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად არის მიჩნეული. დამნაშავეობის კომპლექსური კვლევა მოკავშირე რესპუბლიკის მასშტაბით შეიძლება მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდეს დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილების ღონისძიებათა კომპლექსის შესწავლის დროს.

დამნაშავეობა, როგორც ზევით ითქვა, მჭიდრო კავშირშია რაც საზოგადოებრივ-ეკონომიკურ მოვლენებთან და პროცესებთან, ამიტომ ტერიტორიულ პლანში დამნაშავეობის კონკრეტულ-კრიმინოლოგიური კვლევის დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ეკონომიკური, სოციალ-დემოგრაფიული, კულტურული და სხვა პროცესების ხასიათი და ინტენსიურობა.

ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, კულტურული და სხვა პროცესების არაერთგვაროვნება ცალკეული რეგიონების მიხედვით ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას ბუნებრივი პირობების და რესურსების არაერთგვაროვნებით, რასაც, მართალია, არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მაგრამ მისა გაუთვალისწინებლობაც არ იქნებოდა სწორი. გარდა ამისა, ის ისტორიული ვითარება, რომელშიც მიმდინარეობდა ამა თუ იმ რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ფორმირება, განსაზღვრულ დალა ასევე მათს სტრუქტურასა და ტერიტორიულ გავრცელებას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ხალხის კულტურისა და ყოფის თავისებურებებს.

როგორც ცნობილია, სოციალისტური მშენებლობის პროცესში თანდათანობით ხდება მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური დონის გათანაბრე-

მა, მათი ყოველმხრივი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება. ამ ამოცანის გადაწყვეტის დროს დიდი ყურადღება ექცევა ამა თუ იმ რეგიონში მოსახლეობის მაქსიმალურად რაციონალურ განსახლებას, ურბანიზაციას და მოსახლეობის ინტენსიური მიგრაციის ზოგიერთი უარყოფითი შედეგის თანდათანობით დაძლევის და სხვ. მიუხედავად ამისა, დღეისათვის ცალკეული რეგიონები ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრების, პოზიტიური პროცესების დონისა და ხასიათის მიხედვით. ამიტომ ჩვენ ვგარაუდობთ, რომ დამნაშავეობის გეოგრაფიის შესწავლისათვის აუცილებელია თითქმის ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი პოზიტიური ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროცესის გათვალისწინება. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა საშუალებას მოგვცემა დრამად გავიაროთ ის მიზეზები და პირობები, რომლებიც ხელს უწყობს რესპუბლიკაში დამნაშავეობასა და სხვა სამართალდარღვევებს, და ამის საფუძველზე შევიმუშავოთ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა კომპლექსი ადგილობრივი პირობებისა და თავისებურებების მაქსიმალური გათვალისწინებით, რადგან ეს თავისებურებები, ჩვენი დრამა რწმენით, ხშირად ბევრად უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს დამნაშავეობათა გენეზისში, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს.

სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, თუ რესპუბლიკის ტერიტორიის განსაზღვრულ მონაკვეთებში ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ისტორიული, ეთნიკური პროცესები, თავიანთი ინტენსიურობითა და ხასიათით საგრძნობლად განსხვავდებიან, მაშინ, ჩვენი დრამა რწმენით, დამნაშავეობაც ამ მონაკვეთზე თავისი დონითა და ხასიათით მნიშვნელოვნად უნდა იყოს განსხვავებული.

ამგვარად, ზემოთ ჩამოთვლილი პროცესებისა და მოვლენების არათანაბარი ტერიტორიული გავრცელება სრულ საფუძველს გვაძლევს მოვახდინოთ რესპუბლიკის ტერიტორიის დიფერენციაცია და ამის საფუძველზე გავაკეთოთ დამნაშავეობის შედარებითი ანალიზი ჩვენს მიერ წინასწარ გამოყოფილ ტერიტორიულ ერთეულებში დამნაშავეობის ხასიათსა და ინტენსიობაში არსებული მნიშვნელოვანი სხვაობის დადგენის მიზნით.

რესპუბლიკის ტერიტორიის ამგვარი დაყოფის შედეგად მიღებულ ტერიტორიულ მონაკვეთებს ჩვენ პირობითად დამნაშავეობის რეგიონები ვუწოდებთ. მისი გამოყოფა წარმოებდა ტერიტორიის მცირე მონაკვეთების გაერთიანების გზით, რასაც საფუძვლად დაედო განსაზღვრული ნიშნების, მახასიათებლების ერთიანობა. ჩვენს დაყოფაში ამგვარ ნიშნებად გვევლინება ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ისტორიული, ეთნიკური პროცესების კონკრეტული მახასიათებლები.

ასეთიარად გამოყოფილ რეგიონებში, ჩვენი საფუძვლიანი ვარაუდით, იმ კონკრეტული მიზეზების გამო, რომლებიც ზემოთ საკმაოდ სრულად იქნა განხილული, მყარად ჩამოყალიბდა განსაზღვრული სოციალ-კულტურული გარემო, რომელიც ძლიერ ზეგავლენას ახდენს ამა თუ იმ პიროვნების ჩამოყალიბებაზე და საბოლოო ანგარიშში მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის სოციალ ფსიქოლოგიურ და ზნეობრივ სახეს, რაც თავის რეალურ ასახვას პოულობს ინდივიდუალურ და ჯგუფურ ქცევაში.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ დღეისათვის რესპუბლიკის მასშტაბით დამნაშავეობის მიზეზების ტერიტორიული შესწავლა წარმოებს ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით. ეს სრულიად გამართლებულია დამნაშავეო-

ბის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგიერთი ლოკალური პრაქტიკული ამოცანის გადასაწყვეტად. მაგრამ ამასთანავე რესპუბლიკის მასშტაბით დამნაშავეობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების უფრო დრმა მეცნიერული ანალიზისათვის აუცილებელია ტერიტორიის ისეთი უფრო მსხვილი მონაკვეთების გამოყოფა, რომლებშიც ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ეთნიკური და კულტურული პროცესების ერთობლიობა მათ რთულ ურთიერთმოქმედებაში განსაზღვრავს მეტნაკლებად ერთგვაროვან იმ სოციალ-კულტურულ გარემოს, რომელიც განაპირობებს ადამიანთა სოციალური ქცევის თავისებურებებს.


რაც შეეხება დამნაშავეობის შესწავლას მარტოდენ რაიონის ფარგლებში. იგი არ იძლევა საშუალებას დრმად გავიზროთ დამნაშავეობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების მთელი კომპლექსი, რადგან ამა თუ იმ რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას, ძირითადად, საფუძვლად უდევს ადმინისტრაციული და ეკონომიკური მართვის ამოცანები³.

დამნაშავეობის რეგიონების განსაზღვრის დროს რესპუბლიკის ადმინისტრაციული რაიონები ამ რეგიონების შემადგენლობაში შევიდა ტერიტორიის შენარჩუნებით, როგორც უფრო დაბალი რანგის ტაქსონომიური ერთეული და როგორც სხვადასხვა სოციალ-ეკონომიკური მახასიათებელი სტატისტიკური ინფორმაციის წყარო. ცალკე რეგიონებს ქმნიან აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ისინი პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით ერთიანი ტერიტორიული წარმონაქმნებია და ამის გამო მათი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ჩვენ არ მივიჩნით მიზანშეწონილად.

გარდა ამისა, დამოუკიდებელ რეგიონებად გამოვყავით ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით რესპუბლიკისათვის მნიშვნელოვანი შვიდი ქალაქი: თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, რუსთავი, გორი და ფოთი. ეს ქალაქები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რესპუბლიკის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, აქვთ მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ეკონომიკური, სოციალ-კულტურული და დემოგრაფიული პოტენციალი.

როგორც ცნობილია, საქართველოს სს რესპუბლიკას მრავალფეროვანი ბუნებრივ-კლიმატური პირობები ახასიათებს, რაც განსაზღვრულ გავლენას ახდენს მისი სახალხო მეურნეობის სტრუქტურაზე და განვითარების მიმართულებაზე. საქართველოს სსრ მოსახლეობა მრავალფეროვნულია. მოსახლეობის ძირითადმა ნაწილმა, ქართველებმა ისტორიული განვითარების რთული და ხანგრძლივი გზა გაიარეს. საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ჩამოყალიბდა სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები, რომლებიც თავიდანვე წარმოადგენდნენ მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ პოლიტიკურ-ეკონომიურ წარმონაქმნებს. თითოეულ ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციაში დამკვიდრებულ სოციალ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ბაზაზე მოსახლეობა ეწეოდა სამეურნეო და კულტურულ საქმიანობას. ამ პროვინციებმა ხანგრძლივად იარაგებეს, რამაც მათ თავისებურებებს მყარი ხასიათი მიანიჭა. „ის ფაქტი, რომ ამ პროვინციებმა შეძლეს საუკუნეების მანძილზე არსე-

³ См. «Территориальная организация производственных сил в СССР», «Вопросы географии», № 75, М., 1968, стр. 14.



ბობა, ლაპარაკობს იმაზე, რომ მათ მოეპოვებოდათ გარკვეული ბუნებრივ-გეოგრაფიული, ეკონომიკური და პოლიტიკური წინამძღვრები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობას. სწორედ ამით უნდა აეხსნათ ამ პროვინციების სიცოცხლისუნარიანობა და გამძლეობა⁴.

დღეისათვის თანამედროვე საქართველოს ეკონომიკაში, მისი განვითარების ტემპებსა და განლაგებაში აღინიშნება მნიშვნელოვანი განსხვავებები, რაც აიხსნება, ერთი მხრივ, ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, მეორე მხრივ კი საწარმოო ძალების არასაკმარისი განვითარებით. იგივე ითქმის ხალხის კულტურული ცხოვრების შესახებაც. დისპროპორცია ეკონომიკის განვითარებაში თავის გავლენას ახდენს კულტურასა და ყოფაზე, განსაზღვრავს მათ ძირითად ნიშნებს. ამ გარემოებას ხაზი გაუსვა თავის მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. მან თქვა: „საჭიროა აგრეთვე დიფერენცირებულად მივუდგეთ რესპუბლიკის ყველა რეგიონს, რადგან, როგორც ანალიზი მოწმობს, დროთა განმავლობაში შეიძლება სულ უფრო საგრძნობი ნეგატიური სოციალური შედეგები მოჰყვეს ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში სერიოზულ დისპროპორციას, რაც უკანასკნელ წლებში... „კანონზომიერებად“ იქცა“⁵.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სოციალიზმის დროს შრომის გეოგრაფიული განაწილების საფუძველზე მიმდინარეობს საქართველოს ადრინდელი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების ეკონომიკური განვითარების დონის გათანაბრების პროცესი, რაც სამეურნეო საქმიანობაში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების ფართო დანერგვის შედეგია. კომუნისმის მშენებლობის თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური ზნეობის ფორმირებას, მის გადაქცევას მშრომელთა ცხოვრების ურყევ წესად. მაგრამ ეს პროცესი ხანგრძლივი და რთულია, რადგან მიმდინარეობს სოციალურ ურთიერთობათა ისეთ კონსერვატიულ სფეროში, როგორც გვევლინება ყოფა. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ სოციალისტურ ყოფას, მუდმივად ამადლებენ მშრომელთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონეს, მაგრამ, როგორც ცნობილია, მატერიალური კეთილდღეობის ამადლებას ყოველთვის როდი მივყავართ ავტომატურად მოსახლეობის ზნეობრივი და სამართლებრივი შეგნების პროპორციულ ზრდამდე.

სოციალისტურ საზოგადოებაში კი მატერიალური კეთილდღეობის ამადლებამ, თუ მას თან არ ერთვის იდეურ-აღმზრდელი მუშაობა, ყოფის სწორი ორგანიზაცია, შეიძლება ცალკეულ ადამიანებში გამოიწვიოს კერძომესაკუთრული ინსტიქტების, სიხარბის, ლოთობის და სხვა უარყოფითი გამოვლინებების გაძლიერება. სწორედ ყოფის სფეროში მოქმედებენ ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები, რომლებიც ძლიერ ზემოქმედებას ახდენენ ადამიანთა ზნეობის ჩამოყალიბებაზე. „წარმოადგენენ რა ყოფის ორგანულ ნაწილს,

⁴ იხ. საქართველოს სსრ ეკონომიკური გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ნაწილი II, თბილისი, 1973 წ., გვ. 8.

⁵ იხ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ან. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, საქართველოს კავშირის გამომცემლობა, თბილისი, 1976 წ., გვ. 118-119.

⁶ См. О. М. Гусейнов, Место и роль быта в формировании нравственного сознания людей, Вестник МГУ, серия VIII, № 1, 1976 г., стр. 57.

ისინი შემოქმედებას ახდენენ ადამიანის ფსიქიკაზე, ემოციებზე, ხელს უწყობენ მისი მსოფლმხედველობის, ზნეობრივი და ესთეტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებას“⁷.

საქართველოს ტერიტორია უძველესი დროიდან დასახლებულია ქართველი ხალხის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებით — ქართლებით, კახელებით, მეგრელებით, გურულებით, სვანებით, ხეცურებით, რაჭველებით და სხვა. ქართველ ხალხთან ერთად საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს დასახლდნენ სომხები, რუსები, აზერბაიჯანელები, ოსები და ა. შ. საბჭოთა პერიოდში ნაწილობრივ წაიშალა ის ეთნიკური თავისებურებები, რომლებიც ახასიათებს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებ ქართველებს. ახალი სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობის ბაზაზე წარმოიშვა საბჭოთა ერი — ქართველი ხალხი.

ქართველებთან ერთად, რომლებიც საბჭოთა საქართველოს ეროვნულ უმრავლესობას შეადგენენ, საქართველოში ოთხმოცზე მეტი ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს. ყველა მათ ქართველი ერის ერთიანი ისტორიული ბედის ჩარჩოებში, მისი სახელმწიფოებრივი წყობილების ფარგლებში გაიარეს განვითარების თავისებური გზა, მაგრამ საქართველოს იმ ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების სოციალ-ყოფითმა თავისებურებებმა, ტრადიციებმა და ზნე-ჩვეულებებმა, სადაც ისინი სახლობენ, უცილობლად მოახდინა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მათ განვითარებაზე, ისევე როგორც მათ თავის მხრივ მოახდინეს გარკვეული ზეგავლენა აღნიშნული პროვინციების სოციალ-კულტურული ურთიერთობის განვითარებაზე. ყოველივე ამის შედეგად საბოლოო ანგარიშში ჩამოყალიბდა ყოფის, ენის და მატერიალური თუ სულიერი კულტურის სხვა ელემენტების ის თავისებურებები, რომლებიც ახასიათებს საქართველოს ადრინდელ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ყოფილ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებში ბევრი ტრადიცია და ზნე-ჩვეულება დღემდე შემონახული. ხშირად ისინი ნორმალური ან დამახინჯებული სახით დღესაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოებრივ და საყოფაცხოვრებო ურთიერთობაში. ამ ტრადიციების შემონახვას ხელს უწყობდა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ცხოვრების წესი, რომელიც თავის ასახვას პოვებდა ხალხის სამეურნეო, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ამ ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების ერთმა ნაწილმა დაკარგა თავისი პირვანდელი ფუნქცია და დღეისათვის დამახინჯებული სახით გვევლინება, ხელს უშლის პიროვნების ნორმალურ ზნეობრივ ვორმირებას. ზოგჯერ ისინი ნაადაგს ქმნიან სხვადასხვა ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებებისათვის და მათ შორის დამნაშავეობისათვისაც. აქედან გამომდინარეობს იმის აუცილებლობა, რომ დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა მიზეზების შესწავლის დროს გათვალისწინებულ იქნეს შემოადინებული ფაქტორები. ისინი, ჩვენი ღრმა რწმენით, დღემდე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სამართალდარღვევათა მდგომარეობაზე, დინამიკასა და სტრუქტურაზე, ამიტომ მათი გათვალისწინება აუცილებელია დამნაშავეობის ტერიტორიული ანალიზის დროს

ტერიტორიული ნიშნით დამნაშავეობის ანალიზისათვის აუცილებელია

7 იხ. იქვე, გვ. 57.

აგრეთვე მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურის შესწავლა. კრიმინოლოგიურ პლანში მათი განხილვის დროს საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ არც ასაკი და არც სქესი თავისთავად არ შეიძლება იყოს დანაშაულის თუ სხვა სამართალდარღვევის ჩადენის მიზეზი. როგორც ასაკი, ისევე სქესი გარკვეულ წანამძღვარს უქმნის ადამიანთა განსაზღვრულ ქცევას, ხოლო, რაც შეეხება თვით ქცევას, იგი დამოკიდებულია სოციალურ ფაქტორებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, ეს მახასიათებლები ჩვენთვის იმით არის საინტერესო, რომ ისინი გარკვეული თვალსაზრისით განსაზღვრავენ ადამიანის საზოგადოებრივ მდგომარეობას, მის ფსიქოლოგიას, სოციალიზაციის დონეს და ა. შ., რაც აუცილებელია გავითვალისწინებულ იქნეს დამნაშავეობის კვლევის დროს.

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზი საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ ტერიტორიის ამა თუ იმ მონაკვეთზე სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანთა ხვედრითი წონის შესახებ, გამოვიანგარიშოთ დამნაშავეობის კოეფიციენტი სხვადასხვა ასაკისათვის და ა. შ. იგივე შეიძლება ითქვას მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის შესახებაც. დისპროპორცია ტერიტორიის ამა თუ იმ მონაკვეთზე მცხოვრები მოსახლეობის სქესობრივ სტრუქტურაში ხშირად სერიოზულ სიძნელებებს ქმნის ზოგიერთი სოციალური პროცესის ნორმალური მიმდინარეობისათვის, რაც შეიძლება გახდეს ასოციალური ქცევის წანამძღვარს.

მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურა თავის მხრივ ყალიბდება სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით. მათ მიეკუთვნება, მაგალითად, შობადობისა და სიკვდილიანობის კოეფიციენტის შეფარდება, რაც თავის მხრივ, დამოკიდებულია მთელ რიგ სოციალ-ეკონომიკურ მოვლენებზე, როგორც არის სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა, მიგრაციული პროცესების ხასიათი და ინტენსიურობა და სხვა.

ამას გარდა დამნაშავეობის ტერიტორიული ანალიზის დროს გამოყოფილ უნდა იქნეს სოციალ-დემოგრაფიული პროცესების ისეთი მნიშვნელოვანი მახასიათებლები, როგორც არის მოსახლეობის კულტურისა და განათლების დონე. აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ სოციოლოგიასა და კრიმინოლოგიაში ჯერ კიდევ ხუსტად არ არის დადგენილი კულტურული დონის საკმარისად ობიექტური მაჩვენებელი, რაც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ობიექტური კრიტერიუმების გამოყენებით გავანალიზოთ ამ ფაქტორთა ზემოქმედება დამნაშავეობის დინამიკასა და სტრუქტურაზე. ამის გამო, თუ გავითვალისწინებთ, რომ კულტურის დონე გარკვეულად დამოკიდებულია განათლების დონეზე, უფრო ხუსტ მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ განათლების დონე, რომლის შეფასების უფრო სუსტი კრიტერიუმები არსებობს.

განათლების დონე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადამიანის ადგილს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში, მის სოციალურ სტატუსს. განათლების მაღალი დონე უცილობლად ქმნის განსაზღვრულ წანამძღვრებს პიროვნების ნორმალური ზნეობრივი ფორმირებისათვის, ხელს უწყობს შეგნების ამაღლებას, ზეგავლენას ახდენს ადამიანთა პირად ურთიერთობებზე, რაც თავის მხრივ ზემოქმედებს ინდივიდთა სოციალურ ქცევაზე.

დამნაშავეობის მდგომარეობაზე, სტრუქტურასა და დინამიკაზე დიდ გავლენას ახდენს აგრეთვე ურბანიზაციისა და მოსახლეობის მიგრაციის პროცეს-

სები. ურბანიზაცია არის არა მარტო ქალაქის მოსახლეობის აბსოლუტური და შეფარდებითი ზრდა; იგი არის აგრეთვე კანონზომიერი ისტორიული პროცესი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საწარმოო ძალების განვითარებასთან. ურბანიზაციას ყოველთვის თან სდევს არა მარტო ქალაქების, არამედ სოფლების ძირეული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნა, რასაც საფუძვლად უდევს ინდუსტრიის, ტრანსპორტის, საბინაო მშენებლობის, კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების სწრაფი განვითარება, ქალაქური ცხოვრების წესის, აგრეთვე ადამიანთა ქცევის შაბლონების ფართოდ გავრცელება ცენტრიდან დიდი მანძილით დაშორებულ დასახლებებში.

ურბანიზაციისა და მოსახლეობის მიგრაციის პროცესების ინტენსიურობის, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის რიცხვის თანაფარდობის, მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მატების და სხვა მაჩვენებლები მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვან ტერიტორიულ განსხვავებებს იძლევა, რამაც არ შეიძლება გარკვეული ზემოქმედება არ მოახდინოს დამნაშავეობის ტერიტორიულ გავრცელებაზე.

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის შედეგად გაიზარდა ურბანიზაციის პროცესის ტემპი, რაც შეიძლება აისახოს ინდუსტრიის ახალი დარგების შექმნით, განათლების, მეცნიერების, კულტურის სწრაფი განვითარებით და სხვ. სოფლიდან ქალაქში მოსახლეობის მიგრაციამ გამოიწვია ქალაქის მოსახლეობის რიცხვის სწრაფი ზრდა. 1972 წელს ქალაქების მთელი მოსახლეობა საქართველოში შეადგენდა 2.322 ათას, ანუ 48 პროცენტს⁸. დღეისათვის საქართველოში 52 ქალაქი და 56 ქალაქის ტიპის დასახლებაა. მათ შორის ხუთი ქალაქის თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავის მოსახლეობის რაოდენობა ასი ათასს აღემატება.

საწარმო-ეკონომიკური კავშირების გაფართოების შესაბამისად გაიზარდა შიდარესპუბლიკური მიგრაციის მნიშვნელობა. დღეისათვის შიდა მიგრაციებს ძირითადად აქვს შემდეგი მიმართულებები: სოფლებიდან ქალაქებში, ჭარბი მუშახელის გადაადგილება სოფლებიდან სოფლებში, მთიდან ბარში. დროებითი მიგრაციებიდან ფართო გავრცელება მიიღო ქანქარისებურმა მიგრაციებმა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საგარეუბნო ზონიდან ყოველდღიურად სამუშაოზე ქალაქში მიემგზავრება მცხოვრებთა ნაწილი, აგრეთვე სეზონურმა მიგრაციებმა, რაც სეზონურ სამუშაოებზე პირთა დროებით გამგზავრებასთან არის დაკავშირებული.

ყველა ეს პროცესი, რომელიც უცილობლად საგრძნობ ზეგავლენას ახდენს დამნაშავეობაზე, რესპუბლიკის ტერიტორიის სხვადასხვა მონაკვეთებში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება თავისი ხასიათითა და ინტენსიურობით, რაც, ჩვენი საფუძვლიანი ვარაუდით, აისახება სამართალდარღვევათა ხასიათში.

ნათქვამის საფუძველზე, ვითვალისწინებთ რა იმ მნიშვნელოვან განსხვავებებს, რომლებიც შეიმჩნევა რესპუბლიკის ტერიტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე ჩვენს მიერ განხილული სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და

⁸ См. Народное хозяйство Грузинской ССР к 50 летию СССР, Тбилиси, 1972, стр. 7.

სხვა პროცესების მიმდინარეობის ხასიათსა და ინტენსიურობაში, ვაყენებთ საკითხს ამ ნიშნით მის შემდეგ 19 რეგიონად დაყოფის შესახებ:

- I ქალაქი — 1 (თბილისი)
- II ქალაქი — 2 (ქუთაისი)
- III ქალაქი — 3 (სოხუმი)
- IV — ქალაქი — 4 (ბათუმი)
- V ქალაქი — 5 (რუსთავი)
- VI ქალაქი — 6 (გორი)
- VII ქალაქი — 7 (ფოთი)
- VIII დასავლეთი — 1 (აფხაზეთის ასსრ)
- IX დასავლეთი — 2 (სამეგრელო)
- X დასავლეთი — 3 (გურია)
- XI დასავლეთი — 4 (აჭარის ასსრ)
- XII ცენტრი — 1 (იმერეთი)
- XIII ცენტრი — 2 (შიდა ქართლი)
- XIV აღმოსავლეთი — 1 (კახეთი)
- XV სამხრეთი — 1 (სამხრეთ მთიანეთი)
- XVI სამხრეთი — 2 (ქვემო ქართლი)
- XVII ჩრდილოეთი — 1 (დასავლეთი მთიანეთი)
- XVIII ჩრდილოეთი — 2 (სამხრეთ ოსეთის აო)
- XIX ჩრდილოეთი — 3 (აღმოსავლეთ მთიანეთი)

მეტი თვალსაჩინოებისათვის მკითხველს ვთავაზობთ საქართველოს სსრ ტერიტორიის დამნაშავეობის რეგიონებად დაყოფის სქემატურ რუკას (იხ. სქემა № 1, რომელიც ამ სტატიას ერთვის ბოლოში).

საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ დამნაშავეობის სივრცობრივი ანალიზის მეთოდოლოგიური საკითხების გარკვევის ამ ეტაპზე, საქართველოს სსრ ტერიტორიის დამნაშავეობის რეგიონებად ამგვარი დაყოფა მხოლოდ შეცნიერული ჰიპოთეზის ხასიათს ატარებს და შემდგომ გადრმავებასა და დაზუსტებას საჭიროებს. განზრახულია იგი განხორციელდეს იმ დიდი მოცულობის სტატისტიკური ინფორმაციის შესწავლის გზით, რომელიც ახასიათებს დამნაშავეობის მდგომარეობას, დინამიკასა და სტრუქტურას ჩვენს მიერ გამოყოფილ თითოეულ რეგიონში. დამნაშავეობის რეგიონების საზღვრების დაზუსტების პროცესში, ჩვენი ვარაუდით, ზოგიერთმა ადმინისტრაციულმა რაიონმა შეიძლება ერთი რეგიონიდან მეორეში გადაინაცვლოს, მაგრამ დღეს ნაადრევია ამ შესაძლებელ ცვლილებათა შესახებ უფრო კონკრეტული ლაპარაკი.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, დამნაშავეობის გეოგრაფიის შესწავლას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, თუნდაც იმის გამო, რომ იგი საშუალებას მოგვცემს ტერიტორიული თვალსაზრისით დიფერენცირებულად მივუდგეთ დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის ღონისძიებების დაგეგმვას, რომ არაფერი ვთქვათ იმ ახალ პერსპექტივებზე, რომლებიც ისახება დამნაშავეობის პრობლემის თეორიული გააზრებისათვის განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში.

საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სისხლის ხელყოფა

(საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 209¹
მუხლის კომენტარი)

ა. უპრინციპული

მუხლი 209¹ მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას მათ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით —

ისევეა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე, გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ხოლო დამამძიმებელ გარემოებებში — სიცხდით.

1. საკომენტარო მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ორობიექტია: მისი ძირითადი ობიექტია მილიციის ორგანოების ან სახალხო რაზმეულეზის: ნორმალური მუშაობა საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად; დამატებითი ობიექტია — ადამიანის სიცოცხლე. მილიციის ორგანოების ან სახალხო რაზმეულების ნორმალური მუშაობა საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად მხოლოდ მაშინ იქნება განსახილველი დანაშაულის ძირითადი ობიექტი, თუ ხელყოფა მიმართული იყო სწორედ მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის მოსპობისაკენ. „ასეთი სახის მოქმედებანი, რომლებიც ჩადენილია ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების ან საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მიმართ, უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით“¹ ამასთან აუცილებელია, რომ მილიციის მუშაკი სხვა რამ ფუნქციის შესასრულებლად კი არ მოქმედებდეს, არამედ უშუალოდ საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად. მაგალითად, საპასპორტო მაგიდის თანამშრომლის სიცოცხლის ხელყოფა მის საქმიანობასთან დაკავშირებით, ან, თუნდაც, ხელყოფა სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების თანამშრომლის სიცოცხლისა, რაც დაკავშირებული იყო კრიმინალისტური ექსპერტიზის ჩატარებასთან, ვერ დაკვალიფიცირდება 209¹ მუხლით. ქმედობის ამ მუხლით კვალიფიკაციისათვის მით უფრო არასაკმარისია, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად მიმართულ საქმიანობას ახორციელებდეს მილიციის გადამდგარი თანამშრომელი. საპატიო მილიციელი და სხვ. მათი სიცოცხლის ხელყოფისას გამოიყენება 104-ე მუხლის მესამე პუნქტი.

2. მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა, მიუხედავად დანაშაულებრივი შედეგის დადგომისა, უნდა განიხილებოდეს როგორც დამთავრებული დანაშაული და დაკვალიფიცირდეს მხოლოდ 209¹ მუხლით; არ არის საჭირო დამატებითი კვალიფიკაცია 104-ე მუხლით ან მე-17 და 104-ე მუხლებით.² მაშასადამე, მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა 209¹ მუხლის მიხედვით გულისხმობს მათს მკვლელობას ან

¹ Сборник постановлений Пленума Верховного суда СССР, 1924 — 1973, М., 1974, стр. 530.

² იხ. Сборник постановлений Пленума Верховного суда СССР, 1924 — 1973, М., 1974, стр. 532.

გველდობის მცდელობას. ორივე შემთხვევაში კვალიფიკაცია ერთნაირი იქნება, მხოლოდ სასჯელი შეიძლება იყოს სხვადასხვა.

გამარჯვების პარკში სეირნობისას პ. მ. ხელში დანას ათამაშებდა. ამ დროს ჩამოიარა ბ. ს.-მ, რომელიც იყო ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ობიექტებისა და დაწესებულებათა დაცვის საუწყებო მილიციის ათეულის მეთაური. იგი მორიგეობდა გამარჯვების პარკის ტერიტორიაზე. როდესაც ბ. ს.-მ პ. მ.-ს ხელში დანა დაუნახა, მოუნდომა მისი ჩამორთმევა, მაგრამ პ. მ. არ დაემორჩილა. მან იმაზეც უარი განაცხადა, რომ მილიციის განყოფილებაში გაჰყოლოდა ბ. ს.-ს. როდესაც ბ. ს.-მ იძულებას მიმართა, პ. მ.-მ გულმკერდის არეში დანის ორჯერ დარტყმით იგი სიცოცხლეს გამოასალმა. ეს არის მილიციის მუშაკის სიცოცხლის ხელყოფის ისეთი შემთხვევა, როდესაც მკვლელობა ბოლომდე იქნა მიყვანილი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დანაშაული 209¹ მუხლით დააკვალიფიცირა.³

ზუსტად ასეთივე კვალიფიკაცია მისცა კოლეგიამ მილიციის მუშაკთა სიცოცხლის ხელყოფის სხვა შემთხვევას, რომელიც მცდელობის სტადიაზე იქნა აღკვეთილი.

1975 წლის 30 დეკემბერს ქ. გორში ერთმანეთს შეხვდნენ ამ ქალაქის მკვიდრნი ი. ა., ი. ქ., ვ. მ. და ყ. ბ. სახინკლესში არყის სმის დროს ისინი შეთანხმდნენ, შური ეძიათ თავიანთი სხვა ამხანაგების დაპატიმრებისათვის, რაც მილიციის მუშაკებმა მოახდინეს წინა დღეს. მათ გადაწყვიტეს შეიარაღებულიყვნენ, მისულიყვნენ მილიციის განყოფილებაში და სიცოცხლეს გამოესალმებინათ მილიციის პირველივე შემხვედრი თანამშრომელი. ხსენებულმა პირებმა საბუნებრივად აიფარეს ნიღბები, მოიმარჯვეს დანები და სამართებლები, შემდეგ კი გაეშურნენ მილიციის განყოფილების შესასვლელისაკენ. ამ მომენტში განყოფილებიდან გამოდიოდა საგამოძიებო ჯგუფის მუშაკი ნ. რ., რომელსაც დანა მოუჭნია ა. ა.-მ, ნ. რ.-მ შეძლო მომაკვდინებელი დარტყმის შენელება, მაგრამ მაინც მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად.

ნ. რ.-ს დაჭრის შემდეგ ოთხივე ბოროტმოქმედი მილიციის განყოფილების შენობაში შეიჭრა. ამ დროს მათ შესაპყრობად ოთახიდან გამოცვივდნენ მილიციის მუშაკები — ექსპერტ-კრიმინალისტი ს. კ., უბნის ინსპექტორი შ. ხ., საგამოძიებო ჯგუფის უფროსი კ. გ. და მძღოლი კ. ი. ბოროტმოქმედნი შენობიდან გამოვიდნენ, მაგრამ იქვე გამოსასვლელთან ჩასაფრდნენ. როდესაც მილიციის მუშაკები მათ შეპყრობას შეეცადნენ, ი. ა.-მ ჯერ შ. ხ.-ს მოუჭნია დანა, ხოლო, როცა გვერდზე გაუსხლტა, ახლა ს. კ.-ს დაესხა თავს დანით. ს. კ.-მ შეძლო დარტყმის აცილება, თუმცა დანამ პიჯაკი გაუსერა მკერდის მარჯვენა მხარეზე. ამის შემდეგ ი. ა.-მ დანა ესროლა ს. კ.-ს, მაგრამ დააცილა. მალე ი. ა. განაიარაღეს და შეიპყრეს; სხვა ბოროტმოქმედნიც დააკავეს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ოთხივე დამნაშავეს მსჯავრი დასდო მილიციის მუშაკთა სიცოცხლის ხელყოფისათვის და მათი ქმედობა 209¹ მუხლით დააკვალიფიცირა (სხვა მუხლებთან

³ იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1973 წლის 30 მარტის განაჩენი პ. მ.-ს საქმეზე (№ 81).



ერთობლიობაში) მე-17 მუხლზე მითითების გარეშე⁴, რაც სავსებით მართებულად უნდა ჩაითვალოს.

მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა შეიძლება გამოიხატოს როგორც დამთავრებული, ისე დაუმთავრებელი მცდელობით (ზემოთ განხილულ სისხლის სამართლის საქმეში ი. ა.-სა და სხვათა ბრალდების გამო ი. ა.-ს ქმედობა დამთავრებულ მცდელობას წარმოადგენს, დანაშაულის საში ბოროტმოქმედისა კი — დაუმთავრებელს). იმის დადგენას, დამთავრებული იყო მცდელობა თუ დაუმთავრებელი, პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან ამანება დამოკიდებული, თუ როგორ გადაწყდება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი (იხ. მე-18 მუხლის კომენტარი).⁵ მცდელობის იდენიშნულ ნაირსახეობათა განსხვავება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს. ჩვეულებრივ, დაუმთავრებელი მცდელობა უფრო ლმობიერ სასჯელს იმსახურებს.

3. 209¹ მუხლის მიხედვით „ხელყოფის“ ცნება არ მოიცავს დანაშაულის მომზადების შემთხვევებს და ამიტომ მათი კვალიფიკაცია უნდა მოხდეს მე-17 და 209¹ მუხლებით.

4. დანაშაულის ჩადენის ხერხს (საშუალებას) მნიშვნელობა არა აქვს 209¹ მუხლით პასუხისმგებლობისათვის. საკმარისია, თუ ხელყოფისათვის გამოყენებული იყო ნებისმიერი ხერხი (საშუალება), რომლითაც საზოგადოდ შესაძლებელია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

5. 209¹ მუხლით მოქალაქე პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაპოვ მოქმედება მიმართული იყო საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის კანონიერი საქმიანობის საწინააღმდეგოდ. თუ მისი მოქმედება მიმართული იყო მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის არამართლზომიერი საქმიანობის წინააღმდეგ, შესაძლოა ქმედობა განხილულ იქნეს როგორც აუცილებელი მოგერიება (იხ. მე-15 მუხლის კომენტარი) ან სხვა რამ მართლზომიერი აქტი, ან კიდევ 107-ე მუხლით დაკვალიფიცირდეს. „ამიტომ ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს საჭიროა ყველა შემთხვევაში დადგინდეს, მოქმედებდა თუ არა მილიციის მუშაკი ან სახალხო რაზმელი თავისი რწმუნების შესაბამისად და კანონით დადგენილი წესის დაცვით, აგრეთვე გამოირკვეს, რით გამოიხატა კონკრეტულად დამნაშავის მოქმედება“.⁷

6. 209¹ მუხლით მოქალაქე პასუხს აგებს ყველა შემთხვევაში, როდესაც მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა დაკავშირებული იყო მათს საქმიანობასთან საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად. მნიშვნელობა არა აქვს, ეს საქმიანობა ხორციელდებოდა მათი სიცოცხლის ხელყოფის მომენტში, ხელყოფამდე, თუ მომავალში უნდა (ან შესაძლოა) განხორციელებულ

⁴ იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1976 წლის 12 მაისის განაჩენი ი. ა.-ის და სხვათა საქმეზე (№ 80—76).

⁵ იხ. „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (ნაწილი პირველი)“, თბილისი, 1976, გვ. 117—118.

⁶ „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (ნაწილი პირველი)“, თბილისი, 1976, გვ. 127—128.

⁷ იხ. Сборник постановлений Пленума Верховного суда СССР, 1924 — 1973, М., 1974, стр. 529.

ლიყო.⁸ ამით 2091 მუხლის დისპოზიცია არსებითად განსხვავდება 2071 მუხლის დისპოზიციისაგან, რომლის თანახმად, მილიციის მუშაკისათვის ან სახალხო რაზმელისათვის წინააღმდეგობის გაწევა გულისხმობს მოქმედებას უშუალოდ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობათა შესრულებისას.

7. კვალიფიკაციისათვის არც იმასა აქვს მნიშვნელობა, თუ ვის შეეხებოდა მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის საქმიანობა, გამიზნული საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, — უშუალოდ დამნაშავეს, მის ახლობლებს თუ გარეშე პირებს. ყველა შემთხვევაში სიცოცხლის ხელყოფა 2091 მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს.

8. ამავე დროს მხედველობაში მისაღებია, ხომ არ იყო დაკავშირებული მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა მათი მხრივ სხვა სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მისიის შესრულებასთან. მაგალითად, მილიციის მუშაკი დებუტატია, რომელიც უარს ამბობს უშამდგომლობა აღძრას მოქალაქის რომელიმე უსაფუძვლო თხოვნის გამო. მილიციის მუშაკისათვის ამ ნიადაგზე სიცოცხლის ხელყოფა დაკვალიფიცირდება 104-ე მუხლის მე-3 პუნქტით. თუ მილიციის მუშაკის, როგორც დებუტატის, მკვლელობასთან ახლდა საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზანი, მაშინ ქმედობა განიხილება როგორც ტერორისტული აქტი და იგი 67-ე მუხლით დაკვალიფიცირდება.

9. პრაქტიკაში ხშირად ხდება, რომ მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფას წინ უსწრებს ან თან ახლავს ისეთი სახის ქმედობანი, როგორიც არის მათთვის წინააღმდეგობის გაწევა ან შეურაცხყოფა. ასეთ შემთხვევებში საჭირო აღარ არის ქმედობის დამატებითი კვალიფიკაცია 2071 და 2081 მუხლებით, რადგან ყველა ეს მოქმედება განიხილება როგორც 2091 მუხლით გათვალისწინებული ერთიანი დანაშაულის ელემენტები. „მსგავსი ქმედობანი უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც რამდენიმე დანაშაულის ერთობლიობა მაშინ, როდესაც ისინი ჩადენილი იყო სხვადასხვა დროს და არ

⁸ მხედველობაში მისაღებია, რომ 2091 მუხლის ქართული ტექსტი, მისი უხეირო თარგმანის გამო, არ შეესატყვისება რუსულ ტექსტს, რომელიც უცვლელი სახითაა გადმოღებული სსრკავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წ. 15 თებერვლის ბრძანებულებიდან „მილიციის მუშაკთა და სახალხო რაზმელთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების ხელყოფისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ (იხ. «Ведомости Верховного Совета СССР», 1962, № 8.) საქავშირო ბრძანებულებით განსახილველი დანაშაული აღწერილია როგორც «посагательство на жизнь работника милиции или народного дружинника в связи с их служебной или общественной деятельностью по охране общественного порядка». ქართულ თარგმანში უნდა ყოფილიყო — „მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა მათ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად“. ამის ნაცვლად წერია — „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას“, რაც მეტისმეტად ავიწროებს საქავშირო კანონმდებლობის აზრს; გამოდის, რომ სიცოცხლის ხელყოფა, რომელიც უშუალოდ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მომენტში არ მოხდა, ვერ დაკვალიფიცირდება 2091 მუხლით. ამ მუხლის ქართული ტექსტის შენიშნული ნაკლის გამო აღვიღებელია, რომ იუსტიციის ორგანოებმა იხელმძღვანელონ სათანადო ნორმით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 25 თებერვლის ბრძანებულებით.

იყო მოცული ერთიანი განზრახვით.⁹ ამავე წესით უნდა მოხდეს დანაშაულთა კვალიფიკაცია, როდესაც აღნიშნული ქმედობანი, თუმცა მილიციელის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფის დროს განხორციელდა, მაგრამ მიმართული იყო სხვა მილიციელის ან სახალხო რაზმელის საწინააღმდეგოდ მათი საქმიანობისას საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად. იმისდა მიხედვით, თუ ვინ ახორციელებდა, გარდა მილიციელისა ან სახალხო რაზმელისა, მოქმედებას, ძიძართულს საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავდ, კვალიფიკაცია შესაძლოა საჭირო გახდეს სხვა დამატებითი მუხლებითაც. მაგალითად, თუ მილიციელს, ან სახალხო რაზმელს, რომელთა მიმართ განხორციელდა სიცოცხლის ხელყოფის აქტი, საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად მიუშველება საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ხელისუფლების წარმომადგენელი, თანამდებობის პირი ან საზოგადოებრიობის წარმომადგენელი და დამნაშავე შეურაცხყოფს ან წინააღმდეგობას გაუწევს მათ, მაშინ 209¹ მუხლთან ერთობლიობით გამოიყენება 207, 208 ან 209 მუხლები.

10. დანაშაულთა ერთობლიობის წესით კვალიფიკაცია მაშინაც საჭიროა, როდესაც მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფასთან ხულიგნური ქმედობაა დაკავშირებული. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 11 სექტემბრის დადგენილებით მსგავსი შემთხვევები განიხილება როგორც ბოროტი ხულიგნობისა (228-ე მუხლის მეორე ნაწილი) და 209¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ერთობლიობა.¹⁰ ასეთი კვალიფიკაცია უშუალოდ გამომდინარეობს აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 16 ოქტომბრის № 9 დადგენილებიდან ხულიგნობის აღმკვეთი პირისადმი წინააღმდეგობის გაწევას ხულიგნობის შემადგენლობა არ მოიცავს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც დამნაშავეს მიერ გამოყენებული ძალადობით სხვა, კიდევ უფრო მძიმე დანაშაულია ჩადენილი.¹¹

11. სხვანაირად გადაწყდება საკითხი, თუ მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა ბანდიტური ქმედობის პროცესში მოხდა. ყოველგვარი თავდასხმა ან ძალადობა, მათ შორის ისეთი, რომელიც სიცოცხლეს ხელყოფს, წარმოადგენს ბანდიტიზმის შემადგენელ ელემენტს. ამიტომ, დანაშაულველ შემთხვევაში 209¹ მუხლის გამოყენება საჭირო აღარ არის და საკმარისია ქმედობა დაკვალიფიცირდეს 78-ე მუხლით. ასეთია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის პოზიცია.¹² მხოლოდ რეალური ერთობლიობის შემთხვევაში, როდესაც ბანდიტური მოქმედება და მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა სხვადასხვა დროს მოხდა, ან ერთსა და იმავე დროს, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მოქმედებებით იყო განხორციელებული, დამნაშავე ერთდროულად პასუხს აგებს 78-ე და 209¹ მუხლებით.

12. 209¹ მუხლით პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ პირს,

⁹ Сборник постановлений Пленума Верховного суда СССР, 1924 — 1973, М., 1974, стр. 531.

¹⁰ იხ. «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1962, № 10, стр. 7.

¹¹ Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР, 1924 — 1973, М., 1974, стр. 540.

¹² იხ. «Бюллетень Верховного суда СССР», 1963, № 4, стр. 25.



ვინც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის 16 წლისაა. 14-დან 16 წლის ასაკამდე არასრულწლოვანთა ქმედობა, რომლებმაც მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლე ხელყვეს, დაკვალიფიცირდება 104-ე მუხლის მესამე პუნქტით.

13. 2091 მუხლით ქმედობის კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარმოადგენდეს ერთ-ერთ აუცილებელ პირობას მათი სიცოცხლის ხელყოფისათვის. სხვანაირად, მათი საქმიანობა უნდა იყოს ის ფაქტორი, რომლის გარეშე დამნაშავე მათს სიცოცხლეს არ ხელყოფდა. სწორედ ის გარემოება, რომ მილიციის მუშაკმა ან სახალხო რაზმელმა ოდესმე ხელი შეუშალა რაიმე ანტისაზოგადოებრივ ქცევას, ან ამეამად წარმოადგენს საამისო დაბრკოლებას, ან კიდევ შესაძლოა მომავალში აღკვეთოს თუ ამხილოს იგი, უნდა წარმოადგენდეს დამნაშავეს ქცევის მოტივს მათი სიცოცხლის ხელყოფისათვის. სხვა პირადი მოტივი ვერ გამოდგება 2091 მუხლით კვალიფიკაციისათვის. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი განმარტავს, რომ „დანაშაული, რომელიც ჩადენილია მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის მიმართ პირადი ურთიერთობის ან კონფლიქტების საფუძველზე, უნდა განიხილებოდეს როგორც დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ და დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით.¹³ ამის შესაბამისად, 2091 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის პასუხი არ უნდა აგოს მოქალაქემ, როდემაც საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკი ან სახალხო რაზმელი მოკლა მეზობლური კონფლიქტის ან სხვა რამ პირადი განაწყენების საფუძველზე. უკეთეს ხელყოფა განხორციელდა ერთდროულად ორი ან რამდენიმე მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის საწინააღმდეგოდ, რომელთაგან ნაწილს მიმართ დამნაშავეს პირადი მოტივები ამოძრავებდა, ხოლო სხვათა ხელყოფა დაკავშირებული იყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან, მაშინ მისი მოქმედებანი ერთობლიობით უნდა დაკვალიფიცირდეს 2091 მუხლით და პიროვნების საწინააღმდეგო დანაშაულისათვის განკუთვნილი სპეციალური მუხლებით.

14. ბრალის ფორმა მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისას განზრახვით. დამთავრებული მკვლელობისას ბრალი შეიძლება გამოიხატოს როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვით, მაშასადავე აუცილებელია დადგინდეს, რომ დამნაშავეს შეგნებული ჰქონდა თავისი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება, ითვალისწინებდა მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიკვდილს, სურდა იგი ან შეგნებულად უშვებდა სწორედ ასეთ შედეგს. ამასთან დამნაშავეს ისიც გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მილიციის მუშაკი ან სახალხო რაზმელი საზოგადოებრივ წესრიგს იცავს.¹⁴

მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით არის შესაძლებელი (იხ. მე-17 მუხლის კომენტარი).

2091 მუხლი ვერ გამოიყენება, თუ დამნაშავეს არ ჰქონდა განზრახული მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის მოსპობა. სსრ კავშირის

¹³ Сборник постановлений Пленума Верховного суда СССР, 1924 — 1973, М., 1974, стр. 531.

¹⁴ Сборник постановлений Пленума Верховного суда СССР, 1924—1973, М., 1974, стр. 529.

უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა საგანგებოდ მიუთითა: „მოკვლის მუქარა გაუფრთხილებლობით მკვლელობა, აგრეთვე სხეულის დაზიანების მიყენება სიცოცხლის მოსპობის განუზრახველად, რომელთა გამო დაწესებულია პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით, უნდა დაკვალიფიცირდეს არა როგორც მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის წელყოფა, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულისათვის.¹⁵ განვიხილოთ სასამართლო პრაქტიკის მაგალითები.

მთვრალმა მ. მ.-მ ქუჩაში ჩხუბი აუტეხა მ. კ.-ს და მ. რ.-ს. მილიციის თანამშრომლები რომ შენიშნა, მ. გაიქცა და ავტობუსში ჩაჯდა. მილიციის თანამშრომლებმა ვ.-მ, ბ.-მ და გ.-მ ავტობუსი გააჩერეს და წინადადება მისცეს მ.-ს ჩანოსულიყო. მ. მ.-მ უარი განაცხადა და წინააღმდეგობა გაუწია ვ.-სა და ბ.-ს, რომლებიც ფიზიკური ძალის გამოყენებით შეეცადნენ მის დამორჩილებას. მ.-მ გაკავებული ხელი გამოგლიჯა ვ.-ს და იდაყვი უთავაზ მას მკერდის არეში. კ. გარდაიცვალა შოკისაგან, რომელიც გამოიწვია დარტყმამ მზის წნულში.

განაჩენით მ.-ს მსჯავრი დაედო მილიციის მუშაკის სიცოცხლის ხელყოფისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1968 წლის 5 იანვრის განჩინებით შეცვალა განაჩენი პ.-ს მიმართ და მისი ქმედობა დააკვალიფიცირა სომხეთის სსრ სსკ-ის 103 მუხლითა და 2071 მუხლის მეორე ნაწილით (საქართველოს სსრ სსკ-ის 108-ე მუხლი და 2071 მუხლის მეორე ნაწილი). განჩინებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ მ.-ს არ ჰქონდა ვ.-ს მკვლელობის განზრახვა. მისი მოქმედება მიმართული იყო მილიციის მუშაკისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, რათა იგი არ შეეპყრათ. არც იმ ფაქტს მოიციავდა მ.-ს განზრახვა, რომ იდაყვით დარტყმა მიანიცდამინც მზის წნულში მიეყენებინა, ამასთან, ძლიერად რომ ურტყამდა, მ.-ს თუმცა არ გაუთვალისწინებია, მაგრამ მოვალე იყო და შეეძლო გაეთვალისწინებინა ამ მძიმე შედეგის დადგომა.¹⁶

კ. აღმუშურნობის მძლოლს ა.-ს ჩამორთმეული ჰქონდა მართვის უფლება. მიუხედავად ამისა, იგი მესტიის რაიონის სოფელ ხაიშში გაემგზავრა კოლმეურნეობის სატვირთო მანქანით შეშის ჩამოსატანად. უკან დაბრუნებისას ენგურპესის საუწყებო მილიციის განყოფილები ავტონისპექტორმა დ.-მ ნიშანი მისცა ა.-ს გაეჩერებინა მანქანა. მაგრამ ა. არ დაემორჩილა ავტონისპექტორს, კიდევ უფრო გაზარდა სიჩქარე საათში 70-80 კმ-დე, რითაც დაარღვია გზებზე მოძრაობის წესების მე-12 მუხლის „გ“ პუნქტის მოთხოვნა. ავტონისპექტორი დ. გამოედევნა ა.-ს ავტომანქანას, წამოეწია და განმეორებით ანიშნა გაჩერებულიყო. მაშინ ა.-მ მანქანა ისე შეაჩერა, რომ ძრავა არ გამოურთავს. დ. მივიდა ავტომანქანასთან, რომელსაც ა. მართავდა; მარჯვენა ხელით ძარის მარცხენა წინ, კარს სწვდა, ხოლო მარცხენა ხელი კაბინის წინა კარის სახელურისაკენ. პ. ჰქონდა, როდესაც ა.-მ, გზებზე მოძრაობის წესების 85-ე მუხლის დარღვევით, უეცრად დაძრა ადგილიდან მანქანა. დ.-ს დაეჯახა ავტომანქანის ძარის მარცხენა კუთხე და ასფალტზე დააგდო. მას სახის არეში გაჰკრა ავტომანქანის უკან. მარცხენა საბურავმა და ადგილზევე მოკლა.

¹⁵ იქვე, გვ. 530.

¹⁶ იხ. Сборник Постановлений Пленума и определенных коллегии Верховного суда СССР по уголовным делам — 1959 — 1971 гг. под ред. проф. Г. Э. Аващикина, М., 1973, стр. 299—300.

საბრალდებო დასკვნით ა.-ს ქმედობა დაკვალიფიცირებული იყო საქართველოს სსრ სსკ-ის 2091 მუხლით და 241 მუხლის III ნაწილით. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საქმეთა სამართლო კოლეგიამ სცნო, რომ ა.-ს უნდა ზოგნას 2091 მუხლი, რადგან ვერ დადგინდა დ.-ის მოკვლის განზრახვა. ა.-ს ჭეშვარი მთლიანად შეესაბამება იმ დანაშაულს, რომელიც საქართველოს სსრ სსკ-ის 241 მუხლის III ნაწილით არის გათვალისწინებული... ა.-ს უეცრად არ უნდა დაეძრა მანქანა ადგილიდან, უნდა დარწმუნებულიყო მანქანის უსაფრთხო დაძვრის შესაძლებლობაში, რისი საშუალებაც მას ჰქონდა.¹⁷ კოლეგიამ განაჩენში დაასაბუთა, რომ ა.-მ მანქანა ადგილიდან დაძრა გაქცევის განზრახვით, რაც თავისთავად არ გულისხმობს დ.-ს მკვლელობის განზრახვას. ამიტომ მკვლელობის განზრახვის სპეციალური დამტკიცების გარეშე 2091 მუხლით მსჯავრის დადება დაუშვებელია.

15. იმის გამო, რომ 2091 მუხლის დისპოზიცია მცდელობასაც გულისხმობს, თავისებურად გადაწყდება შეცდომის დროს ქმედობის კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი. სახელდობ, მარტო 2091 მუხლით, მე-17 მუხლზე მითითების გარეშე უნდა დაკვალიფიცირდეს ისეთი შემთხვევები, როდესაც ხელყოფა ობიექტურად მიმართული იყო კერძო პირის ან სხვა მოქალაქის საწინააღმდეგოდ. მაგრამ ბოროტმოქმედს ეგონა, თითქოს მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლეს ხელყოფდა. უმეტესწილად ასეთი შეცდომა გამოწვეულია დანარალებულის ჩაცმულობით. მაგალითად, საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად გარკვეულ მოქმედებას ახორციელებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის წითელსამკლავურიანი კონტროლიორი, რომელიც დამნაშავეს სახალხო რაზმელი აგონია, ან კიდევ, რომელიმე უწყებრივ ფორმაში გამოწყობილი მოქალაქე (კავშირგაბმულობის თანამშრომელი, სამხედრო პირი), რომლის ჩაცმულობა დამნაშავეს მილიციის ფორმას აგონებს და სხვ.

მით უფრო ვერ მოახდენს ზეგავლენას დანაშაულის კვალიფიკაციაზე შეცდომა პიროვნებაში. უკეთეს დამნაშავეს ჰგონია, რომ იგი საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი რომელიმე მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლეს ხელყოფს, მაგრამ აღმოჩნდება, რომ მსხვერპლი სხვა მილიციელი ან სახალხო რაზმელია, ეს გარემოება ვერ დააბრკოლებს 2091 მუხლის გამოყენებას, რადგან კანონი ყოველ მათგანს თანაბრად იცავს ინდივიდუალურ თავისებურებათა მიუხედავად.

როდესაც ბოროტმოქმედი რეალურად მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლეს ხელყოფს, მაგრამ ამა თუ იმ გარემოების გამო შეცდომით დარწმუნებულია, რომ მისი მსხვერპლი კერძო პირია ან სხვა მოქალაქე, ქმედობა ვერ დაკვალიფიცირდება 2091 მუხლით და ბრალის ფორმისა და შინაარსის მიხედვით სხვა რომელიმე მუხლი უნდა იქნეს გამოყენებული (მაგალითად, 104, 105, 107 ან 108 მუხლი).

16. დამნაშავეს განზრახვა არა მარტო უნდა მოიცავდეს შემადგენლობის დაზარალებულ გარემოებებს, არამედ აუცილებელია, რომ იგი ვრცელდებოდეს ქმედობის მაკვალიფიცირებელ დამამძიმებელ გარემოებებზედაც. მაშასადამე, სუბიექტი უნდა ითვალისწინებდეს, რომ მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლეს იგი ხელყოფს ერთი ან რამდენიმე დამამძიმებელი გარე-

17 იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1975 წლის 26 აპრილის განაჩენი გ. ი. ა.-ს საქმეზე (№ 72—75).

მოების არსებობისას და სწორედ ამ გარემოებებში ესწრაფვოდეს ან შეგნებულად უშვებდეს მათი სიცოცხლის მოსაზრებას.

17. დამამძიმებელ გარემოებებზე 2091 მუხლის მიხედვით უნდა ჩაითვალოს შემთხვევები, რომლებიც გათვალისწინებულია 104-ე მუხლის ყველა პუნქტითა გარდა მესამე პუნქტისა. სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის 29-ე მუხლში ჩამოთვლილი გარემოებანი პრინციპულად ვერ განიხილება 2091 მუხლის დამამძიმებელ გარემოებებზე, რომელთა საფუძველზე სიკვდილით დასჯის გამოყენება იქნებოდა შესაძლებელი. მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის დამამძიმებელ გარემოებებში დადგენილია სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა. განზრახ მკვლელობისათვის სიკვდილით დასჯა დაიშვება მხოლოდ ისეთ დამამძიმებელ გარემოებებში, რომლებიც აღნიშნულია სსრ კავშირის სისხლის სამართლის კანონებისა და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებში, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას განზრახი მკვლელობისათვის. მართალია, 2091 მუხლში უშუალოდ არ არის ჩამოთვლილი ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებანი, მაგრამ იგი წარმოადგენს სპეციალურ ნორმას, რომელსაც ფარავს 104 მუხლის მესამე პუნქტით დადგენილი მისი შესაბამისი ზოგადი ნორმა. ზოგადი ნორმის დადგენილებანი კი შეიძლება გავრცელდეს სპეციალური ნორმის შეფარდების წესზე. ვინაიდან 104-ე მუხლის სხვა პუნქტებით გათვალისწინებულ გარემოებათა არსებობა ამძიმებს 29-ე პუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულს, ამიტომ დამამძიმებელ გარემოებათა მნიშვნელობა მათ შეიძლება მიენიჭოთ 2091 მუხლისთვისაც. მხოლოდ ამ პირობით იქნება დასაშვები 2091 მუხლის მიხედვით სიკვდილით დასჯის შეფარდება.

18. სასჯელის ღონისძიების განსაზღვრის დროს საჭიროა სასამართლოებმა განუხრებლად იხელმძღვანელონ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 3 ივლისის № 7 დადგენილების მითითებით, რომ „გარდა თვით ამ საშიში დანაშაულის ჩადენის ფაქტისა, გათვალისწინონ აგრეთვე საჩინის კონკრეტული გარემოებანი, დანაშაულის შედეგები, დაზარალებულისა და ბრალდებულის მოქმედების მოტივები, მონაცემები დამნაშავის პიროვნების შესახებ, აგრეთვე სხვა შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი“.¹⁵ ამასთან მხედველობაში მისაღებია 2091 მუხლის თავისებურება, რომელიც იმით გამოიხატება, რომ მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის დამამძიმებელ გარემოებებში გათვალისწინებულია აბსოლუტურად განსაზღვრული სანქცია სიკვდილით დასჯის სახით. ამ თავისებურების ძალით, სასჯელის ინდივიდუალიზაციას კვალიფიციური შემადგენლობის განხორციელებისას საფუძვლად შეიძლება დაედოს მხოლოდ ის განსაკუთრებული გარემოებანი, რომლებიც 45-ე მუხლით არის გათვალისწინებული. შეზღუდულია თვით 45-ე მუხლის გამოყენების ფარგლებიც, რადგან მასში ნაგულისხმევი განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, სასამართლოს შეუძლია დაწინააღმდეგოს შეუმციროს არა 2091 მუხლის კვალიფიციურ ნაწილში დადგენილი სასჯელის ზომა, არამედ მხოლოდ სასჯელის სახე; მაგალითად, სიკვდილით დასჯა შესცვალოს თავისუფლების აღკვეთით.

¹⁵ Сборник постановлений Пленума Верховного суда СССР, 1924 — 1973, М., 1974, стр. 528.



საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის

ქ ა ნ ო ნ ი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ

1. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო — სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო — სსრ კავშირის მთავრობა — სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა.

სსრ კავშირის კონსტიტუცია ლენინური იდეებისა და პრინციპების საფუძველზე განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს როლსა და ამოცანებს სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს ფუნქციითა განხორციელებაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სახელმწიფოს მმართველობის ყველა საკითხი, რომლებიც სსრ კავშირის გამგებლობაშია, რამდენადაც ეს საკითხები სსრ კავშირის კონსტიტუციის თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომპეტენციაში არ შედის.

თავის საქმიანობაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციითა და სსრ კავშირის კანონებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის კანონებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებათა საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს და ამოწმებს მათ შესრულებას. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულება სავალდებულოა სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე, ყველა ორგანოსათვის, ორ-

განიზაციისათვის, თანამდებობის პირის და მოქალაქისათვის.

მუხლი 2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებებისა და სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს მთავარი ამოცანების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო თავისი კომპეტენციის დარღვევაში ეწევა საქმიანობას შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

ახორციელებს ერთიან სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას სოციალიზმის ეკონომიკური კანონებისა და უპირატესობების ყოველი ღონისძიებით გამოყენების საფუძველზე.

უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის დინამიკურ, გეგმარბიერ და პროპორციულ განვითარებას, აჩქარებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ამაღლებს წარმოების ეფექტიანობასა და მუშაობის წარისსს საბჭოთა აღამიანების მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილების მიზნით;

აუმჯობესებს ხალხის კეთილდღეობასა და ამაღლებს კულტურას, იცავს მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, ქმნის ხელშემწყობ პირობებს პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის;

კიდევ უფრო განამტკიცებს ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების შეკავშირებას კომუნისმის ერთობლივი მშენებლობის მიზნით, უზრუნველყოფს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესების შეხამებას;

უზრუნველყოფს ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალურ გამოყენებასა და დაცვას ახლანდელ და მომავალ თაობათა ინტერესებისათვის;

სრულყოფს სახელმწიფო მართვას;



იცავს სახელმწიფოს ინტერესებს, იცავს და ამრავლებს სოციალისტურ საკუთრებას, კიდევ უფრო განამტკიცებს სოციალისტურ კანონიერებასა და სახელმწიფო დისციპლინას;

უზრუნველყოფს ქვეყნის უშიშროებასა და თავდაცვისუნარიანობას საბჭოთა ხალხის სოციალისტური მონაპოვრებისა და მშვიდობიანი შრომის დაცვის მიზნით;

ახორციელებს მშვიდობის ლენინურ პოლიტიკას, უზრუნველყოფს სსრ კავშირის კონსტიტუციით დამკვიდრებული საგარეო პოლიტიკის პრინციპების განუხრელ გატარებას;

მუხლი 3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს დემოკრატიული ცენტრალიზმის, სოციალისტური ფედერალიზმის, სოციალისტური კანონიერების საჯაროობისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების პრინციპებით:

უზრუნველყოფს, რომ ერთმანეთთან შესამებულ იყოს სახელმწიფო მმართველობის საკითხთა ცენტრალიზებული გადაწყვეტა და რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ინიციატივის განვითარება, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ საკითხების კოლექტიური განხილვა და გადაწყვეტა და მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და ჩუშობის მინდობილ უზნებზე საქმის ექსპონირებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წევრთა პერსონალური პასუხისმგებლობა;

ორგანიზაციას უწევს შესაბამისი საკითხების გადაწყვეტის დროს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეების წინადადებათა გამოვლენასა და გამოყენებას, აწვდის ცნობებს მოსახლეობას თავის მუშაობასა და მიღებულ ძირითად გადაწყვეტილებათა შესახებ;

უზრუნველყოფს სსრ კავშირის კონსტიტუციის, სსრ კავშირის კანონების და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებათა განუხრელ დაცვას.

საკითხთა განხილვაში, რომლებსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო წყვეტს, სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მონაწილეობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციათა საერთო-საკავშირო ორ-

განობები მათი საწესდებო ამოცანების შესაბამისად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მეცნიერების მიღწევებს იყენებს სახელმწიფო მმართველობის საკითხების გადაწყვეტის დროს.

მუხლი 4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შექმნის წესი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქმნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები და მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შეუძლია სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობაში შეიყვანოს სსრ კავშირის სხვა ორგანოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილებებს ახდენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემაჯალ ცალკეულ პირებს თანამდებობიდან ათავისუფლებს და ნიშნავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, რასაც შემდეგში დასამტკიცებლად წარუდგენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მის მორიგე სესიაზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო თავის უფლებამოსილებას იხსნის სსრ კავშირის ახლად არჩეულ უმაღლესი საბჭოს წინაშე მის პირველ სესიაზე.

მუხლი 5. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

ახლად შექმნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარადგენს განცხადებას თავისი მომავალი საქმიანობის შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო რეგულარულად აბარებს თავისი მუშაობის ანგარიშს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წევრი, რომელსაც შეკითხვით მიმართავს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს დეპუტატი, მოვალენი არიან ანა უგვიანეს სამი დღის ვალდისა სიტყვიერი ან წერილობითი პასუხი გასცენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოცემულ სესიაზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო განიხილავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიებისა და მისი პალატების კომისიების რეკომენდაციებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა წინადადებებს და დადგენილ ვადაში აცნობებს მათ განხილვის შედეგებს ან განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

II. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კომპეტენცია

მუხლი 6. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კომპეტენციის ზოგადი საკითხები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის კონსტიტუციით, ამ კანონითა და სსრ კავშირის სხვა კანონებით გათვალისწინებული თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში:

უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურული მშენებლობისა და სახელმწიფო მმართველობის სხვა სფეროების ხელმძღვანელობას; ახორციელებს საკავშირო დაქვემდებარების დარგების ხელმძღვანელობას და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების დარგების საერთო ხელმძღვანელობას;

ორგანიზაციას უწევს სამრეწველო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და გაერთიანებების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოების, ბანკების, სამეცნიერო დაწესებულებების, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების სხვა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მართვას; განსაზღვრავს სახელმწიფო საწარმოების, გაერთიანებების, სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს;

განსაზღვრავს სახელმწიფო მმართველ-

ბის ორგანოების ამოცანებსა და ფუნქციებს, მათი ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს; ახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სისტემის, მათი მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მის კომპეტენციაში შემავალი სახელმწიფო მმართველობის ცალკეული საკითხების გადაწყვეტა გადასცეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და სახელმწიფო კომიტეტებს, თავის სხვა საქვეუწყებო ორგანოებს.

მუხლი 7. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი ეკონომიკის განვითარების დარგში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო:

1) უზრუნველყოფს ეკონომიკის როგორც ერთიანი სახალხო სამეურნეო კომპლექსის განვითარებას ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების საფუძველზე, დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების შესაბამისად, საწარმოთა, გაერთიანებათა და სხვა ორგანიზაციათა სამეურნეო დამოუკიდებლობასთან და ინდივიდუალურ ცენტრალიზებული მართვის შესაძლების პირობებში;

2) ახორციელებს ღონისძიებებს საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ოპტიმალური ტემპის, ეროვნული შემოსავლის ზრდისა და მისი რაციონალური განაწილების უზრუნველსაყოფად; ორგანიზაციას უწევს საჭირო სახელმწიფო რეზერვების შექმნას;

3) შეიმუშავებს წინადადებებს სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ, ორგანიზაციას უწევს მისი ერთგვაროვანი დარგების ჯგუფების მართვას, კოორდინაციას უწევს სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებას, ახორციელებს ღონისძიებებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად;

4) უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი კომპლექსური საერთო-სახელმწიფოებრივი, დარგთაშორისი და ტერიტორიული პრობლემების გადაჭრას;

5) უზრუნველყოფს სამეურნეო ანგარიშის, მოგების, თვითღირებულებისა და სხვა ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების აქტიურ გამოყენებას; ახორციელებს ღონის-



ძიებებს სოციალისტური წარმოების შინაგანი რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისათვის, მომპირნეობის რეჟიმის გაძლიერებისათვის;

6) წყვეტს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მიწისა და წილისეულის, წყლის რესურსების, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს დაცვასა და მეცნიერულად დასაბუთებულ, რაციონალურ გამოყენებასთან, ჰაერისა და წყლის სისუფთავის დაცვასთან, ბუნებრივ სიმდიდრეთა განახლების უზრუნველყოფასა და ადამიანის გარემომცველი ბუნების გაუმჯობესებასთან.

მუხლი 8. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი სოციალური განვითარებისა და კულტურის დარგში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო:

1) შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს, რათა შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე ამალდეს შრომის ანაზღაურების დონე, მშრომელთა რეალური შემოსავალი, გაიზარდოს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები;

2) განსაზღვრავს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სისტემისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და სრულყოფის მიმართულებებს, ახორციელებს ღონისძიებებს მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვისა და გაკეთებისათვის, ხელს უწყობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას;

3) შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი პოლიტიკის გასატარებლად და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად აწესებს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით დახმარების გაცემის ძირითად პირობებსა და ოდენობას;

4) ახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის განვითარებისა და დაცვისათვის, კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ხელშეწყობისათვის;

5) განსაზღვრავს სახალხო განათლების ერთიანი სისტემის განვითარებისა და სრულყოფის მიმართულებებს; უზრუნველყოფს სულიერ ღირებულებათა დაცვას, გამრავლებასა და ფართო გამოყენებას საბჭოთა ადამიანების ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის, მათი კულტურული ღონის ამაღლებისათვის ხელს უწყობს პროფესიული

ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებას;

6) წარმართავს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო სისტემების საქმიანობას; ხელს უწყობს კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას მოსახლეობის მომსახურების ყველა სფეროში.

მუხლი 9. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი ეკონომიკური და სოციალური განვითარების დარგში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო:

1) შეიმუშავებს და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში შეაქვს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული სახელმწიფო გეგმები, ახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო გეგმების შესასრულებლად, წარუდგენს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს გეგმების შესრულების ანგარიშს.

2) ორგანიზაციას უწყევს მუშაობას, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა დაგეგმვის დარგში სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურმა ორგანომ, — სსრ კავშირის სამინისტროებმა და სახელმწიფო კომიტეტებმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხვა საქვეუწყებო ორგანოებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მოამზადონ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტები; უზრუნველყოფს გეგმების შეწონასწორებას და სტაბილურობას. მოკავშირე რესპუბლიკებსა და ქვეყნის ეკონომიკურ რაიონებში საწარმოო ძალების რაციონალურ განლაგებას, დაგეგმვის მეთოდების სრულყოფას;

3) ორგანიზაციას უწყევს ეკონომიკური, სოციალური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების კომპლექსური პროგრამების შეიმუშავებას და უზრუნველყოფს ამ პროგრამების შესრულებას;

4) ხელმძღვანელობს აღრიცხვისა და სტატისტიკის ერთიანი სისტემის ორგანიზაციას.

მუხლი 10. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი ფინანსების, კრედიტისა და ფასების დარგში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო:

1) შეიმუშავებს საბჭოთა სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკის რეალიზაციის ძირითად მიმართულებებს;

2) შეიმუშავენ და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში შეაქვს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი, იღებს მისი განხორციელების ღონისძიებებს, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;

3) ახორციელებს ფულადი და საკრედიტო სისტემის და სახელმწიფო დაზღვევის ორგანიზაციის განმტკიცების ღონისძიებებს;

4) ახორციელებს ხელმძღვანელობას სახელმწიფო მონოპოლიის საფუძველზე უცხოეთის სახელმწიფოებთან სსრ კავშირის სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობის დარგში;

5) უზრუნველყოფს ფასების ერთიანი პოლიტიკის გატარებას, განსაზღვრავს ფასების სისტემის სრულყოფის ძირითად მიმართულებებს.

მუხლი 11. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი შრომისა და ხელფასის დარგში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო:

1) შეიმუშავენ და ახორციელებს მოქალაქეთა შრომის უფლების უზრუნველყოფის, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების დარგში ერთიანი პოლიტიკის გატარების ღონისძიებებს;

2) შეიმუშავენ სახალხო მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების განუზრვლელ ზრდის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის თანამედროვე საშუალებების ფართოდ დანერგვის უზრუნველყოფის, შრომის პირობებისა და დაცვის, მისი მეცნიერული ორგანიზაციის გაუმჯობესების, შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებებს;

3) ახორციელებს ხელფასის სახელმწიფო რეგულირებას, შეიმუშავენ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას მისდ მასტიმულირებელი როლის გაძლიერების ღონისძიებებს; უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპისა და ხელფასის ზრდის ტემპის საჭირო თანაფარდობას, მატერიალური და მორალური სტიმულების შეხამებას;

4) საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად ახორციელებს სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისა და მისი ქმედითობის ამაღლების ღონისძიებებს;

5) საკავშირო პროფსაბჭოს მონაწილეობით წვეტს მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო დრო-

ისა და დასვენების დროის რეგულირების ცალკეულ საკითხებს;

6) საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით უზრუნველყოფს კადრების მომზადებისა და გამოყენების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაციას.

მუხლი 12. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო:

1) შეიმუშავენ და ახორციელებს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ერთიანი პოლიტიკის გატარების ღონისძიებებს, ორგანიზაციის უწყვეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პროგნოზების შემუშავებას;

2) იხილავს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებებს, განსაზღვრავს უმნიშვნელოვანესი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტის სამუშაოთა პროგრამებს;

3) შეიმუშავენს მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერული კვლევის შედეგების, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის ღონისძიებებს;

4) წარმართავს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობას.

მუხლი 13. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის დარგში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო:

1) ახორციელებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფისა და დაცვის ღონისძიებებს;

2) წარმართავს სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციების საქმიანობას;

3) უზრუნველყოფს, რომ სსრ კავშირის სამინისტროებმა და სახელმწიფო კომიტეტებმა, მისმა სხვა საკვეთწყებო ორგანოებმა დაიცვან კანონმდებლობა; განსაზღვრავს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში, საწარმოებში, გაერთიანებებში, სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სამართლებრივი მუშაობის ძირითად მიმართულებებს;

4) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის ღონისძიებებს.

მუხლი 14. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი ქვეყნის უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის დარგში



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო:

1) ახორციელებს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების, მისი სახელმწიფო საზღვრებისა და ტერიტორიის დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

2) საერთო ხელმძღვანელობას უწევს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მშენებლობას, განსაზღვრავს ნაშენი სამხედრო სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა ყოველწლიურ კონტინგენტებს;

3) ახორციელებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის ღონისძიებებს, რაც ნებისმიერ აგრესორის დაუყოვნებლივ მოგერიების გარანტიას იძლევა.

4) უზრუნველყოფს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების აღჭურვას ყოველივე იმით, რაც აუცილებელია, რომ მათ მოხადონ თავიანთი ვალი ხალხის წინაშე — საიმედოდ დაიცვან სოციალისტური სამშობლო;

5) საერთო ხელმძღვანელობას უწევს სსრ კავშირის სამოქალაქო თავდაცვას.

მუხლი 15. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი საგარეო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობის დარგში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო:

1) ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან სსრ კავშირის ურთიერთობის დარგში, სახელმწიფო მონოპოლიის საფუძველზე საგარეო ვაჭრობისა და სხვა სახეობათა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის დარგში, საზღვარგარეთის ქვეყნებთან სსრ კავშირის მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის დარგში; უზრუნველყოფს სსრ კავშირის საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების, საგარეო ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელებას;

2) ორგანიზაციას უწევს და წარმართავს საქმიანობას, რომელიც უკავშირდება სოციალისტურ ეკონომიკურ ინტეგრაციასა და შრომის საერთაშორისო სოციალისტურ დანაწილებაში სსრ კავშირის მონაწილეობას; ახორციელებს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სახელმწიფო გეგმებთან სსრ კავშირის სახელმწიფო გეგმების კოორდინაციის უზრუნველყოფის, წარმოების სპეციალიზაციისა და კოთბერირების

განხორციელების, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობის გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის ღონისძიებებს;

3) თავის უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს სსრ კავშირის წარმომადგენლობას უცხოეთის სახელმწიფოებში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებში;

4) ახორციელებს სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს; წყვეტს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს რეკომენდაციათა მიღების საკითხებს და უზრუნველყოფს მიღებულ რეკომენდაციათა განხორციელებას;

5) ამტკიცებს და გაუქმებულად აცხადებს სსრ კავშირის სამთავრობათშორისო საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

მუხლი 16. საკითხები, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომებზე წყდება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომებზე წყდება ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორცაა სახალხო მეურნეობის განვითარება, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფა, უცხოეთის სახელმწიფოებთან სსრ კავშირის ურთიერთობის განვითარება, იხილება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული სახელმწიფო გეგმების, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, სახელმწიფო გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების შედეგები, სსრ კავშირის კანონების პროექტები, აგრეთვე იხილება და წყდება სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სხვა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები.

მუხლი 17. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი. საკითხები, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებზე წყდება

სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფისათვის დაკავშირებული საკითხებისა და სახელმწიფო მმართველობის სხვა საკითხების ვალაწყვეტისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივი ორგანოს სახით მოქმედებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში შედიან სსრ კავშირის მინისტრთა საბ-

კოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილეები და მოადგილეები.

**III. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
ურთიერთობა სხვა სახელმწიფო
ორგანოებთან**

მუხლი 18. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ურთიერთობა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმართავს და კოორდინაციას უწყევს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების საქმიანობას სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განსახილველად შეაქვთ წინადადებანი საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საკითხებზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო უზრუნველყოფს საკურო ურთიერთმოქმედებას მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სსრ კავშირის სამინისტროებსა და სახელმწიფო კომიტეტებს, თავის სხვა საქვეუწყებო ორგანოებს შორის მათი კომპეტენციის განსახორციელებლად და ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, უმნიშვნელოვანესი კომპლექსური საერთო-სახელმწიფოებრივი, დარგთშორისი და რეგიონალური პროგრამების შესასრულებლად, წყვეტს ამ დროს წამოჭრილ საკითხებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს იმ საკითხებზე, რომლებიც სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება შეაჩეროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ყოველდღიური კავშირურთიერთობის უზრუნველყოფის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებობენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მუდმივი წარმომადგენლობანი.

მუხლი 19. ხელმძღვანელობა სსრ კავშირის სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტებისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხვა საქვეუწყებო ორგანოებისადმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აერთიანებს და წარმართავს საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების და სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების, თავისი სხვა საქვეუწყებო ორგანოებსა მუშაობას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებს შუაპერიოდში — მის პრეზიდიუმში შეაქვს წინადადებანი სსრ კავშირის სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების შექმნისა და გაუქმების შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ქმნის საკუროების შემთხვევაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან სამეურნეო, სოციალურ-კულტურული და თავდაცვითი მშენებლობის საქმეთა კომიტეტებს, მთავარ სამმართველოებსა და სხვა უწყებებს, აგრეთვე ახდენს ამ ორგანოების რეორგანიზაციასა და აუქმებს მათ.


სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ამტკიცებს დებულებებს სსრ კავშირის სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების შესახებ, დებულებებს (წესდებებს) თავისი სხვა საქვეუწყებო ორგანოების შესახებ, აგრეთვე ამტკიცებს მათი ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და ადგენს მასში ცვლილებების შეტანის წესს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ნიშნავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კომიტეტების, მთავარი სამმართველოებისა და სხვა უწყებების ხელმძღვანელებს, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეებს, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეთა მოადგილეებსა და თავისი სხვა საქვეუწყებო ორგანოების ხელმძღვანელთა მოადგილეებს, ამტკიცებს სსრ კავშირის სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, თავისი სხვა საქვეუწყებო ორგანოების კოლეგიათა წევრებს, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების წევრებს.

მუხლი 20. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კონტროლი თავისი საქვეუწყებო ორგანოების საქმიანობისადმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სისტემატურ კონტროლს უწყევს სსრ კავშირის სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, თავის სხვა საქვეუწყებო ორგანოების საქმიანობას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო იღებს ზომებს იმისათვის, რომ სსრ კავშირის სამინი-



სტროები და სახელმწიფო კომიტეტები, მისი სხვა საქვეუწყებო ორგანოები სრულად იყენებდნენ მინიჭებულ უფლებებს დაკისრებულ ამოცანათა შესრულებისა და თავიანთი ფუნქციების განხორციელებისათვის, მათ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების დამოუკიდებელი გადაწყვეტისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს სსრ კავშირის სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, თავისა სხვა საქვეუწყებო ორგანოების აქტები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეუძლია სსრ კავშირის მინისტრებს, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებს, თავის სხვა საქვეუწყებო ორგანოების ხელმძღვანელებს, აგრეთვე მათ მოადგილეებს დაადოს დისციპლინური სასჯელი.

თავის საკონტროლო საქმიანობაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ეყრდნობა სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტს, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ქმნის, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტი მუშაობას წარმართავს სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სფეროსა და სახელმწიფო მმართველობის სხვა სფეროებში კონტროლის განსახორციელებლად, იხილავს მის მიერ შემოწმების შედეგების საფუძველზე შეტანილ საკითხებსა და წინადადებებს.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე შედის სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობაში.

მუხლი 21. სსრ კავშირის სამინისტროები

სსრ კავშირის სამინისტროები სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანოებია. სსრ კავშირის სამინისტროები ხელმძღვანელობენ მათთვის მინდობილ მმართველობის დარგებს და პასუხს აგებენ ამ დარგების მდგომარეობისა და განვითარებისათვის, სახელმწიფო ვეგმების შესრულებისა და შესაბამისი დარგების წინაშე დასახული სხვა ამოცანების გადაწყვეტისათვის. სსრ კავშირის საერთო-საკავშირო სამინისტროები ხელმძღვანელობენ მათთვის მინდობილ მმართველობის დარგებს სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე უშუალოდ ან მათ მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით.

სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები ხელმძღვანელობენ მათთვის მინდობილ მმართველობის დარგებს, როგორც წესი, მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი სამინისტროების, სხვა ორგანოების

მეშვეობით და მართავენ უშუალოდ საკავშირო დაქვემდებარების ცალკეულ ორგანოებსა და გაერთიანებებს, დარგის სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეუძლია სსრ კავშირის სამინისტროებს დააკისროს დარგთშორისი მმართველობის ცალკეული ფუნქციების განხორციელება.

სსრ კავშირის სამინისტროები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ აქტებს სსრ კავშირის კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პერზიდუმიის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად, ორგანიზაციას უწევენ და ამოწმებენ მათ შესრულებას.

სსრ კავშირის სამინისტროებს მეთაურობენ მინისტრები, რომლებსაც ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა შესაბამისი სამინისტროების მიერ დაკისრებული ამოცანების შესრულებისა და მათ მიერ თავიანთი ფუნქციების განხორციელებისათვის.

მუხლი 22. სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტები


სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტები სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანოებია. სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტები ახორციელებენ დარგთშორის მართვას და პასუხს აგებენ მათთვის მინდობილი მმართველობის სფეროს მდგომარეობისა და განვითარებისათვის.

სსრ კავშირის საერთო-საკავშირო სახელმწიფო კომიტეტები ახორციელებენ დარგთშორის მართვას სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე უშუალოდ ან მათ მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით.

სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტები ახორციელებენ დარგთშორის მართვას, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში — დარგობრივ მართვას, როგორც წესი, მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი სახელმწიფო კომიტეტების, სხვა ორგანოების მეშვეობით და უშუალოდ მართავენ საკავშირო დაქვემდებარების ცალკეულ საწარმოებსა და გაერთიანებებს, სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეუძლია დააკისროს სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტებს მმართველობის დარგების ხელმძღვანელობის ცალკეულ ფუნქციათა განხორციელება.

სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტები აა-



ვიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ აქტებს სსრ კავშირის კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მისი დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად, ორგანიზაციის უწყვეტ და ამოწმებენ მათ შესრულებას.

სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტებს მეთაურობენ სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, რომლებსაც პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ შესაბამისი სახელმწიფო კომიტეტების მიერ დაკისრებული ამოცანების შესრულებისა და მათ მიერ თავიანთი ფუნქციების განხორციელებისათვის.

IV. სსრ კავშირის სამინისტროები და სახელმწიფო კომიტეტების ნუსხა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხვა საკვანძო ორგანოები

მუხლი 28. სსრ კავშირის საერთო-საკავშირო სამინისტროები

სსრ კავშირის საერთო საკავშირო სამინისტროებს განეკუთვნება:

- საავიაციო მრეწველობის სამინისტრო,
- სავაჭრო-საგარეო მრეწველობის სამინისტრო,
- სავაჭრო ვაჭრობის სამინისტრო,
- გაზის მრეწველობის სამინისტრო,
- სამოქალაქო ავიაციის სამინისტრო,
- მანქანათმშენებლობის სამინისტრო,

მეტალურგიისა და საკვებჭარმოების მანქანათმშენებლობის სამინისტრო,

მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მანქანათმშენებლობის სამინისტრო,

- სამედიცინო მრეწველობის სამინისტრო,
- საზღვაო ფლოტის სამინისტრო,
- ნავთობის მრეწველობის სამინისტრო,
- თავდაცვითი მრეწველობის სამინისტრო,
- თავდაცვის სამინისტრო,

საერთო მანქანათმშენებლობის სამინისტრო, ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის, საშუალებათა და მარჯვის სისტემის სამინისტრო,

კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტრო,

- გზათა სამინისტრო,
- რადიომრეწველობის სამინისტრო,
- საშუალო მანქანათმშენებლობის სამინისტრო,

ჩარხსაშენებელი საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტრო,

სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტრო,

ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო,

გემთსაშენებელი მრეწველობის სამინისტრო,

სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო,

სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრო, მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო,

ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტრო,

ქიმიური მრეწველობის სამინისტრო, ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო,

ელექტრონული მრეწველობის სამინისტრო,

ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო,

ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის სამინისტრო.

მუხლი 24. სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები

სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებს განეკუთვნება: შინაგან საქმეთა სამინისტრო,

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო,

გეოლოგიის სამინისტრო,

დამზადების სამინისტრო,

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო,

საგარეო საქმეთა სამინისტრო,

კულტურის სამინისტრო,

მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო,

ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო,

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო,

სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტრო,


ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო,

ნავთობგადამმუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტრო

კვების მრეწველობის სამინისტრო,

სამრეწველო მშენებლობის სამინისტრო,

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო,



განათლების სამინისტრო,
 თეზის მეურნეობის სამინისტრო,
 კავშირგაბმულობის სამინისტრო,
 სასოფლო მშენებლობის სამინისტრო,
 სოფლის მეურნეობის სამინისტრო,
 მშენებლობის სამინისტრო,
 მიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო,
 ვაჭრობის სამინისტრო,
 ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო,
 ფინანსთა სამინისტრო,
 ფერადი მეტალურგიის სამინისტრო,
 შავი მეტალურგიის სამინისტრო,
 ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტრო,
 იუსტიციის სამინისტრო,

მუხლი 25. სსრ კავშირის საერთო-საკავშირო სახელმწიფო კომიტეტები

სსრ კავშირის საერთო-საკავშირო სახელმწიფო კომიტეტებს განეკუთვნება:
 სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი,
 სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი,
 სსრ კავშირის სტანდარტთა სახელმწიფო კომიტეტი,
 სსრ კავშირის სავარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტი,
 სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გაზგამო ბუნების კონტროლის სახელმწიფო კომიტეტი,
 სსრ კავშირის მატერიალური რეზერვების საქმეზე სახელმწიფო კომიტეტი.

მუხლი 26. სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტები

სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტებს განეკუთვნება:
 სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი,
 სსრ კავშირის მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი,
 სსრ კავშირის მატერიალურ-ტექნიკური მონარაგების სახელმწიფო კომიტეტი,
 სსრ კავშირის შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტი,
 სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტი,
 სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი,
 სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი,
 სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი.

სსრ კავშირის გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი,

სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი,

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი,

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი.

მუხლი 27. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხვა საქვეუწყებო ორგანოები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო ორგანოებია სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, რომელთა ხელმძღვანელები დადგენილი წესით შედიან სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო ორგანოებია აგრეთვე მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეურნეო, სოციალურ-კულტურული და თავდაცვითი მშენებლობის საქმეთა სხვა კომიტეტები, მთავარი სამმართველოები, უწყებები და — სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად — სხვა ორგანოები.

საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სამეურნეო დავის გადასაწყვეტად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან მოქმედებს სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟი.

V. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუშაობის ორგანიზაცია

მუხლი 28. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომები და სხდომებზე გადაწყვეტილებათა მიღების წესი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომები ეწყობა სულ ცოტა კვარტალში ერთხელ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები ეწყობა რეგულარულად (საპირობებისამებრ).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხდომებზე გადაწყვეტილებებს იღებს შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წევრებისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრების უმრავლესობა.

მუხლი 28. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მეთაურობს სსრ კავშირის მთავრობას და წარმართავს მის საქმიანობას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დავალებით ქმნის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას და შეაქვს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში შესაბამისი წინადადებები;

წარადგენს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებს შორის პერიოდში — მის პრეზიდიუმში წინადადებებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალ ცალკეულ პირთა თანამდებობიდან განთავისუფლებისა და დანიშნვის შესახებ;

ორგანიზაციას უწყევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის მუშაობას და ხელმძღვანელობს მათს სხდომებს;

კოორდინაციას უწყევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეებისა და მოადგილეების საქმიანობას;

უზრუნველყოფს კოლექტიურობას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუშაობაში.

წარმომადგენლობს სსრ კავშირის საერთაშორისო ურთიერთობაში სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის კანონების შესაბამისად;

გადაუდებელ შემთხვევებში იღებს გადაწყვეტილებებს სახელმწიფო მმართველობის ცალკეულ საკითხებზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები და მოადგილეები მოვალეობათა განაწილების შესაბამისად კოორდინაციას უწყევს სსრ კავშირის სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხვა საქვეუწყებო ორგანოების საქმიანობას, აკონტროლებენ ამ ორგანოების საქმიანობას და ოპერატიულად აძლევენ მითითებებს ეკონომიკური და სოციალური განვითარებას ეკავშირებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულების უზრუნველსაყოფად და ნათესაქმიანობის სხვა საკითხებზე; წინასწარ ინიციატივას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში შეტანულ წინადადებებსა და დადგენილებათა და განკარგულებათა პროექტებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეობას მისი დავალებით ასრულებს თავმჯდომარის ერთ-ერთი პირველი მოადგილე.

მუხლი 30. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მუდმივი კომისიები და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხვა სამუშაო ორგანოები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს აქვს მუდმივი კომისიები. ამ კომისიათა ამოცანებს, ფუნქციებსა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

სახალხო მეურნეობის დარგების ან მმართველობის სფეროების განვითარებასთან დაკავშირებულ წინადადებათა მოსამზადებლად, სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა პროექტების შესამუშავებლად და გადაწყვეტილებათა პროექტების გამო უთანხმოებათა განსაზღვრულად, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის ცალკეულ დავალებათა შესასრულებლად შეიძლება შეიქმნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დროებითი კომისიები და სხვა სამუშაო ორგანოები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებათა შეტანისა და განხილვის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მუხლი 31. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებანი, რომლებსაც ნორმატიული ხასიათი ან დიდი სახალხო-სამეურნეო და ზოგადი მნიშვნელობა აქვთ, გამოიცემა დადგენილებათა ფორმით. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი ქვეყნდება სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებათა კრებულში, ხოლო თუ აუცილებელია მათი ფართო და დაუყოვნებლივ გამოქვეყნება, მათს საყოველთაო გამოქვეყნებას უზრუნველყოფენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

გადაწყვეტილებანი ოპერატიულ და სხვა მიმდინარე საკითხებზე გამოიცემა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განკარგულებათა ფორმით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებს ხელს აწერენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განკარგულებებს ხელს აწერენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები.

მუხლი 82. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აპარატი

სსრ კავშირის მთავრობის აპარატს, რომელიც ამზადებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში განსახილველ საკითხებს და უზრუნ-

ველყოფს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების სისტემატურ მონიტორინგს, წარმოადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა, რომელიც განყოფილებებისა და სხვა სტრუქტურული ქვეგანყოფილებისაგან შედგება.


სსრ კავშირის მთავრობის აპარატს სათავეში უდგას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი, რომელიც დადგენილი წესით შედის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში.

დებულებას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის შესახებ და მის სტრუქტურას ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი**

**კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. პიორბაძე**

მოსკოვი, კრემლი.
1978 წლის 5 ივლისი.





ქ ე რ ბ ე ნ ი ც ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

სკკ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კომუნისტურ მშენებლობაში ქალთა როლის ამაღლებისა და მათი შრომის და ყოფაცხოვრების პირობების, დედისა და ბავშვის დაცვის გაუმჯობესების საქმეში საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ახ. პ. გ. გილაშვილის მოხსენება „სკკ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კომუნისტურ მშენებლობაში ქალთა როლის ამაღლებისა და მათი შრომის და ყოფაცხოვრების პირობების, დედისა და ბავშვის დაცვის გაუმჯობესების საქმეში საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ“, აღნიშნავს, რომ კომუნისტურ მშენებლობაში რესპუბლიკის ქალების, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი ქალის, როლი განუხრებლად იზრდება. ისინი სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ მეათე ხუთწლიან დავალებათა, კომუნისტური პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებაში, არიან სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავენი, მნიშვნელოვანი ინიციატივისა და თაოსნობის წამომწყებნი, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მოსახურების სფეროს თვალსაჩინო მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

ჩვენი საზოგადოებაში ქალის მღვდობარებაში მომხდარი ძარფესიანი ცვლილებები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი და გამიზნული მუშაობის შედეგია, რომლებსაც მამაკაცთან ქალის ნამდვილი, გარანტირებული თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო ამოცანად მიაჩნიათ.

ქალისადმი ჩვენი საზოგადოების, კომუნისტური პარტიის დამოკიდებულების მკაფიო გამოვლინება გახდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომლის 35-ე მუხლში ნათქვამია: „სსრ კავშირში ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლებები აქვთ.“

ამ უფლებათა განხორციელებას უზრუნველყოფს ქალებისათვის მამაკაცების თანას-

წორ შესაძლებლობათა მინიჭება განათლებისა და პროფესიული მომზადების მიღებაში, შრომისა და მის ანაზღაურებაში, სასახურებრივ დაწინაურებაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში, აგრეთვე სპეციალური ღონისძიებანი ქალის შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში; ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც საშუალებას აძლევენ ქალებს შრომა შეუხამონ დედობას; დედთა და ბავშვთა სამართლებრივი დაცვა, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა, მათ შორის ორსული ქალებისა და დედებისათვის ფასიანი შვიტულებებისა და სხვა შეღავათების მიცემა, მკერდწლოვან ბავშვთა დედების სამუშაო დროის თანდათან შემცირება“.

სკკ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებმა, რესპუბლიკისა და მისი პარტიული ორგანიზაციის მიმართ განხორციელებულ ღონისძიებათა კომპლექსმა, რომელიც შეიმუშავა სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა თბილისის საქალაქო კომიტეტის და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ ცნობილ პარტიულ დოკუმენტებში, შექმნეს წინამძღვრები ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემის გადაწყვეტილისათვის.

რესპუბლიკაში გადუწყვდილი იზრდება მუშა და მოსამსახურე ქალების რიცხვი. საქმარისა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა რიცხვი 156 ათასით გაიზარდა და 849 ათასს მიაღწია. თანდათანობით ნატულობს ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში დასაქმებულ ქალთა რაოდენობა. ხორციელდება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის V პლენუმზე დასახული ამოცანა ამ დარგებში ქალთა ფართო მიზიდვის შესახებ. საზოგადოებრივ შრომა-



ში ქალთა მასობრივი ჩაბმის, მათი კვალიფიკაციისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდის უმნიშვნელოვანესი წინაპირობებია გახდა ქალთა განათლების ღონის ზრდა, პროფესიული სწავლების სხვადასხვა ფორმის მისაწვდომობა, შრომის პირობების გაუმჯობესება, ოჯახური საზრუნავის შემსუბუქება და სახელმწიფოს დახმარება ბავშვთა აღზრდაში.

რესპუბლიკაში განუხრავლად ხორციელდება სახელმწიფოს მართვანში ქალთა ფართო ჩაბმის, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის ლენინური პრინციპი. ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა შემადგენლობაში (1977 წლის არჩევნები) არის 23.963 ქალი, ანუ დეპუტატთა საერთო რიცხვის 48,5 პროცენტი. ბევრი ქალი დასაქმებულია სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებში ხელმძღვანელ სამუშაოზე. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში არჩეულია 142 ქალი, ანუ 35,5 პროცენტი, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში კი — 88 ქალი, ანუ 38,2 პროცენტი. 22 ქალი რესპუბლიკის წარმომადგენელია სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში. ქალებს ვაჭინაურებთ ხელმძღვანელ სამუშაოზე პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში.

საქართველოს სს რესპუბლიკაში წლიდან წლიმდე იზრდება შრომის დაცვის ღონისძიებებისათვის ასიგნებული სახარჯები. რესპუბლიკაში არის ბევრი საწარმო, ორგანიზაცია და დაწესებულება, სადაც შექმნილია ქალთა ნაყოფიერი მუშაობისა და სრულფასოვანი დასვენების კარგი პირობები. ეს არის უწინარეს ყოვლისა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა, სსრ კავშირის 50-ე წლისთვის სახელობის საწარმოო გაერთიანება, ცხდკომბინატი, გავრის ჯიშისანაშენი საბჭოთა მეურნეობა, ხაშურის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა, ქუთაისის ავტოქარხანა და სხვა საწარმოები, სადაც ადმინისტრაცია, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები ყოველწლიურად ცდილობენ მზრუნველობა და ყურადღება არ მოაკლონ მუშა ქალებს.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, ბევრი მოქმედი საწარმოს რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის ღონისძიებათა შედეგად, რომელთა განხორციელება დასახულია მეთექვსმეტი წლისათვის, სულ უფრო ხელშემწყობი პირობები შეიქმნება მუ-

შა ქალების შრომის შემდგომი შემსუბუქებისათვის.

სამინისტროებსა და უწყებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში შესაბამის პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად შემუშავებული და დამტკიცებულია შრომის დაცვისა და მისი პირობების გაუმჯობესებისა და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების 1976-1980 წლების ხუთწლიანი კომპლექსური გეგმები. მათი რეალიზაცია საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ქალთა შრომის პირობები.


ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რათა გაუმჯობესდეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები. მაგალითად, შეჩაივობაში. რომლის მუშაკთა დაახლოებით 95 პროცენტი ქალები შეადგენენ, სულ უფრო მეტად იყენებენ ჩაის საკრეფ მანქანებს, ფოთლის ხელით მექანიზებული კრეფის აპარატებს. შრომის პირობები უმჯობესდება აგრეთვე მეცხოველეობის მეურნეობებსა და რესპუბლიკის სსსოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა დარგებში.

ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში ბევრი რამ კეთდება ქალთა საყოფაცხოვრებო პირობების, ღედისა და ბავშვის დაცვის გასაუმჯობესებლად.

გაფართოვდა ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელი, უმჯობესდება ვაჭრობის მეთოდები, დინერჯა მომსახურების ახალი პროგრესული სახეობანი.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ქერები 1977 წელს მოემსახურნენ 230 ათასზე მეტ ქალს, რამაც დამსვენებელთა თითქმის 53 პროცენტი შეადგინა. ხუთწლეულის მანძილზე 66 პროცენტით გაიზარდა საოჯახო დასვენების ჯანმრთელობის კერების გამტარუნარიანობაც. მეტი ყურადღება ეთმობა ღედისა და ბავშვის სამედიცინო მომსახურებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკომპარტიოსო ბრძოლა ნეგატიურ მოვლენებთან და ყოველგვარ დარღვევებთან, უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილებები, რომლებიც მიმართულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისაკენ, ხელსაყრელ ატმოსფეროს ქმნიან ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების, ღედისა და ბავშვის დაცვის გაუმჯობესებისათვის.



ამჟამად ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების პრობლემები არის რესპუბლიკის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეტრე სესიის მომზადების პერიოდში რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო ფართო დადგენილება „სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა შრომის დაცვისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დღეებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და პროფსაბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება „სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა შრომის დაცვისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

მათი განხორციელება ბევრად გააუმჯობესებს მომუშავე ქალების შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებს, ხელს შეუწყობს მათი ჯანმრთელობის დაცვას, აუცილებელი დროის გამოთავისუფლებას ოჯახისა და ბავშვების აღზრდისათვის, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ქალთა უფრო მეტად ჩაბმას.

ზოგიერთი დადებითი ძეგა მოხდა დედისა და ბავშვის სამედიცინო მომსახურებაში. მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია მუშაობაში ბევრმა საბავშვო პოლიკლინიკამ. უკანასკნელ ხანს გარკვეული მუშაობა განხორციელდა სოფლად მცხოვრები ქალების სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

აღნიშნული პოზიტიური ძეგრების მიღწევაში არტულ მცირე წვლილი შეიტანეს სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა, რომელთაგან ბევრი, ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით და დეპუტატების, მუდმივი კომისიების, ფართო საზოგადოებრიობის გაზრდილ აქტიურობაზე დაყრდნობით, პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, ამ ბოლო წლებში უფრო ღრმად და კვალიფიციურად სწვდნენ საკითხებს. რომლებიც უკავშირდება კომუნისტურ მშენებლობაში ქალთა როლის ამღაურებას, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, დედისა და ბავშვის დაცვას.

ამასთანავე კომუნისტურ მშენებლობაში რესპუბლიკის ქალთა როლის შემდგომი ამღაურების, მათი შრომის პირობების გაუმჯობესების, დედის და ბავშვის დაცვის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემა, სერიოზული ნაკლოვანება და ხარვეზია.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მეტწილ სფეროებში შრომითი აქტიურობის, ეფექტიანობისა და ხარისხის ზრდას კვლავ არსებითად აფერხებს მუშა ქალთა დაბალი კვალიფიკაციის დონე, რომელიც ჯერ კიდევ ჩამორჩება მუშა მამაკაცთა კვალიფიკაციის დონეს.

რესპუბლიკაში დიდია იმ სამუშაოებზე დასაქმებულ ქალთა ხვედრითი წონა, რომლებიც მაღალ კვალიფიკაციის არ მიაღწიან.

თუმცა 1970 წლიდან 1978 წლამდე პერიოდში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა რიცხვი შესამჩნევად გაიზარდა, საზოგადოებრივ მეურნეობაში მათი დასაქმების დონე კვლავ ჩამორჩება საერთო საკავშირო მაჩვენებელს (46 პროცენტი 51 პროცენტთან შედარებით), მაშინ, როცა პირად დამხმარე და საოჯახო მეურნეობაში დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის 16 პროცენტი — უპირატესად ქალები, რაც ორჯერ აღემატება საკავშირო მაჩვენებელს. ამავე დროს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ამ კატეგორიის ქალთა ჩაბმის ერთ-ერთი გზა — არასრული სამუშაო დღე, არასრული სამუშაო კვირა და შინ მუშაობა — თითქმის არ არის გამოყენებული.

რესპუბლიკის მრეწველობის ყველა საწარმოში არ არის შექმნილი ქალთა შრომის ნორმალური პირობები. ერთეული როდია შემთხვევები, როცა ქალთა შრომა დაკვირებულია მათზე ცუდი საწარმოო ფაქტორების ზემოქმედებასთან. ბევრია ისეთი საწარმო, სადაც სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები არ შეესაბამება მოქმედ ნორმებს, კვლავინდებურად მაღალია მძიმე ხელის შრომის დონე, დამაკმაყოფილებელი არ არის სპეცტანსაცმლითა და სპეცფესსაცმლით, დამცველი მოწყობილობით მომარაგება, რომლებიც არტულ იშვიათად ცუდი ხარისხისაა. ზოგიერთ საწარმოში ირდევია კანონმდებლობა, რომელიც შეეხება ქალთა შრომის დაცვას. ბევრ დარგში, სადაც ფართოდ არის გამოყენებული ქალის შრომა, იზრდება ზეგანაკვეთურ სამუშაოთა მოცულობა, ნელა მცირდება საწარმოო ტრავმატიზმი.

ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის, მათ შორის რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების წამყვანი დარგების ხელმძღვანელები ნაკლებად ზრუნავენ მუშა ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ყველგან არ არის მოწესრიგებული წყალმომარაგებისა და ცხელი კერძის აღვილზე მი-

ტანის საკითხები, მოწყობილი არ არის სა-
ველე სამზარეულოები, სასადილოები; მეურ-
ნეობათა ტერიტორიაზე ხშირად არა აქვთ
პირველი საჭიროების სანიტარიულ-საყოფა-
ცხოვრებო სათავსები, მოუგვარებელია მუშა
ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შე-
მოწმების საქმე, ექიმები იშვიათად მიდიან
მათთან უშუალოდ სამუშაო ადგილას. ძნელ
პირობებში უხდებათ შრომა ზოგიერთი სა-
საბურე მეურნეობის მუშა ქალებს. ბევრ
შემთხვევაში დაბალია მეცხოველეობის ფერ-
მებში სამუშაოთა მექანიზაციის დონე, არ
იცივენ შევსებულებათა მიცემის, ცვლიანო-
ბის წესს, ირღვევა უსაფრთხოების ტექნი-
კის წესები. სეროიზული ნაკლოვანებებია
აგრეთვე სოფლის მშრომელ ქალთა სპეც-
ტანსაცმლითა და სპეცტეხსაცმლით მომარა-
გებაში.

მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მოითხოვს
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურე-
ბაში, ვაჭრობაში დასაქმებულ ქალთა შრო-
მის პირობები. ამ დარგების მატერიალურ-
ტექნიკურ ბაზას, განსაკუთრებით სოფლად,
საკმაო ყურადღება არ ეთმობა. მაგალითად,
ჯერ კიდევ დაბალია რესპუბლიკის ვაჭრო-
ბისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების
საწარმოთა ხელის შრომის მექანიზაციის სა-
შუალებებით უზრუნველყოფის დონე, ქალა-
ქებშიც კი ზოგჯერ არ არის საშხაპეები, გა-
სახდელები, დასასვენებელი, კვების ოთახე-
ბი, სვენტილაციო დანადგარები, მუშა ქა-
ლები მოვლბული არიან სამედიცინო მომ-
სახურებას.

საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით
ჯერჯერობით დაბალია ქალთა პროცენტი
მომსახურების სფეროში, განსაკუთრებით
ხელმძღვანელ სამუშაოზე.

საშუალო საკავშიროს ჩამორჩება თვითომ-
სახურების მაღაზიების, იმ მაღაზიების ხვე-
დრითი წონის რესპუბლიკური მაჩვენებლე-
ბი, რომლებიც საქონელს ყიდიან წინასწარი
შეკვეთებით, უშუალოდ საწარმოებსა და ორ-
განიზაციებში, შინ მიტანით და ა. შ. ცოტა
კულინარიისა და ნახევარფაბრიკატების მა-
ღაზიები. ჯერ კიდევ ბევრია ისეთი საწარმო,
სადაც სათანადო ყურადღება არ ემცევა
მუშა-მოსამსახურეთა საზოგადოებრივ კვი-
ბას.

არანაკლებ შემოშფოთებელია სკოლებში
მოსწავლეთა კვების ცუდი ორგანიზაცია.

ქალებისა და ბავშვების წინაშე დიდ
ვალშია რესპუბლიკის მრეწველობა, იგი სა-
ვაჭრო ქსელს არ აწვდის საკმაო ასორტი-
მენტის, რაოდენობისა და სათანადო ხარის-

ხის ისეთ საქონელს, რომელზედაც გავრდი-
ლი მოთხოვნაა.


სეროიზული ნაკლოვანებებია საყოფაცხოვ-
რებო მომსახურის ორგანიზაციაშიც. რეს-
პუბლიკის ერთ სულ მოსახლეზე სხვადასხვა
მომსახურების მოცულობა, განსაკუთრებით
სოფლად, მნიშვნელოვნად დაბალია საშუა-
ლოსაკავშირო მაჩვენებელზე. უშუალოდ სა-
წარმოებში არსებული საყოფაცხოვრებო სა-
მსახურის ობიექტების ქსელი ნაკლებად აკ-
მაყოფილებს მოთხოვნას.

ცუდად არის ორგანიზებული ქალთა კულ-
ტურული, სრულფასოვანი დასვენება. მოთ-
ხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს საოჯახო
დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის კერე-
ბის, საგარეუბნო პიონერული ბანაკების ქსე-
ლი. ბანაკებში გასაგზავნი ბავშვების რიცხ-
ვით რესპუბლიკა ორჯერ ჩამორჩება საშუა-
ლო-საკავშირო მაჩვენებელს.

ქალების, დედებისა და ბავშვების სამედი-
ცინო მომსახურების დონე რესპუბლიკაში
ყოველთვის როდი აკმაყოფილებს თანამე-
დროვე მოთხოვნებს. რაიონულ საავადმყო-
ფოებში არ არის შესაბამისი მატერიალური
ბაზა. პედიატრიული, სამედიცინო და გინეკო-
ლოგიურა საწოლებით უზრუნველყოფის
დონე ჩამორჩება ნორმატივებს. ავადმყოფი
ბავშვების საწოლების რიცხვით რესპუბ-
ლიკას უქანასკნელი ადგილი უჭირავს ქვეყა-
ნაში, ორსული და მშობიარე ქალების საწო-
ლების რიცხვით — მერვე. ექიმის თანამდე-
ლობათა დავომლექტების მაჩვენებელი და-
ბალია საშუალო საკავშირო მაჩვენებელზე.
სამკურნალო დაწესებულებებში ყველგან არ
იცივენ სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს.

ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვს საბავ-
შვო სკოლამდელ დაწესებულებებში შექმნი-
ლი მდგომარეობა. შესაბამისი მატერიალური
ბაზის უქონლობის გამო მცირეა სკო-
ლამდელი დაწესებულებების რიცხვი და ამ
მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩებით საშუა-
ლოსაკავშირო მაჩვენებლებს. ბევრი საბავშვო
ბაღი და ბავა ზედმეტად გადტვირთულია,
რაც იწვევს სანიტარულ-ჰიგიენური მოთ-
ხოვნების დარღვევას, მათს უმრავლესობაში
შექმნილი არ არის მოზარდი თაობის აღზრ-
დის საჭირო პირობები, აკლიათ მოწყობი-
ლობა, ინვენტარი. სავაჭრო ორგანიზაციებში
დამაკმაყოფილებლად ვერ ამარაგებენ სკო-
ლამდელ დაწესებულებებს სურსათ-სანოვა-
გით, დაბალია მათი სამედიცინო მომსახურე-
ბი დონე.

ჯერ კიდევ ირღვევა შრომის კანონმდებ-
ლობა. არის ქალთა, მათ შორის ორსულ
ქალთა, იმ მექძეურ დედათა სამუშაოდან



უკანონოდ დათხოვნისა და ნაკლებზეღვა-
სიან სამუშაოზე გადაყვანის შემთხვევები,
რომლებსაც ჰყავთ ერთ წლამდე ბავშვები,
მარტო 1977 წელს სამუშაოზე აღადგინეს
დათხოვილ მომჩივან ქალთა 71 პროცენტი.

ქალთა შრომის შესახებ კანონმდებლობის
დაცვის ასეთი ცუდი მდგომარეობა ბევრად
აიხსნება იმით, რომ მთელი რიგი სამინისტ-
როების, უწყებების, დაწესებულებების, ორ-
განიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანე-
ლები, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა საბ-
ჭოები, პროფესიული კავშირები და სამარ-
თალდამცველი ორგანოები სათანადო ყურად-
ღღებს არ უთმობენ ამ დიდმნიშვნელოვან
საკითხს.

საკმაოდ ზუსტად არ არის ორგანიზებუ-
ლი საპროკურორო ზედამხედველობა შრო-
მის უფლებების დაცვის შესახებ კანონმდებ-
ლობის შესრულებისადმი და ჯერ კიდევ
დამაკმაყოფილებელი არ არის სასამართლო
პრაქტიკა ამ კატეგორიის საქმეთა გამო.
ნაკლებად ეფექტიანია შრომის კანონმდებ-
ლობის პროზაგანდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აღ-
ნიშნავს, რომ ზემოჩამოთვლილი ნაკლოვანე-
ბებისა და ხარვეზების უმრავლესობა მნიშვ-
ნელოვანწილად იმის შედეგია, რომ დამაკ-
მაყოფილებლად არ მუშაობენ სახალხო დე-
პუტატთა აღვილობრივი საბჭოები და მათი
აღმასკოები, რომელთა უმუშაო მოვალე-
ობაა სისტემატურად და გამიზნულად შე-
ისწავლონ და გადაწყვიტონ სხვადასხვა პრო-
ბლემა, რომლებიც დაკავშირებულია ქალთა
სოციალური და შრომითი აქტიურობის თა-
ნამიმდევრულ ამადლებასთან, მათზე და მო-
ზარდ თაობაზე დაუცხრომელი ზრუნვის გა-
მოვლინებასთან. ეს საკითხები იშვიათად
აღება საბჭოების სესიების, აღმასრულებელი
კომიტეტების სხდომების, რესპუბლიკის აღ-
ვილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების
განხილვის საგანი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ხელმძღვა-
ნელობს რა სკკპ XXV ყრილობის მითითე-
ბებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენე-
რალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ
ლენინდ ილიას ძე ბრეჯნევის მოხსენებებსა
და გამოსვლებში გამოთქმული დებულებე-
ბითა და დასკვნებით, სსრ კავშირისა და
საქართველოს სსრ კონსტიტუციებით, უდი-
დეს სახელმწიფო და სოციალურ-პოლიტი-
კურ მნიშვნელობას ანიჭებს რა კომუნის-
ტურ მშენებლობაში ქალთა როლის შემდ-
გობი ამადლების, მათი შრომისა და ყოფუ-

ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის სა-
კითხებს, ამ საქმეში არსებული ნაკლოვანე-
ბებისა და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით
აღგენს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ,
აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა
საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური
ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმა-
სრულებელმა კომიტეტმა, რესპუბლიკის სა-
ხალხო დეპუტატთა რაიონულმა, საქალაქო,
სასოფლო და სადაბო სახალხო დეპუტატთა
საბჭოების აღმასკომებმა, სამინისტროებმა და
უწყებებმა, საწარმოების, ორგანიზაციებისა
და დაწესებულებების ხელმძღვანელებმა
პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად:

— შეიმუშაონ და განახორციელონ კონ-
კრეტული, გამიზნული ღონისძიებანი, რომ-
ლებიც ხელს შეუწყობენ ქალების შრომითი
და სოციალური აქტიურობის, მათი შრომის
ეფექტიანობისა და ხარისხის, საზოგადოებრივ
წარმოებაში დასაქმების ყოველმხრივ ზრდას,
ქალთა პროფესიული მომზადებისა და გადამ-
ზადების შემადგომ გაუმჯობესებასა და სრულ-
ყოფას, მათი კვალიფიკაციის ამადლებას;

— უფრო ფართოდ დაწერგონ სახალხო
მეურნეობის იმ დარგებში, სადაც ამისათვის
არსებობს ობიექტური პირობები, არასრულ-
ლი სამუშაო ღდე, არასრული სამუშაო კვი-
რა, შინ მუშაობა;

— განახორციელონ გადამწყვეტი ღონის-
ძიებანი იმისათვის, რომ უფუოდ სრულდე-
ბოდეს შრომის დაცვის, მისი პირობების
გაუმჯობესების, სანიტარიულ-გამაჯანსაღებე-
ლი ღონისძიებების ხუთწლიანი კომპლექსუ-
რი გეგმები; ამასთან განსაკუთრებული ყუ-
რადღება დაუთმონ ქალთა შრომის ჯანსაღი
და უსაფრთხო პირობების უზრუნველყო-
ფას, სათანადო ხარისხისა და ასორტიმენტის
სპეცტიანსაცმლითა და სპეცფუნსაცილით მათ
შეუფერხებელ მომარაგებას, დააჩქარონ თა-
ნამედროვე ტექნიკური საშუალებების და-
წერგვა, რომლებიც ამსუბუქებენ შრომის
პირობებს, თავიდან გვაცილებენ საწარმოო
ტრავმატიზმს და პროფესიულ დაავადე-
ბებს, გამოათავისუფლონ ქალები არახელ-
საყრელი საწარმოო პირობებიდან;

— მუდმივი კონტროლი და პერსონალუ-
რი პასუხისმგებლობა დააწესონ მომუშავე
ქალების სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, კრმუ-
ნალური, სამედიცინო, სანატორიულ-საკუ-
რორტო, გამაჯანსაღებელ-პროფილაქტიკური
და კულტურული მომსახურების გაუმჯობე-
სების კომპლექსურ ღონისძიებათა განუხ-
რელი განხორციელებისათვის;

— გამოიხარონ დამატებითი სახსრები ბავ-



შეთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობისათვის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში განხორციელებული დღის ჯგუფების რაოდენობის გაზრდისათვის, ბიონერული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების განვითარებისათვის უახლოეს წლებში მათზე მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილების მიზნით;

— უზრუნველყონ მომუშავე ქალთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის დონისა და გამიზნულობის შემდგომი ამაღლება, ფართოდ ჩააბან ისინი სახალხო უნივერსიტეტების, მუდმივმოქმედი ლექტორიუმების, კომუნისტური შრომის სკოლების მეცადინეობაში, მსატრეული თვითმოქმედების წრეებში; უზრუნველყონ საწარმოებში, კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში, ბიბლიოთეკებში, საცხოვრებელ ადგილს სისტემატურად მოაწიონ ლექციები, მოხსენებები, საუბრები, კითხვა-პასუხის საღამოები, ზეპირი ჟურნალები, გამოფენები, რომლებიც განმარტავენ და პრობაგანდას გაუშევენ შრომის, ჩენი მშრომელი ქალების ყოფაცხოვრებისა და დასვენების, დედისა და ბავშვის დაცვის შესახებ მოქმედ კანონმდებლობას, გვიჩვენებენ საბჭოთა ქალების როლსა და მნიშვნელობას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

2. რეკომენდაცია მიეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რომ შეიმუშაოს ქალთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების, დედისა და ბავშვის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების მეცნიერულად დასაბუთებული პერსპექტიული იგეგმა.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა რესპუბლიკის დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად ყველა საჭირო ღონისძიება განახორციელოს სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის სახელმწიფო დავალებათა დადგენილ ვადებში შესრულებისათვის, ამასთან განსაკუთრებული კონტროლი დააწესოს მათ დანერგვაზე იმ დარგებში, რომლებშიც ქალთა შრომა ჭარბობს.

4. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ მომუშავე ქალების მიერ თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენებისა და მათთვის საოჯახო შრომის შემსუბუქების მიზნით გაითვალისწინონ მომსახურების პროგრესული ფორმების განვითარების უპირატესი ტემპი, უახ-

ლოეს წლებში საშუალოსაკავშირო მაჩვენებლებამდე გაზარდონ თვითმომსახურების მაღაზიების, წინასწარი შეკვებით, უშუალოდ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე შინ მიტანით მოვაჭრე მაღაზიების ხვედრითი წილი, საყოველთაოდ უზრუნველყონ საბჭოთა ვაჭრობის მაღალი კულტურა.

გადაამუშავებენ ზომები მიიღონ უშუალოდ სამუშაო ადგილას მუშა-მოსამსახურეთა შეუფერხებელი კვების ორგანიზაციისათვის, სასკოლო ბუფეტებსა და სასადილოებში ცხელი კერძების დამზადების გაუმჯობესებისათვის, მათი ქსელის გაფართოებისათვის და საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში ადგილების გაზრდისათვის, მაღალხარისხიანი სურსათ-სანოვანით დროული მომარაგებისათვის.

5. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ განახორციელოს ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოს იმ ყოველგვარი მომსახურების ფართოდ განვითარება, რომელიც ამსუბუქებს საოჯახო შრომას, — რეცეპტა, ტანსაცმლის ქიმიური წმენდა და ინდივიდუალური შეკერვა, საოჯახო ინვენტარის გაქირავება; მნიშვნელოვნად გაზარდოს საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების, საყოფაცხოვრებო სამსახურის კომპლექსური მიმღები პუნქტების რიცხვი, განსაკუთრებით იმ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რომლებიც უპირატესად ქალის შრომას იყენებენ.

6. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტმა, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო, საბჭოების აღმასკომებმა პროცკავშირულ ორგანოებთან ერთად 1979 წლის 1 იანვრამდე მიადწიონ იმას, რომ მთლიანად მოწესრიგდეს სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და საბინაო-კომუნალური მომსახურების ობიექტებისა და დაწესებულებების მუშაობის დრო, ამასთან გაითვალისწინონ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშებისა და მოსამსახურეების სამუშაო დრო და დასვენების დღეები.

7. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ გააუზარტოონ მოცულობა და მკვეთრად გააუმჯობესონ სპეცტანსაცმლის და სპეცფენ-

საემლოს შეკერვის ხარისხი და უზრუნველ-
ყონ მათი გამოშვება სახელმწიფო სტანდარ-
ტების შესაბამისად, ქალებისა და მოზარდი
თაობის მოთხოვნის მაქსიმალური დაკმაყო-
ფილებისათვის, უზრუნველყონ საკმაო რაი-
დენობის, ასორტიმენტისა და მაღალი ხარის-
ხის საფეიქრო, შეკერილი, ტრიკოტაჟის ნა-
წარმის, ფეხსაცმლისა და სხვა სამრეწველო
საქონლის წარმოება და სავაჭრო ქსელში
რიტმული მიწოდება.

8. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის
სამინისტრომ და საქართველოს სსრ ხორ-
ცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ
კვლავაც გააუმჯობესონ სასურსათო საქონ-
ლით მოსახლეობის მომარაგება; განახორ-
ციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა ეს
საქონელი გამოადიოდეს სათანადოდ შეფუ-
თული და დაფასოებული, ამასთან აუცი-
ლებლად გაითვალისწინონ გავრდილი მო-
თხოვნა დიეტურ და ბავშვთა კვების პრო-
დუქტებზე.

9. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაც-
ვის სამინისტრომ სხვა სამინისტროებთან და
უწყებებთან ერთად განახორციელოს ღონის-
ძიებათა ფართო პროგრამა, რომლის მიზან-
ია ქალთა და ბავშვთა შორის ავადობის
პროფილაქტიკის გაუმჯობესება და შემცი-
რება, პედიატრიული, სამენო და გინეკო-
ლოგიური დანიშნულების საწოლების ფონ-
დის გაფართოება, კვალიფიციური კადრე-
ბით სამედიცინო დაწესებულებათა დაკომპ-
ლექტება.

ამაღლოს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური
სამსახურების მომთხოვნელობა წარმოებაში
სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვისად-
მი, გააფართოოს საწარმოებში სამედიცინო-
სანიტარული ნაწილების ქსელი, განამტკი-
ცოს რაიონული საავადმყოფოების, პოლიკ-
ლინიკებისა და სხვა სამკურნალო-პროფილა-
ქტიკური დაწესებულებების მატერიალური
ბაზა.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-
ჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა
და სპორტის კომიტეტმა თანამიმდევრულად
გააფართოოს გამაჯანსაღებელი და სპორტუ-
ლი ბაზების, საბავშვო სპორტული სკოლე-
ბის ქსელი.

11. საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკურ საბჭოს რეკომენდაცია მიეცეს
უახლოეს წლებში გაითვალისწინოს ახალი
დასახელებელი სახლების, სანატორიუმებისა
და პანსიონატების, საბავშვო და საოჯახო
დასვენების ჯანმრთელობის კერების მშენებ-
ლობა.

12. საქართველოს სსრ განათლების სამი-
ნისტრომ, საქართველოს სსრ ჯანმრთელო-
ბის დაცვის სამინისტრომ, ბავშვთა სკოლა-
მდელი დაწესებულებების მქონე სამინისტ-
როებმა და უწყებებმა განახორციელონ სა-
ჭირო ღონისძიებანი მათი საქმიანობის გაუმ-
ჯობესებისათვის, მატერიალური ბაზის გა-
ფართოებისა და განმტკიცებისათვის, საქარ-
თველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებ-
ლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან
ერთად გააძლიერონ კონტროლი სასკოლო
და ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების
დაპროექტებისა და მშენებლობის მდგომარ-
ეობასა და ხარისხზე.

13. საქართველოს სსრ განათლების სამი-
ნისტრომ დღენიადაც სრულყოფილ რესპუბლი-
კის სკოლამდელი დაწესებულებების მეთო-
დიკური ხელმძღვანელობა მათი უწყებრივი
დაქვემდებარების მიუხედავად, გააუმჯობე-
სოს აღმზრდელთა კადრების ვადამზადებისა
და კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხი, აკ-
რთვე მეთოდიკური ლტერატურის ხარისხი.

14. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის-
დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ,
საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწვე-
ლობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ უაზ-
ლოეს დროში უზრუნველყონ მოწყობილო-
ბის, ინვენტარის, ავეჯის, თვალსაჩინო სას-
წავლო სახელმძღვანელოებისა და საშუალე-
ბების, შეკერილი, საფეიქრო და სხვა ნა-
წარმის წარმოება, რომლებიც შეესაბამებან
თანამედროვე მოთხოვნებსა და ნიმუშებს,
ამასთან სრულად დააკმაყოფილონ მათზე
მოთხოვნილება.

15. საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკურ საბჭოს რეკომენდაცია მიეცეს,
რომ გაზარდოს პროფკავშირთა კომიტეტე-
ტებისა და საბჭოების როლი შრომის კანონ-
მდებლობისა და ქალთა შრომის დაცვის
წესების შესრულებისადმი კონტროლის უზ-
რუნველყოფაში, საწარმოებში მუშა ქალე-
ბისათვის სათანადო საწარმოო სანიტარულ-
საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაში.

16. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასა-
მართლომ საქართველოს სსრ იუსტიციის
სამინისტროსთან ერთად პერიოდულად განა-
ზოგადოს სასამართლო პრაქტიკა სამუშაო-
დან ქალთა უკანონო დათხოვნის საქმეებზე
და შესაბამისი სახელმძღვანელო განმარტე-
ბანი მისცეს რესპუბლიკის სასამართლო ორ-
განოებს; ამასთან გაითვალისწინოს საქართ-
ველოს სსრ შრომის კანონების კოდექსის
დარღვევაში კონკრეტულ დამნაშავეთა მი-



მართ კანონით გათვალისწინებული ზომების მიღების საჭიროება.

17. საქართველოს სსრ პროკურატურამ ვა-
აძლიეროს ზედამხედველობა ყველა სამინისტროსა და უწყების, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისა და თანამდებობის პირების მიერ შრომის კანონების ზუსტად შესრულებისადმი.

18. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ რესპუბლიკის სხვა სამართალდამცველ ორგანოებთან ერთად გააძლიეროს ქალთა შრომის, დედისა და ბავშვის დაცვის შესახებ კანონმდებლობის განმარტება და პრობაგანდა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და საბარ-
თლის ინსტიტუტთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად გააფართოოს ამ პრობლემებზე მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის გამოცემა.

19. სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა სისტემატურად შეისწავლონ და გადაწყვიტონ აქტუალური პრობლემები და საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ქალთა სოციალური და შრომითი აქტიურობის თანამიმდევრულ ზრდასთან, მუდმივად იზრუნონ ქალებზე და მოზარდ თაობაზე, განიხილონ ეს საკითხები საბჭოების სესიებზე, აღმასრულებელი კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე, რათა კონკრეტული, გამიზნული გადაწყვეტილებანი მიიღონ და მკაცრი კონტროლი დააწესონ მათ შესრულებისადმი.

20. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივმა კომისიებმა თავიანთ სხდომებზე პერიოდულად შეისწავლონ და განიხილონ კომუნისტურ მშენებლობაში ქალთა როლის ამაღლების, სამინისტროებსა და უწყებებში, სახალხო მეურნეობის სწავლასა და დარგში, საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მათი შრომის, ყოფაცხოვრების, დასვენების პირობების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხები, გამოვლენილ ნაკლოვანებათა ობერატიული აღმოფხვრისათვის შეიმუშაონ ეფექტიანი, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები და ყოველდღიური კონტროლი გაუწიონ მათ შესრულებას.

21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სავაჭრო კომიტეტმა საქართველოს სსრ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხუთწლიის დარჩენილი წლებისა და მომდევნო პერიოდის გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა აღმასრულებელ კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მოთხოვნებთან მაქსიმალური დაკმაყოფილება მატერიალურ რესურსებზე იმ პროგრამათა განსახორციელებლად, რომლებიც დაკავშირებულია ქალთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების, დედისა და ბავშვის დაცვის გაუმჯობესებასთან.

22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა სისტემატურად მოაწყონ გადაცემები და გამოაქვეყნონ მასალები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ქალების როლს სამეურნეო-ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში, კონკრეტული მაგალითებითა და გასაგები ფორმით განმარტავენ და პრობაგანდას გაუწევენ ქალთა სოციალური და შრომითი უფლება-მოვალეობების, დედისა და ბავშვის დაცვის შესახებ მოქმედ კანონმდებლობას.

23. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეუწელებელი ყურადღება დაუთმოს ამ დადგენილების შესრულებას, თავის სხდომებზე სისტემატურად განიხილოს ცხოვრებაში მისი განხორციელების საკითხები, პრაქტიკაში დანერგოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელების ინფორმაციების მოსმენა ამ დარგში საქმის მდგომარეობის, ქალთა სოციალური და შრომითი აქტივობის თანამიმდევრული ზრდის, მათი შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენების პირობების, დედისა და ბავშვის დაცვის გაუმჯობესების შესახებ.



* * *

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელი ქალები, მთელ საბჭოთა ქალებთან ერთად, მათი საჭიროებებისა და მოთხოვნებისათვის ჩვენი ლენინური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დაუცხრომელი ზრუნ-

ვის პასუხად კვლავაც მთელ თავიანთ ნიჭს, მთელ თავიანთ ძალღონეს, მთელ თავიანთ გულუხვობას მოახმარენ და მზრუნველ ხელს არ მოაკლებენ ჩვენი მშვენიერი საბჭოთა სამშობლოს სამსახურს, მის გაძლიერებასა და აყვავებას. საქართველოს ქალები მეთავე ხუთწლედში, ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედში, კვლავაც კომუნისტური მშენებლობის დიდებული გეგმების, სკკპ X XV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლის პირველ რიგებში იქნებიან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **კ. გილაშვილი**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — **თ. ლაშქარაშვილი**

თბილისი, 1978 წლის 28 ივნისი.



საქართველოს სსრ უმადღეს საბჭოს პრეზიდიუმში

რესპუბლიკაში საყოველთაო-სამხედრო ვალდებულების კანონის შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში განიხილა საქართველოს სსრ პროკურორის ლ. თალაკვაძის მოხსენება, თუ როგორ სრულდება რესპუბლიკაში კანონი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, აგრეთვე საწარმოების, ორგანიზაცია-დაწესებულებების, სასწავლებლების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა უმრავლესობა სრულყოფილად არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას ამ კანონის შესასრულებლად, რის გამოც მისი მოთხოვნები ირღვევა.

სახალხო დემუტატთა სასოფლო, საღაბო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სამხედრო-სადარიცხო მაგიდები ვერ ახდენენ სამხედრო ვალდებულთა და წვევამდელთა დროულ და ხარისხიან აღრიცხვას, მათთან არსებული სიები ზუსტი არ არის და ვერ ასახავენ საქმის ნამდვილ ვითარებას. ამ მხრივ მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია გარის, ახალქალაქის, ახმეტის, ოჩამჩირის, მარნეულის, გარდაბნის, მახარაძისა და სხვა რაიონებში.

წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან სამხედრო ვალდებულთა და წვევამდელთა აღრიცხვას, დიდი დაგვიანებით ან სრულიად არ უგზავნიან წვევამდელთა სიებს სამხედრო კომისარიატებს. სამხედრო აღრიცხვის საქმე მოუწესრიგებელია სამტრედიის ხორკოშხინატში, საკოლმეურნეობათა შორისო სამშენებლო ორგანიზაციების საბჭოსა და ქალაქეკატობაში, „საქსოფლტექნიკის“ ბორჯომის რაიონულ განყოფილებაში და ბორჯომის პუბროდუქტების ბაზაში, წალკისა და ხაშურის რაიონების, აგრეთვე ქალაქების ქუთაისის და რუსთავის მთელ რიგ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

ზოგიერთი ორგანიზაციისა და წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელი უხეშად არღვევს წვევამდელთა და სამხედრო ვალდებულთა მიწერისა და სამხედრო აღრიცხ-

ვანე აყვანის დადგენილ წესებს და სამუშაოზე იღებს ისეთ პირებს, რომლებსაც სამხედრო ბილეთში არა აქვთ სამხედრო კომისარიატის სათანადო აღნიშვნები. მაგალითად, გულრიფშის საკოლმეურნეობათა შორისო სამშენებლო ორგანიზაციების საბჭოს აღმინისტრაციამ 1977 წელს სამუშაოზე მიიღო 7 პირი, რომლებიც არსად არ იყვნენ აყვანილი სამხედრო აღრიცხვაზე, ანალოგიური დარღვევებია მიიაკოვსკის, წყალტუბოს, გურჯაანის რაიონების, ქალაქების ფოთისა და ცხინვალის საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დემუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, სასწავლო დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები მოვალენა არიან კანონით დადგენილი შეღავათები გააგრძელონ თადარიგში დათხოვნილ ვადაინ და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებსა და სამხედრო შეკრებაზე მყოფ პირებზე, კანონის ეს მოთხოვნა ხშირად არ სრულდება, მაგალითად, ბორჯომის მეთუხლოების სახელმწიფო ინსპექციის მძღლი გ. სარუხანოვი სამხედრო შეკრების დამთავრების შემდეგ ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ თავის სამუშაოზე არ დააბრუნა. მსგავსი დარღვევებია წალკის, ხაშურისა და სხვა რაიონებში.

სამხედრო აღრიცხვის მოწესრიგებას ხელს უშლის ისიც, რომ თბილისის პირველი შიხის, ოქტომბრის, კალინინის რაიონების, ქალაქების ზუგდიდის, ფოთის მმაჩის ბიუროები, კანონის მოთხოვნათა მიუხედავად, სამხედრო კომისარიატებს არ აწვდიან ცნობებს სამხედრო ვალდებულთა ან წვევამდელთა გვარის, სახელის შეცვლის ან გარდაცვალების შესახებ.

საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის შესრულებაში არსებული ნაკლოვანებები იმითაც აიხსნება, რომ შინაგან საქმეთა რაიონული და საქალაქო განყოფილებები არ მიმართავენ სჭირო ზომებს საკანონო რეჟიმის მოთხოვნათა შესასრულებლად



და იმ პირთა დასაძებნად, რომლებიც თავს არიდებენ ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევას, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებმა სამხედრო კომისარიატებს დროულად უნდა მიაწოდონ ცნობები სამხედრო ვალდებულთა პასუხისმგებლობაში მიცემისა თუ მსჯავრდადების შესახებ. ამ მხრივ არადაამაყყოფილებლად მუშაობენ ჭიათურის საქალაქო, საჩხერის, გულრიფშის, თბილისის კოლინისისა და ლენინის რაიონების სასამართლოები და საგამოძიებო ორგანოები, ქარელის, ლანჩხუთის, გეგეჭკორის, დმანისის და გალის რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებები.

დადგენილებაში უმაღლესი სამხედრო კომისარიატების მუშაობის ნაკლოვანებებზე ისინი ჯეროვან კონტროლს და პრაქტიკულ დახმარებას ვერ უწყვიტენ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში და კოლმეურნეობებში არსებულ სასწავლო პუნქტებს დაწვებითი სამხედრო მომზადების ორგანიზაციაში.

ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მუშაობის ამ უმნიშვნელოვანეს უბანს — კონტროლს არ უწყვიტენ კანონის შესრულების მიმდინარეობას, ჯეროვანად არ მოითხოვენ დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებისაგან, რომ მათ სწორად წარმართონ სამხედრო აღრიცხვა; თავიანთ სხდომებზე არ იხილავენ სამხედრო აღრიცხვის და ახალგაზრდების დაწყებითი სამხედრო მომზადების მდგომარეობის საკითხებს, ვერ უზრუნველყოფენ წვევამდელთა ორგანიზებულ გამოცხადებას და საზეიმო გაცილებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატს უზრუნველყოს საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ კანონის მოთხოვნათა განუხრებლად შესრულება.

სახალხო დემუტატთა სასოფლო, სადაზო,


რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალოს თავიანთ სხდომებზე სისტემატურად განიხილონ სამხედრო დრიცხვის, ახალგაზრდობის დაწყებითი ამხედრო მომზადების მდგომარეობის საკითხები, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების ანგარიშები საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის შესრულების შესახებ, უზრუნველყონ ნამდვილ სამხედრო სამსახურში წვევამდელთა სახეიმო გაცილება;

უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ სამხედრო ვალდებულთა და წვევამდელთა ზუსტი აღრიცხვა, ჰკაცრი კონტროლი დაუწყესონ საბასპორტო რეჟიმის დაცვას.

რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალოს მიიღონ სათანადო ზომები ჯაჭვმდებარებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში წვევამდელთა და სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვის მოსაწესრიგებლად, აგრეთვე შრომის კანონმდებლობის იმ მოთხოვნათა დასაცავად, რომლებიც შეეხება სამხედრო ვალდებულის სამუშაოზე მიღებას.

საქართველოს სსრ პროკურატურამ, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებმა სათანადო მითითებები უნდა მისცენ საგამოძიებო, სასამართლო და მმართველ ორგანოებს, შინაგან საქმეთა განყოფილებებს, რათა სამხედრო კომისარიატებს დროულად მიაწოდონ საჭირო ცნობები სამხედრო ვალდებულთა და წვევამდელთა პასუხისმგებლობაში მიცემის, მსჯავრდებისა და მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

რესპუბლიკის პროკურატურას დაევალოს სისტემატური ზედამხედველობა გაუწიოს საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის შესრულებას.



ქვეყნის

საქართველოს სსრ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

გამართა საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელსაც დაესწრნენ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების პროკურორები.

კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. კოლბინი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილე ს. შიშკოვი, სსრ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი ი. შჩუკინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე გ. გვამაძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი კ. კეთილაძე, ამიერკავასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პროკურორი, იუსტიციის პოლკოვნიკი ბ. გორდევი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე დ. ლორია.

კოლეგიამ განიხილა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის თანაშემწის ო. ლაპტევის მოხსენება — საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების მუშაობის შემოწმების შედეგები საერთო ზედამხედველობის და გამოძიების დარგში და მისი გაუმჯობესების ამოცანები.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: თბილისის ტრანსპორტის პროკურორმა ვ. ახიშვილმა, საქართველოს სსრ პროკურორის პირველმა მოადგილემ ვ. ჭიშკოვი, საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა რ. ყიფიანმა, ქ. თბილისის პროკურორმა ვ. რაზმაძემ, მცხეთის რაიონის პროკურორმა ა. ბაქრაძემ, გულრიფშის რაიონის პროკურორმა შ. ბარკალაიამ, საქართველოს სსრ საკონტროლო-სინსპექტორთა განყოფილების პროკურორმა კ. გვამაძემ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა კ. კეთილაძემ, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილემ ს. შიშკოვმა, საქართველოს სსრ პროკურორმა დ. თაღაკვაძემ.

მოხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ პროკურატურის ორგანოების საქმიანობის ძირითადი შინაარსი

ეს არის იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც გამომდინარეობს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებიდან და მიზნად ისახავს სოციალისტური კანონიერებისა და საბჭოთა მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებას. ყურადღება გამახვილდა საპროკურორო ზედამხედველობის დონისა და ეფექტიანობის ამაღლებაზე, სამართალდარღვევების თავიდან აცილებაში მისი ზეგავლენის გაძლიერებაზე, მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფაზე, საზოგადოებრიობასთან კავშირის განმტკიცებაზე.

ხორციელდება ღონისძიებანი საერთო ზედამხედველობის ხაზით მუშაობის გასაუმჯობესებლად, კანონების შესრულებისადმი საპროკურორო ზედამხედველობის დონის ასამაღლებლად. პროკურატურის საგამოძიებო აპარატი აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცების საქმეთა, აგრეთვე, მექრთამეობასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიებაში.

ბევრი კარდინალური საკითხია განხილული კოლეგიის სხდომებსა და ოპერატიულ თათბირებზე (სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებებთან, ქურდობასთან, მექრთამეობასთან ბრძოლის მდგომარეობის შესახებ; მოქალაქეთა დავების, დაპატიმრებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის კანონიერების დაცვაზე საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ; „საფუძვლების“ 34-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვის შესახებ; მოსამართლე განყოფილების უფროსის, აგრეთვე ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის პროკურორების ანგარიშები მათი მუშაობის შემოწმების შედეგების მიხედვით.)

გაუმჯობესდა ანალიზური მუშაობა, ამაღლდა საერთო ზედამხედველობის ხაზი. პროტესტებისა და წარდგინებების საჩივრი; გაძლიერდა ბრძოლა ლოთობასთან, ხელოვნობასთან, აგრეთვე მავნე ტრადიციებთან და წესჩვეულებებთან.

რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობა მწვავე და პრინციპულ შეფასებას აძლევდა დაქვემდებარებული საპროკურორო-საგამოძიებო მუშაკების მიერ შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებს. 1977

წელს პროკურატურის ორგანოებიდან უღირსი საქციელისათვის განთავისუფლებულია 7 პირი, 20 განთავისუფლებულია იმის გამო, რომ ვერ გაართვეს თავი სამუშაოს. განთავისუფლებულთა შორის 8 პროკურორია (ვანის, თეთრიწყაროს, ლანჩხუთის, წულუკიძის, წალკისა და სხვ.).

განხორციელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო კანონიერების დარღვევებთან და დამნაშავეობასთან ბრძოლაში პროკურატურის საქმიანობის რამდენადმე გაუმჯობესებას. კანონების შესრულებისადმი საპროკურორო ზედამხედველობის მდგომარეობის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს. ბევრი ღონისძიება ყოველთვის არ არის განმტკიცებული სათანადო ორგანიზატორული მუშაობით. ამის შედეგად არაერთგზის აღნიშნული ნაკლოვანებანი და ხარვეზები მეორდება. ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სერიოზული ნაკლოვანებები კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში. მუშაკის მიღებისას ყოველთვის გულმოდგინედ არ მოწმდება მისი პოლიტიკური და საქმიანი მონაცემები, ამას კი მოსდევს პროკურატურის ორგანოებში ისეთი პირების მიღება, რომელთაც არ გააჩნიათ ორგანიზატორული უნარი და მაღალი მორალური თვისებები (გალის რაიპროკურორი გ. ყალიჩავა, ქ. ქუთაისის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი დ. ლაბაძე, წალენჯიხის რაიპროკურატურის გამომძიებელი ფ. კვარაცხელია და სხვები), ეს კი იწვევს აპარატის საქმიანობის შესუსტებას პარტიისა და სახელმწიფოს მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტაში.

გატაცებებთან, გაფლანგვასა და სოციალისტური ქონების სხვაგვარ ხელყოფასთან ბრძოლაში სერიოზული ნაკლოვანებებია: გატაცებები დიდი ოდენობით დროულად არ იხსნება, რაც თაღლითებს საშუალებას აძლევს ჩაიდინონ დანაშაული ხანგრძლივი დროის განმავლობაში; სათანადო მომთხოვნელობა არ არის იმ სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სსრ კავშირის უმაღლესი

საბჭოს პრეზიდიუმის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებების მოთხოვნათა განუხრად შესრულებას.

სამეურნეო ორგანოების მხრივ მატერიალური ფასეულობებისა და ფულადი სახსრების აღრიცხვის, კონტროლსა და დაცვაში სერიოზული ნაკლოვანებები ხელს უწყობს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების, მათ შორის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებას. სასამართლო საქმეების მიხედვით გატაცებები, განსაკუთრებით დიდი ოდენობით, შეადგენს ზარალის საერთო თანხის დაახლოებით 50 პროცენტს.

პროკურატურის ორგანოები ჯერ კიდევ აქტიურად არ ეწყვიან ბრძოლას გატაცებასა და გაფლანგვასთან, ვერ უზრუნველყოფენ სათანადო ზედამხედველობას, რათა ყველა ანგარებითი დანაშაული გაიხსნას და სახელმწიფოსთვის მიყენებული მატერიალური ზარალი სრულად ანაზღაურდეს. ყოველთვის ღრმად არ შეისწავლება სოციალისტური საკუთრების დაცვის მდგომარეობა, მთელი ყურადღება არ არის მიმართული გატაცებებთან, უყარაოობასთან, განიავებასთან, წამატებასა და მომხმარებლის მოტყუებასთან ბრძოლის გაძლიერებისაკენ იმ ორგანიზაციებში და საწარმოებში, სადაც უფრო მეტად არის გავრცელებული ეს დანაშაული.

საერთო ზედამხედველობის ხაზით შემოწმება ხშირად ტარდება ზერელედ, არ ვლინდება დატაცების ხელშემწყობი მიზეზები და პირობები, ხოლო თანამდებობის პირებს, რომლებიც სოციალისტური ქონების დამტაცებლისა და თაღლითების მიმართ იჩენენ წაყრუებას, პასუხისგებაში არ აძლევენ.

ზოგიერთმა პროკურორმა (ზუგდიდის, წალკის, ლანჩხუთის, გალის, წულუკიძის, ყაზბეგის, გარდაბნის, ჩონატაურის რაიონებისა, და ქალაქების: გორის, რუსთავის) არ იცის კანონიერების დაცვის ნამდვილი მდგომარეობა, შემოწმებებს აწყობს ამ მონაცემების გაუთვალისწინებლად. პროკურატურის ორგანოების საერთო სახელმძღვანელო პრაქტიკაში ნაკლებად გამოიყენება სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ დებულების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი, რის შედეგადაც ზოგიერთ შემოწმებას აქვს გამოკვლევის ხასიათი, არეულობას ჰქმნის სამეურნეო ორგანოების საქმიანობაში.

აფხაზეთის ასსრ, ამბროლაურის, ცხაკაიას, მიაიკოვსკის, ხაშურის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, ზესტაფონის რაიონების პროკურორებმა სავაჭრო ორგანიზაციებში ამოწმებდნენ საწყობებში საქონლის შენახვის წესს; წითელწყ-



ყაროს და ჩოხატაურის რაიონის პროკურორები მონაწილეობდნენ რეიდებში ახალი მოსავლის დასაცავად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიკვანძეში გადასაზიდად და ა. შ.

სკკ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 5 აპრილის დადგენილებით — ირკუტსკის ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობის შესახებ მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის საწარმოებში სამართლებრივი სამსახურის როლის ასამაღლებლად სკკ X XV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით მხილებული ნაკლოვანებები შემინვევა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პროკურორებისა და ცენტრალური აპარატის საერთო ზედამხედველობის განყოფილებათა საქმიანობაშიც. შემოწმებების დროს, როგორც წესი, არ ადგენდნენ სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციების იურიდიული სამსახურის როლს კანონიერების დარღვევის თავიდან აცილებასა და გამოვლენაში, არ არის საქმიანი კავშირი ამ სამსახურებთან.

რესპუბლიკაში ირღვევა შრომის კანონმდებლობა. მარტო 1977 წელს დაკმაყოფილებულია სამსახურში აღდგენის შესახებ ყველა სარჩელის 64 პროცენტო.

საქართველოს სსრ პროკურატურის წარდგინებებსა და პროტესტებს უკანონოდ განთავსუფლებულ პირთა სამუშაოზე აღდგენის შესახებ ხშირად უსაფუძვლოდ ეუბნებიან უბარს, ხოლო ზოგჯერ საქმე ჰიანურდება. ხანგრძლივი დროის განმავლობაში რჩება გაუნუხილველი, ხოლო მოქალაქეთა დარღვეული უფლებები — აღუდგენელი. სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობის დროსაც კი ზოგიერთი პირი თვითონ აღუდგენელია სამუშაოზე, რაც მათ იძულებს მიმართონ საფუძვლიანი საჩივრებით სხვადასხვა ინსტანციას (მოქ. ა. თოფურიას, ნ. სირაბიძის, გ. იშხნელის და სხვთა საჩივრები).

პროკურატურა არ იღებს ქმედით ზომებს იმ მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უწყობენ კანონმდებლობის დარღვევას სახელმწიფო ანგარიშგებაში წამატებებისა და პროდუქციის მიწოდების გეგმებისა და დავალებების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, თუმცა ასეთი ფაქტები რესპუბლიკაში გავრცელებულია. საერთო ზედამხედველობის განყოფილებამ ვერ გამოიჩინა მორგანიზებული როლი აღნიშნული კანონების შესრულებისადმი სათანადო ზედამხედველობის განსახორციელებლად.

1977 წელს არ მოწყობილა შემოწმება უხა-

რისხო პროდუქციის გამოშვებასთან ბრძოლის კანონების შესრულების შესახებ 31 ქალაქსა და რაიონში (ქ. ქ. ფოთი, ჭიათურა, ტყიბული, რუსთავი, ზესტაფონი, წულუკიძისა და სხვა რაიონებში), წამატებებთან ბრძოლის შესახებ 37 ქალაქსა და რაიონში (ცხაპიას, გორის, თელავის, სამტრედიის და სხვა რაიონების) ხოლო პროდუქციის მიწოდების გეგმების შეუსრულებლობისათვის — უმრავლეს ქალაქსა და რაიონში. ქალაქებისა და რაიონების პროკურორები იშვიათად იღებენ ზომებს კანონიერების დარღვევების თავიდან, რომლებიც ვლინდება მაკონტროლებელი ორგანოების მიერ.


წარდგინებებისა და პროტესტების გაცნობა გვიჩვენებს, რომ ბევრი რაიპროკურორი სრულყოფილად არ ასრულებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1966 წლის 2 დეკემბრის № 7/17 მითითებას „პროკურორების შიერ შეტანილი პროტესტებისა და წარდგინებების ხარისხის შესწავლის შედეგების შესახებ“, ამის გამო ზოგიერთი პროტესტი და წარდგინება უხარისხოა, რაც ასუსტებს საპროკურორო ზედამხედველობის ეფექტიანობას.

ბევრი პროტესტი შედგენილია უსაფუძვლოდ, დაუდგერად, გაუმართავი ენით. წარდგინებებში ყოველთვის არ არის ახსნილი ის მიზეზები და პირობები, რომლებიც ხელს უწყობდნენ კანონის დარღვევას.

ზოგიერთი წარდგინება არ შეიცავს კანონიერების დარღვევის მიზეზების ანალიზს, არ არიან მითითებული კანონის დამრღვევი კონკრეტული პირები, თანამდებობის პირებსა, რომლებიც წაყრუებას იჩენენ დარღვევებისადმი და მოთხოვნა მათი დასჯის შესახებ. ზოგიერთ წარდგინებაში არის წინადადება, რომელიც არ გამოიმდინარეობს კანონიდან და აღმინისტრაციულ-სამეურნეო ხასიათს ატარებს.

პროკურორთა უმრავლესობა თვალყურს არ ადევნებს იმ დარღვევების ფაქტიურ აღმოფხვრას, რომლებზეც შეტანილია წარდგინება ან პროტესტი, რეაგირებს არ ახდენს პროტესტებისა და წარდგინებების განხილვის ვადების დარღვევის შემთხვევებზე, რაც დადგენილია სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ დეკრეტის მე-13 და მე-16 მუხლებით და არ გადააქვს მათი განხილვა დაქვემდებარების წესით შემდგომ ორგანოებში.

უკანასკნელ ხანს გავრცელდა პრაქტიკა, როცა მოქალაქეთა ცალკეული საჩივრების განხილვის შედეგების მიხედვით უკანონო და-



თსოვნის ფაქტებზე კანონსაწინააღმდეგო ბრძანებების გაპროტესტების ნაცვლად პროკურატურის ხელმძღვანელობის ხელმოწერით მინისტრებს წერილები ეგზავნებათ.

სერიოზული ნაკლოვანებებია რესპუბლიკის საგამოძიებო აპარატის საქმიანობასა და გამოძიებისა და მოკვლევისადმი საპროკურორო ზედამხედველობაში.

წინა წელთან შედარებით რეგისტრირებულ დანაშაულებათა რიცხვი შემცირდა (ხულოვნური გამოვლინებები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ძარცვა, ქურდობა). ამავე დროს აღინიშნება ზოგიერთი განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ზრდა.

რესპუბლიკაში სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი საგამოძიებო აპარატის მუშაკების მხრივ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანის — ყოველი დანაშაულის სრული და სწრაფი გახსნისა და დამნაშავე პირების პასუხისმგებლობაში დროულად მიცემის — გადაწყვეტა.

ბევრი დანაშაული გაუხსნელია იმიტომ, რომ პროკურატურის და შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაობაში არ არის სათანადო ურთიერთკავშირი და ოპერატიულობა, კიანურდებ და დანაშაულის შესახებ შეტყობინებებისა და გაიცხადებების შემოწმება, ბევრ გამოძიებულს არა აქვს სათანადო გამოცდილება. პროკურორები იშვიათად იძლევიან წერილობით მითითებებს ასეთ საქმეებზე და სათანადოდ არ სთხოვენ ამას შინაგან საქმეთა ორგანოებსა საგამოძიებო ქვეგანყოფილებების უფროსებს.

რესპუბლიკის პროკურატურამ ვერ მიაღწია დაქვემდებარებული პროკურორებისაგან შეჩერებულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების დროულ შემოწმებას. საგამოძიებო სამმართველო ღრმად ვერ ერკვევა განზრახი მკვლელობების ზრდისა და მისი დაბალი განხილვის მიზეზებში. დამაკმაყოფილებლად არ სრულდება მოთხოვნა გაუხსნელი განზრახი მკვლელობისა და გაუპატიურების ყოველი საქმის შეჩერების საფუძვლიანობის დაუყოვნებლივ შემოწმების შესახებ: საქმეები შესამოწმებლად გამოგზავნილია დაგვიანებით, ხოლო ცალკეული საქმეები საერთოდ არ შესწავლილა. ძალზე სუსტად წარმოებს მუშაობა წარსული წლების დანაშაულებათა გახსნის მიზნით.

როგორც შემოწმებით დადგინდა, მონაცემები დამნაშავეობისა და დანაშაულთა გახს-

ნის შესახებ არ ასახავს ნამდვილ მდგომარეობას.

საქმეთა გამოძიების ვადები არადაამაკმაყოფილებელია. გამოძიების ვადები განსაკუთრებით ირღვევა აფხაზეთის ასსრ ბოგდანოვიკის, გარდაბნის, დუშეთის, წალკისა და ზოგ სხვა რაიონში, აგრეთვე ქალაქ ქუთაისის, რუსთავეის, თბილისის პროკურატურებში.

დაბალია გამოძიების ხარისხი სისხლის სამართლის საქმეებში. 1977 წელს სასამართლოების მიერ დამატებით გამოძიებაში დაბრუნებულია პროკურატურის მიერ გამოძიებული და შსს ორგანოების მიერ გამოძიებული რიგი საქმეებისა. განსაკუთრებით ცუდი მაჩვენებლები აქვთ მარნეულის, დუშეთის, წალკის რაიონებს, ქ. რუსთავეის, ქ. ზუგდიდისა და ზოგიერთ სხვა პროკურატურას.

ბევრი საქმეა შეწყვეტილი დანაშაულის შემთხვევის ან შემადგენლობის არარსებობის გამო. 1977 წელს ამ მოტივებით პროკურატურის გამოძიებულების და შსს გამოძიებულების მიერ მთელი რიგი საქმეებია შეწყვეტილი.

ჭერაც არ არის აღკვეთილი კანონიერების დარღვევები მოქალაქეთა დაპატიმრებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის დროს. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში იმნიშვნელოვნად გაიზარდა გამართლებულ და იმ პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც საქმეები შეწყვეტილია საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოს მიერ დანაშაულის შემთხვევისა და შემადგენლობის არარსებობის მოტივით, აგრეთვე ბრალდების დაუდასტურებლობის გამო.

სწორად აღვილებზე გასვლა შემოწმებისა და დანშარების მიზნით ეფექტიანი არ არის, საგამოძიებო სამმართველოს ხელმძღვანელობა არ ზრუნავს შემოწმების მეთოდის სრულყოფისათვის. გასვლების შედეგები ყოველთვის არ იხილება ოპერატიულ თათბირებზე, ცოტაა შემოწმებები შესრულების კონტროლის მიზნით.

ზოგიერთი განზოგადება ვაკეთებულია საქმის მდგომარეობის ღრმა ანალიზის გარეშე. არასაკმარისად ვრცელდება საუკეთესო გამოძიებულების დადებითი გამოცდილება. გაქიანურდა კრიმინალისტიკის ახალი კაბინეტის მოწყობა, რაც უარყოფითად მოქმედებს გამოძიებულთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

რესპუბლიკის პროკურატურისა და საგამო-



ძიებო სამმართველოს ხელმძღვანელები ყოველთვის პირადად არ წვდებიან საქმეთა გამოძიებას.

გამოძიებისა და ბრალდებულთა პატიმრობაში ყოფნის ვადის გაგრძელებისას ყოველ საქმეზე არ მოწმდება, როგორ არის ორგანიზებული გამოძიება, არ არის უზრუნველყოფილი სათანადო კონტროლი შემდგომ გამოძიებაზე.

ბევრი ეს ხარვეზი ცენტრალური აპარატის კადრების, საერთო ზედამხედველობის განყოფილებებისა და საგამოძიებო სამმართველოს არასაკმაო ორგანიზაციული მუშაობის შე-

დეგია. არასაკმაო კონტროლი დაქვემდებარებული პროკურატურების საქმიანობისადმი, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომი განმტკიცებისადმი.

კოლეგიამ დასახა კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა მიზანია არსებული ნაკლებანებების აღმოფხვრა, რესპუბლიკაში სოციალისტური კანონიერებისა და საბჭოთა მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცება.

0. ხიონიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კლენევი

მიმდინარე წლის 28 თებერვალს ა. კარანაძის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

პირველ საკითხზე მოხსენება — „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და სასამართლო ორგანოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფის ამოცანები“ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ა. კარანაძემ.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიამ, — აღნიშნა მომხსენებელმა, — მიიღო საბჭოთა სახელმწიფოს ახალი კონსტიტუცია, ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი. 1977 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის აშხ. ლ. ი. ბრეჯნევის მოხსენება პლენუმზე და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე წარმოთქმული სიტყვა, ახალი კონსტიტუცია უმნიშვნელოვანეს ნიშანსვეტად იქცა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და უდიდესი საერთაშორისო რეზონანსი მოიპოვა.

ძირითად კანონში კონსტიტუციური წესით დამკვიდრებულია ფუძემდებლური ნორმები, რომლებიც საზოგადოების ინტერესების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას ეხება. კონსტიტუციაში ბევრი მუხლი ეხება მართლმსაჯულების განხორციელებას, რომელსაც ცალკე თავი აქვს დათმობლი. ამჟამად ჩვენი ამოცანაა მართლმსაჯულების მარგველირებელი მოქმედი კანონ-

მდებლობა ახალ კონსტიტუციას შევესაბამით.

შემდეგ ა. კარანაძემ პლენუმის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა კონსტიტუციის ზოგიერთ ახალ დებულებაზე და თქვა, რომ ჩვენ მოვალენი ვართ ღრმად შევისწავლოთ ეს დებულებები, გავიზოროთ და ყველაზე უშუალო მონაწილეობა მივიღოთ მომავალ დიდ, უაღრესად პასუხსაგებ მუშაობაში, რათა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მოთხოვნების მიხედვით წარგმართოთ სასამართლო ორგანოების მთელი საქმიანობა.

დასასრულ ა. კარანაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ახლად არჩეული შემადგენლობა, მისი პარტიული ორგანიზაცია პროკურატურასთან, იუსტიციის სამინისტროსთან მჭიდრო საქმიანი კონტაქტით ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულოს მის წინაშე მდგომი პასუხსაგები ამოცანები, უზრუნველყოს სოციალისტური მართლმსაჯულების სწორი განხორციელება.

მომხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. არღუნი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თ. წერეთელი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ფარასტაევი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფ. ხ. ჯორბენაძე, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე დ. თამაზაშვილი, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე შ. მახარაძე, საქართველოს სსრ პროკურორი ლ. თაღაკვაძე.

პლენუმმა მოსმინა და განიხილა აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის ი. ყორღანიას მოხსენება „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა დადგენილებებში ცვლილებების შეტანის შესახებ და ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე“.

პლენუმმა დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოსთან არსებული სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს და სა-

ქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სსხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიების შემადგენლობა.

განიხილეს პროტესტები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა გამო.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ პროკურორი **ლ. თაღაჯაძე**.

გეგმვითი მუშაობისათვის

1945 წლის 9 მაისი სამუდამოდ შევედა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, როგორც ფაშისტურ ვერმანიაზე საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გამარჯვების დღე.

მრავალფეროვანი და შინაარსიანი ღონისძიებებით აღინიშნა ეს თარიღი ჩვენს რესპუბლიკაში.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ მოაწყო შეხვედრა დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან.

ყვავილებითა და საზეიმო განწყობილებით საგვსააქტო დარბაზში ისმის ლეგიონანის ხმა, რომელიც მოგვაგონებს ომის დაწყების დღეს...

შემოდინ სტუმრები: **გ. ცქიტიშვილი**, **ლ. ბრელიძე**, **გ. მირიმიანიშვილი**, **ა. ფალავანდიშვილი**, **ა. გოგბერაშვილი**.

საბატო სტუმრებს მასპინძლობენ სამინისტროს კომკავშირელები. აქვე არიან საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი **ალ. შუშანაშვილი**, იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე **ზ. რატიანი**, ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთ. რედაქტორი **ო. კაციტაძე**, სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსი **ი. ალანია**, კანცელარიის გამგე **ნ. ფიფია** და სხვები.

შეხვედრა გახსნა სამინისტროს კომკავშირის კომიტეტის მდივანმა **რ. მახარაძემ**. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს კომკავშირელებმა: **ქ. ყურაშვილმა**, **მ. გურუბანიძემ**, **მ. თიბილაშვილმა**, **გ. გაბრაშვილმა**, **ჯ. ქიხიშვილმა** და სხვებმა.

სტუმრებს გულთბილად მიესალმა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი **ა. შუშანაშვილი**. მან ილაპარაკა ომგადახდითა დაძახებულებებზე ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

33 წელი გავიდა მას შემდეგ. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა. ომში დაცემული მამების ასაკს კარგა ხანი ვადაბიჯებს შეილებმა. ფრონტიდან მიღებული წერილები ისე გაიცრია და გაყვიოდა, ძნელია ამოიკითხო მისი გამომგზავნი. რას წერდა გაყინულ-გათოვნილ სანგარში, უსახელო მალღობზე იერიშის წინ, თუ საქვეყნოდ ცნობილ სტალინგრადის ბრძოლების შემდეგ.

დღეს საზეიმოდ მორთულ დარბაზში უყურებ ამ სახელოვან ადამიანებს და თვალწინ წარმოგიდგება თითოეული ჯარისკაცული ცხოვრება, ის მძიმე ვალი, რაც მათ სამშობლომ დააკისრა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად.

გ. ცქიტიშვილი დიდი სამამულო ომის პერიოდში საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო. სამშობლოს დასაცავად აგზავნიდა ათასობით კომკავშირელს, მტრის უდიდეს სიძულელს და გამარჯვების ღრმა რწმენას უნერგავდა თითოეულს... ძნელია მღელვარების გარეშე მოისმინო მისი ნამბობი თუ რა საქმიანობას ეწეოდა საქართველოს კომკავშირი ომის დროს ფრონტის წინა ხაზზე.

ომის დაწყების პირველივე დღიდან ფრონტზე **ა. ფალავანდიშვილი**. მან გმირულად განვლო ომის გრძელი გზა... ჩრდილო კავკასიაში ბილიკები უდღეტეხილებისაკენ მალდებოდნენ და მზგვრავი მეთვლიყვარე, ახალგაზრდა იურისტი, სიკვდილის პირისპირ მტრის საცეცხლე წერტილებს ინიშნავდა, შემდეგ კი მისივე მეთაურობით ბატალიონი სისხლისმღვრელი ბრძოლებით ათავისუფლებდა უკრაინის, ბელორუსიისა და პოლონეთის მიწა-წყალს... საბრძოლო ჯილდოებით მკერდამშვენებული გმირი დღესაც განაგრძობს



ხელის სამსახურს, მუშაობს სამინისტროს განყოფილების უფროსად.

დიდ სამამულო ომში გ. მირიანაშვილის საბრძოლო ნამოღვაწიერმა სამართლიანად დაიმკვიდრა სახელი გმირი ქართველი ვაჟკაცების გვერდით. ამ ჩუმსა და მოკრძალებულ კაცს უჩვეულო მღელვარება იპყრობს როცა ომის წლებს იხსენებს. მან მცირე მიწაზე მაშინ შედგა ფეხი, როდესაც იქ ქვაც კი დღოდა. გერმანელი ოკუპანტები ათასობით ტონა გავარგარებულ ლითონს თავზე აყრიდნენ ჩვენს მეომრებს. ვინ იცის რამდენჯერ შეხვედრია სიკვდილს პირისპირ.

ა. გოგებრაშვილი წარსულის ბევრ ამალელებელ ეპიზოდს იხსენებს. იგონებს, თუ როგორ იბრძოდა სამშობლოს დასაცავად და როგორ დაუბრუნდა მამულს ვალმოხდილი.

დიდი სამამულო ომის ისტორიაში დიღის შესანიშნავი ფურცლები ჩაწერეს სამშობლოს დამცველმა მამაცმა ქართველმა ქალებმა. მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს მტრზე გამარჯვების საქმეში, გმირულად იბრძოდნენ მოსკოვთან, ლენინგრადთან, კურსკთან, ჩრდილო კავკასიაში, ყირიმსა და მტრის მიწაყალზე. ისინი ასრულებდნენ ექიმისა და ექთანის, მესანგრის, მზვერავის, მფრინავის, მეკავშირის, არტილერისტის, მეზენიტის, პოლიტმუშაკის მოვალეობას.

ამ შესანიშნავ ადამიანთა შორის არის სამამულო ომის მონაწილე ლ. ბრელიძე. იგი

18 წლის, კომკავშირული საგზურით გაიწვიეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის I კურსიდან. მსახურობდა საჰაერო თავდაცვის 24-ე, ხოლო შემდეგ 33-ე ქალთა ბატალიონებში მეთვალთვალე — მეკავშირედ. ტიხარეცკის, როსტოვის, ვოროშილოვგრადისა და დნებროპეტროვსკის ცაზე გამოჩენილი მტრის არაერთი თვითმფრინავი ჩამოუვდიათ არტილერიის დანაყოფებს სადაც იგი მსახურობდა...

ნ. ბრელიძემ გმირულად განვლო ფრონტის გრძელი გზა კავკასიიდან ბალტიისპირეთამდე. კომკავშირის რიგებში აღზრდილის, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ქალის მკერდს მრავალი საბრძოლო ჯილდო ამშვენებს: „კავკასიის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ და სხვა.

ომგადასდღებმა გარდასულ დღეთა ბევრი საინტერესო ეპიზოდი მოიგონეს და დიდი მადლობა გადაუხადეს მასპინძლებს გულდია და კეთილი შეხვედრისათვის.

დასასრულს სამინისტროს პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ ომის ვეტერანებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

წალკის კომუნისტური ორგანიზაციის

საქართველოს სსრ ოლსტიციის სამინისტროს მოქმედი კანონმდებლობის კრებულების მოწმადების და გამოცემის რედაქციის უფროსი რედაქტორი.

სსრკ-ში ლექსი სერიანი

პროკურატურის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს მიეძღვნა ორდღიანი სემინარი, რომელიც რესპუბლიკის პროკურატურამ მოაწყო.

საქართველოს სსრ პროკურატურის თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე საზღვრამხედველ განყოფილების უფროსმა ჯ. ვაშაკიძემ დამსწრეთ გააცნო ვასული წლის მუშაობის შედეგები და მიმდინარე წლის ამოცანები.

ზონის პროკურატორის მუშაობის ორგანიზაციაზე ილაპარაკეს ამავე განყოფილების პროკურატორებმა გ. ზედეშკორმა და კ. ვახარიამ.

საპროკურორო ზედამხედველობის გამოცდილებისა და სამეთვალყურეო კომისიების მუშაობის შესახებ ინფორმაციები ვააკეთეს პროკურორებმა ა. ზაალიშვილმა, ბ. სიხარულიძემ, აჭარის ასსრ პროკურორის მოადგილემ ა. ვერულიძემ და აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანამემწემ ა. თორიამ.

ქალაქ ქუთაისის პროკურორის თანამემწემ შ. გვეტაძემ ყურადღება გაამახვილა გამასწორებელ სამუშაოთა ინსპექციის და საგამოძიებო ინსტრუქციის საქმიანობისადმი საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერებაზე. შრომა-გასწორების დაწესებულებებში კანონ-

ნიერების დარღვევის გამოვლინების ფორმებისა და მეთოდების, აგრეთვე პროფილაქტიკის საკითხებზე. ისაუბრა ქ. რუსთავის პროკურორის თანაშემწემ გ. ავეტიხოვმა. ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონის პროკურორის მოადგილე გ. ჯანჭღავას გამოსვლის თემა იყო, თუ როგორ ხორციელდება საპროკურორო ზედამხედველობა სპეცკომენდატურები-სადმი.

სემინარზე თავიანთი მუშაობის გამოცდილების შესახებ ილაპარაკეს ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის პროკურორის თანაშემწემ


ვ. გოგავამ, ქ. ზუგდიდის პროკურორმა დ. კუხალიშვილმა და სხვებმა.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს პროკურორ-კრიმინალისტის ვ. სიმონიშვილის ლექცია თემაზე „სამამოძიებო კრიმინალისტური ტექნიკა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მნიშვნელობა“.

ზ. მგელაძე

ქ. თბილისის პროკურორის თანაშემწე, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

მოქალაქე და იურიდი



საქართველოს იურიდიულმა საზოგადოებრიობამ კიდევ ერთი აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა შესანიშნავი მოქალაქე, დიდად ერუდირებული იურისტი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი სერგო იასონის ძე ქაჯაია.

ხანგრძლივად იმუშავა ს. ი. ქაჯაიამ რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებში და თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობით ნამდვილად წარუშლელი კვალი დასტოვა. თუმცა მას თანაბარი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს პროკურატურისა და სასამართლოს საქმიანობის სრულყოფასა და განვითარებაში, მაგრამ ალბათ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით — სერგო ქაჯაია მოწოდებით მაინც მოსამართლე იყო. ზოგიერთი უადრესად ადამიანური თვისება, რაც მართლმსაჯულების მსახურთათვის აუცილებელია და რასაც ბევრი ად-

ზრდით იძენს, ს. ქაჯაიას ბუნებით ჰქონდა მომადლებული. გულისხმიერება და რუდუნება, მაღალი ზნეობა და შინაგანი კულტურა, თვითდისციპლინა და, ერთი შეხედვით, მეტისმეტი თავმდაბლობა ამშვენებდა სერგო ქაჯაიას, როგორც პიროვნებასა და მოსამართლეს. ცნობილია, რომ მართლმსაჯულების სწორად განხორციელების მინიმალური წინაპირობები თბიერება და აუჩქარებლობაა. ამ უბრალო ჭეშმარიტებას ს. ი. ქაჯაია ხშირად გაახსენებდა ხოლმე მოსამართლეებს, ხანდაზმულებს თუ ახალგაზრდებს, თან საკუთარი მოღვაწეობით ყველას უჩვენებდა ამის შესანიშნავ მაგალითს. ს. ი. ქაჯაიას არ სწამდა იმ მოსამართლეების, რომლებიც ცალკეული ფაქტების ყურმოჭრილი მონები ხდებიან და ყოველთვის მოითხოვდა საგამოძიებო ვერსია, შეგროვებული მტკიცებულებანი თუ ჩვენებები კრიტიკულად გადამოწმებულიყო სამსჯავრო გამოძიების დროს.

ასეთივე დინჯი და მიუღვამელი გვახსოვს ს. ი. ქაჯაია პირადი მწუხარების დროსაც. ჩვენ, მის მშობლიურ სოფელში ჩასულები, მოწმენი ვიყავით თუ რაოდენ შეაცრად აფრთხილებდა, ბატონი სერგო, რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების დმესვეურთ, გამოეჩინათ მეტისმეტი სიფრთხილე, აბსოლუტური თბიერება, ღმობიბერებაც იმ პირის მიმართ, ვინც მისი მწუხარების მიზეზი გახდა. დიდსულოვნების ეს მაგალითი მთელი ცხოვრება გვემახსოვრება.

ძალიან იშვიათად გვინახავს ს. ი. ქაჯაია განრისხებული. ეტყობა, მის უკომპრომისო ბუნებას, ხასიათის სიღბილის მიუხედავად, ყველაფრის ატანა მაინც არ შეეძლო. იმ პირს ვინც გადაცდომა დაუშვა და იქ დამსწრეთაც ეს წუთები დიდხანს არ დაავიწყდებოდა, თუმცა ასეთ ვითარებაშიც კი ს. ი. ქაჯაიას არ დაუკარგავს წონასწორობა და არასოდეს შეუღალავს ვინმეს ადამიანური ღირსება.

ს. ი. ქაჯაიას დაუცხრომელი ენერგია, პრინციპულობა, ცხოვრებისეული და პრაქტიკული გამოცდილება მთელი სისავსით გამოჩნდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მაღალ პოსტზე მუშაობისას. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანოს კოლექტივისადმი, ზრუნავდა

მისი ავტორიტეტის ამალგებისა და მორალური სიწმინდისათვის. ს. ი. ქაჯაია ეჭვიანი და თავისდამზღვევი პირების დაუძინებელი მტერი იყო, ვერ ითმენდა, როცა მოსამართლე კონიუქტურული მოსაზრებით გაუბედავად იქცეოდა და ობიექტურად ვერ წყვეტდა საქმეს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მართლმსაჯულების განხორციელების თვალსაზრისით ს. ი. ქაჯაიას უმაღლეს სასამართლოში მოღვაწეობა მრავალმხრივ საწინიშოდ დარჩება.

ს. ი. ქაჯაია იყო კოლექტივის, მეგობრების ჭირისა და ლხინის გულითადი გამზიარებელი და ნამდვილი თანამონაწილე. მას კავშირი კრლეგებთან არ გაუწყვეტია პენსიაზე გასვლის შემდეგაც და თავის ღრმა ცოდნას, უდიდეს პრაქტიკულ გამოცდილებას კვლავაც უხვად გადასცემდა ახალგაზრდობას.

სიცოცხლისაგან განშორებაშიც თავისებური იყო ბატონი სერგო, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ არ უწუწუნია და უკვნესია, ქედუხრელად, ვაჟაკურად შეხვდა სიკვდილს. წავიდა და ჩვენს გულებში ღრმა სევდა და ნათელი ხსოვნა დატოვა.

ნ. ახანაძე, თ. ზარსაძე, ი. კაციბაძე, ზ. რატიანი, გ. ზალიძე,



ცნობები ავტორთა შესახებ

ბახმალაძე გელა დომენტის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოლოგიის ინსტიტუტის ეთიკის განყოფილების გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ასამდე შრომის, 12 წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

საგანალი ბიძინა ვარლამის ძე — თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 18 შრომის, 2 მონოგრაფიის და 1 ბროშურის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ზორიძე ბასარიონ იონის ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის ასპირანტი, მეორედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

შოთა გიორგის ძე ფაშიაშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 17 შრომის, სამი წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ბაბიანი ანზორ ალექსანდრეს ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის პროფესორი, დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, 24 შრომის და 3 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

დიმიტუშვილი მარინე იოსების ასული — ეკონომ-გეოგრაფი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

შტრახელიძე მინდია გურამის ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 31 შრომის და 1 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

შედეგ ნიშნები:

გ. ზ. ანაშკინი, ვ. ა. თბრაშცოვი — მექრთამეობის საქმეების გამოძიებისა და განხილვის ზოგიერთი საკითხი.

ტ. ლემონჯავა — სრულყოფილი სოფლის იურიდიული სამსახურის საქმიანობა.

ზ. რატიანი — სამართლის პროპაგანდის და სამართლებრივი აღზრდის საკუთრივინაციო-მეთოდური საბჭოების ამოცანები.

ჟ. ყიფიანი — საქართველოს სსრ სსკ 471 მუხლის გამოყენების სასამართლო პრაქტიკის შესახებ.

ა. შუშანაშვილი — სახელმწიფო საბჭოში ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ერთი საკითხი.

კანონი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ და სსვ.



საბჭოთა კავშირი

1978 წლის

გარეკანის მხატვარი **ა. ჯიბუხიაშვილი**

«САБЧОТА САМАРТАЛИ» № 4, 1978 (На грузинском языке). Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции СССР, Прокуратуры СССР, Верховного Суда СССР.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

6 387/68



ՅՅԵՈ ԵՐ ԿԿԿ.

ИНДЕКС 70185